შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

02/11/2026

№ 00025500

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორი ენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობა ზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს შემდეგი ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:
ა) ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-12 პუნქტი ამოღებულ იქნას;
ბ) ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"1. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება შეფასებაზე, მას საშუალება აქვს განმეორებით ერთხელ გავიდეს ტესტირებაზე/გასაუბრებაზე, რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს შეფასების თარიღიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში და წარადგენს გამოუცხადებლობის მტკიცებულებას".
2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

ნ. მაჭარაშვილი

ელექტრონულად შესრულებულია ელექტრონულად

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

20/07/2026

№ 00015002

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორი ენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობა ზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს შემდეგი ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4^1 პუნქტი:
"4^1. სასწავლო დავალების მომზადებისას ხელოვნური ინტელექტის (AI) ისეთი მოცულობით გამოყენება, რაც ეჭვქვეშ აყენებს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ დამოუკიდებელი სასწავლო შედეგების მიღწევას, აგრეთვე მისი გამოყენების ფაქტის დაფარვა (მიუთითებლობა) ან პროფესიული განათლების მასწავლებლის/განმახორციელებელი პირის მიერ განსაზღვრული სპეციალური პირობებისა და ლიმიტების დარღვევა მიიჩნევა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად და იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას - შენიშვნის გამოცხადებას".
2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

ნ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

17/06/2026

№ 00011384

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორი ენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობა ზე

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 02 მარტის N27/ნ ბრძანების შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებში საჭიროა ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს შემდეგი ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-12 პუნქტი ამოღებულ იქნას".

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

რ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

12/06/2026

№ 00011104

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორი ენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობა ზე

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 02 მარტის N27/ნ ბრძანების შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებში საჭიროა ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს შემდეგი ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში:

ა) ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-11 პუნქტი ამოღებულ იქნას;

ბ) ბრძანებით დამტკიცებული წესის 61-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3-მე-14 პუნქტები:

"3. 2026 წელს პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, გარდა ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით ჩარიცხვისა:

ა) შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე ეროვნული უმცირესობის ენაზე (რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე). კოლეჯი ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა.ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ა.ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ შესაბამისად, ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით;

ა.გ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა;

ბ) კოლეჯი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით".

"4. 2026 წელს პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა განხორციელდეს ამ წესით გათვალისწინებული ეტაპების დაცვით აღნიშნული ეტაპებისთვის განსაზღვრულ ვადებში. ამასთან, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შერჩევა წარიმართოს კოლეჯის მიერ დადგენილი წესით, პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას".

"5. 2026 წელს კოლეჯის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პრაქტიკული მოსინჯვის ვადების განსაზღვრისას შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს აპლიკანტთა რეგისტრაციის დასრულებამდე პერიოდიც იმ დათქმით, რომ ყველა აპლიკანტს ექნება პრაქტიკული მოსინჯვის გავლის შესაძლებლობა".

"6. 2026 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის მიზნით, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი/სპეციალისტები მიმართვიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსით რეგისტრირებული აპლიკანტის შეფასებას, ამ აპლიკანტის შეფასების დასკვნის მომზადებას და სარეგისტრაციო სისტემაში დასკვნის განთავსებას, რომლითაც დასტურდება აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების შეფასების დასკვნა ასევე მიეწოდება შეფასებულ პირს/მის კანონიერ წარმომადგენელს".

"7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების შედეგი (სტატუსის მინიჭება ან მინიჭებაზე უარი) აისახება სარეგისტრაციო სისტემაში".

"8. 2026 წელს, პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების მიზნით, შეფასება არ ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ უკვე არსებობს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების/მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა, რომლის მომზადებიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით არ გასულა 3 წელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აპლიკანტი/აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენელი ითხოვს განმეორებით შეფასებას ან ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი/სპეციალისტები საჭიროდ მიიჩნევენ განმეორებით შეფასებას. თუ ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში არ ხდება აპლიკანტის განმეორებითი შეფასება, გამოყენებული უნდა იქნეს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების/მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისთვის განსაზღვრული წესით შედგენილი ბოლო დასკვნა".

"9. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს 2026 წელს გამოცხადებული მიღების ფარგლებში რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, შედეგების აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და დაწესებულებაში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს".

"10. 2026 წელს პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, გარდა ამ წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებული წესით ჩარიცხვისა, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ანკეტა-კითხვარის ელექტრონულად შევსების ვადებთან ერთად განისაზღვრება იმ პროგრამის სახეები ან/და სხვა პირობები, რომელთა ფარგლებშიც ცხადდება მიღება.“

"11. 2026 წელს კოლეჯი უფლებამოსილია, უმაღლეს და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა მიღება განახორციელოს აგრეთვე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომ – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება) შესაბამისად, გარდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნების დეტალური სფეროს (კოდი: 0215) და სპორტის დეტალური სფეროს (კოდი: 1014) პროგრამებისა".

"12. ამ მუხლის მე-11 პუნქტის მიზნებისათვის, აბიტურიენტად მიიჩნევა პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად დარეგისტრირდება ერთიან ეროვნულ გამოცდაზე და რეგისტრაციისას აირჩევს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამას".

"13. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში კოლეჯი ვალდებულია აბიტურიენტი ჩარიცხოს პროგრამაზე რანჟირების შესაბამისად, აბიტურიენტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე".

"14. 2026 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული პროფესკული სტუდენტებისთვის სწავლის დაწყების ზუსტი თარიღი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არაუგვიანეს 2026 წლის პირველი ოქტომბრისა".

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

ნ. მაჭარაშვილი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზუსტია
ელექტრონულად

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

№ 00007526

05/07/2024

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 24 ივნისის N110/ნ ბრძანების შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებში საჭიროა ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს შემდეგი ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში:

ა) ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის "ვ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

ბ) ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნას.

გ) ბრძანებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლი ამოღებულ იქნას.

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

რ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

№ 00006669

27/06/2024

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 24 ივნისის N110/ნ ბრძანების შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებში საჭიროა ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს შემდეგი ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 24-ე და 25-ე პუნქტები:
"24. 2024 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე".
"25. 2024 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა განხორციელდეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ეტაპების დაცვით".

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

რ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

№ 00006667

27/06/2024

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორი ენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობა ზე

საქართველოს კანონის "თავდაცვის კოდექსი" მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია 17 წელს მიღწეული პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე არ ჩარიცხოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნულის გამო, საჭიროა ცვლილება შევიდეს საქმისწარმოების წესში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში:

ა) ბრძანებით დამტკიცებული წესის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ჩარიცხვიდან სამი თვის ვადაში წინმსწრები განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კოლეჯში წარუდგენლობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში დადასტურებულია მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ“.

ბ) ბრძანებით დამტკიცებული წესის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისია გაწყვეტილების მიღებისუნარიანია, თუ მას ესწრება საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის წევრთა არანაკლებ ¾-ისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ კოლეჯის დირექტორის წინაშე წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება კომისიის თავმჯდომარეს, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი."

გ) ბრძანებით დამტკიცებული წესის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"გ) მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ კოლეჯის დირექტორის წინაშე წარდგენის თაობაზე".

დ) ბრძანებით დამტკიცებული წესის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, საკვალიფიკავიო გამოცდის კომისიის თავმჯომარის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. ბრძანების გამოცემის შემდეგ გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი (მოთხოვნის შემთხვევაში დიპლომის დანართი)".
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. უზრუნველყოფილ იქნას წინამდებარე ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

ნ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

№ 00004740

20/05/2024

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის "თავდაცვის კოდექსი" მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია 17 წელს მიღწეული პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე არ ჩარიცხოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნულის გამო, საჭიროა ცვლილება შევიდეს საქმისწარმოების წესში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პირადი (არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;

ბ) პასპორტი/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი იმ აპლიკანტებისთვის, რომლებსაც სურთ ჩაირიცხონ საშუალო საფეხურის იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (აპლიკანტს არ მოეთხოვება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ);

დ) მინიმუმ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტის) დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (აპლიკანტს არ მოეთხოვება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ).

ე) 2 ფოტო 3x4.

ვ) არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში - განმცხადებლის/ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის პირადობის მოწმობა და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სათანადო უფლებამოსილებას წარმომადგენლობაზე (დაბადების მოწმობა/მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა);

ზ) 17 წელს მიღწეული პირის შემთხვევაში (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი."

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. უზრუნველყოფილ იქნას წინამდებარე ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

ნ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

№ 00014049

09/11/2023

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული წესის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის "ე" ქვეპუნქტი:

„ე) ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში წინმსწრები განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კოლეჯში წარუდგენლობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში დადასტურებულია მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. უზრუნველყოფილ იქნას წინამდებარე ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

რ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

№ 00008343

22/08/2023

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში:
ა) ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"10. წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ „ბ“, "გ" და „დ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, პროფესიული სტუდენტის აქტიური მონაწილეობით შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას 5 სამუშაო დღეში მისი საჭიროების წარმოშობის მომენტიდან".
ბ) ბრძანებით დამტკიცებული წესის 33-ე მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"10. წინამდებარე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას საჭიროების შემთხვევაში თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები, რომელთა საფუძველზეც დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის სწავლის შედეგების დადასტურებისა და მოდულის ცალკეული შედეგების დადასტურების თავსებადობის საკითხი. აღნიშნული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით საკითხი გადაეცემა კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს, რომელიც კოლეჯის დირექტორს წარუდგენს სამსახურებრივ ბარათს, სადაც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა შესაბამის პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა (საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით კოლეჯი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას წინამდებარე წესის მიხედვით)".

გ) ბრძანებით დამტკიცებული წესის 33-ე მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"12. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის შემთხვევაში კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. ასევე შიდა მობილობის შემთხვევაში კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა, მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში".
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. უზრუნველყოფილ იქნას წინამდებარე ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

ნ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

№ 00006175

23/06/2023

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული წესის 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"**მუხლი 32. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადება;

ბ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება 5 წლის ვადით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, თუ პროფესიულმა სტუდენტმა დაადასტურა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის სწავლის შედეგი;

დ) გარდაცვალება.

3. კოლეჯი ვალდებულია პროფესიული სტუდენტისათვის (კანონიერი წარმომადგენლისთვის/მხარდამჭერისთვის განცხადება) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს, სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის სპეციფიკის გათვალისწინებით, აცნობოს პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება კოლეჯის დირექტორის დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა

მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მომქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით".

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. უზრუნველყოფილ იქნას წინამდებარე ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

ნ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

№ 00006131

22/06/2023

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში:
ა) ბრძანებით დამტკიცებული წესის 47-ე მუხლის მე-13 პუნქტი ამოღებულ იქნას.
ბ) ბრძანებით დამტკიცებული წესის 53-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"4. საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა ეყრდნობა კოლეჯის მიერ შემუშავებულ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და არ სცილდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს".
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. უზრუნველყოფილ იქნას წინამდებარე ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

რ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

№ 00012283

19/12/2022

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში:
ა) ბრძანებით დამტკიცებული წესის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადაა 5 წელი".
ბ) ბრძანებით დამტკიცებული წესის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება 5 წლის ვადით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;“
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. უზრუნველყოფილ იქნას წინამდებარე ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

რ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

№ 00012015

22/09/2022

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში საჭიროა გასწორდეს ცალკეული ტექნიკური ხარვეზები, რის გამოც მიზანშეწონილია მისი გადამტკიცება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში და ბრძანების დანართი შეიცვალოს თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. უზრუნველყოფილ იქნას წინამდებარე ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

რ. მაჭარაშვილი

დანართი



შპს ორიენტირის

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

2022 წ

შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებანი
მუხლი 1. რეგულირების სფერო

თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა
მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
მუხლი 3. პროფესიული მომზადების პროგრამა და პროფესიული გადამზადების პროგრამა
მუხლი 4. მოდულის ადაპტირება
მუხლი 5. სასწავლო გეგმის შედგენა
მუხლი 6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
მუხლი 7. მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი
მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა /გაუქმება

თავი III. პროფესიული სტუდენტი
მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვება
მუხლი 10. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება
მუხლი 11. პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები
მუხლი 12. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება
მუხლი 13. აპლიკანტთა შერჩევა
მუხლი 14. შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის ინფორმირება
მუხლი 15. გასაუბრებაში მონაწილეობის უფლება
მუხლი 16. შესარჩევი კომისიის შექმნა
მუხლი 17. მოტივაციური გასაუბრება
მუხლი 18. აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში (განმეორებით) შეფასების უზრუნველყოფის წესი და პირობები
მუხლი 19. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების აპელაციის წესი და ვადები
მუხლი 20. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა
მუხლი 21. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება
მუხლი 22. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის ადმინისტრირება
მუხლი 23. შეფასების პროცესი
მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები/მოვალეობები
მუხლი 25. სტუდენტის/მსმენელის ქცევის წესები და პასუხისმგებლობა
მუხლი 26. სწავლის საფასური
მუხლი 27. პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური, ფინანსური ვალდებულებები, პასუხისმგებლობის ფორმები და წახალისება
მუხლი 28. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა
მუხლი 29. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველყოფა

მუხლი 30. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა
მუხლი 31. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება
მუხლი 32. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა
მუხლი 33. მობილობა
მუხლი 34. ფორმალური განათლების აღიარება
მუხლი 35. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი
მუხლი 36. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება
მუხლი 37. კრედიტების განაწილება
მუხლი 38. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა
მუხლი 39. კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

თავი VI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით შეთავაზებული სერვისები
მუხლი 40. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
მუხლი 41. კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესი

თავი IV. სასწავლო პროცესის მართვა
მუხლი 42. სასწავლო პროცესი
მუხლი 43. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება
მუხლი 44. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა
მუხლი 45. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურა
მუხლი 46. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია
მუხლი 47. მიღებული განათლების აღიარება
მუხლი 48. ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფა
მუხლი 49. შეფასების უწყისი
მუხლი 50. პროგრამის განხორციელების გეგმა
მუხლი 51. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შეძენა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა
მუხლი 52. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია
მუხლი 53. საკვალიფკაციო გამოცდის ჩატარების მექანიზმი
მუხლი 54. საკვალიფიკაციო კომისიის უფლებამოსილება
მუხლი 55. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მოსამზადებელი ეტაპი
მუხლი 56. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება
მუხლი 57. საკვალიფიკაციო გამოცდის სააპელაციო კომისია
მუხლი 58. განმეორებითი გამოცდა
მუხლი 59. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა
მუხლი 60. კოლეჯის მოქმედება პანდემიის პირობებში
მუხლი 61. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში წესი) შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და არეგულირებს შპს ორიენტირში (შემდგომში კოლეჯი) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების წესს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს; პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, შეფასების რეგულაციებს, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის/შემუშავების/განვითარების პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ინსტრუმენტების ვალიდაციას, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხებს, შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას, მტკიცებულებების მოპოვების, აღრიცხვისა და შენახვის წესს, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს და პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელების საკითხებს.

2. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტარციულ სამართლებლივი აქტებით რეგულირდება ის საკითხები, რომელიც არ არის ასახული წინამდებარე წესში.

თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის კოლეჯის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რაც გულისხმობს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;

2. პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას, სტრატეგიულ გეგმას და მისი შემუშავებისა და განხორციელების გადაწყვეტილება შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ კოლეჯის მიერ ჩატარებული მოკვლევა რეგიონის/ქვეყნის შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ, პროფესიულ სტუდენტთა/აპლიკანტთა გამოკითხვის შედეგები ან/და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.)

3. პროგრამის შინაარსი განისაზღვრება შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის/საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით;
4. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესის შესაბამისად.
5. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ ჩარჩო დოკუმენტთან/საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას.
6. პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს საგანმანათლებლო სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი, თუმცა, შესაძლოა არსებობდეს სხვა დამატებითი სამართლებრივი საფუძვლებიც, როგორიცაა 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“, ან სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი.

მუხლი 3. პროფესიული მომზადების პროგრამა და პროფესიული გადამზადების პროგრამა

1. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის შემუშავება ხდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსის ხელმძღვანელობით პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობით. შემუშავებული პროგრამა გადაეცემა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომელიც პროგრამის შესახებ ამზადებს საბოლოო დასკვნას. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროგრამის თაობაზე დადებითი დასკვნის შემთხვევაში დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
2. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამის განხორციელების მიზანს წარმოადგენს ფორმალური განათლების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის-სერტიფიკატის გაცემა.
3. უფლების მოპოვების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) იურიდიული პირის მიერ ელექტრონული განაცხადის გაკეთება უფლების მოპოვების მიზნით;
ბ) საბჭოს აპარატის მიერ ელექტრონული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის განხილვა;
გ) საბჭოს აპარატის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ამ წესით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება;
დ) საბჭოს აპარატის მიერ დასკვნის მომზადება და საბჭოსთვის წარდგენა;
ე) ზეპირი მოსმენის გამართვა;
ვ) გადაწყვეტილების მიღება, ელექტრონულ სისტემაში ასახვა და მისი გამოქვეყნება.
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია, მსმენელთა ახალი მიღების გამოცხადებამდე ცენტრს წარუდგინოს შეცვლილი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა.
5. ცენტრი განიხილავს შეცვლილ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას, ადგენს მის შესაბამისობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებას და იღებს

გადაწყვეტილებას შეცვლილი პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ასახვის ან მისი ამოღების შესახებ.

6. სტანდარტების შესრულების შემოწმების მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია, იურიდიული პირისგან/საგანმანათლებლო დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია და/ან გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ექსპერტის მიერ მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების ან ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების შესახებ. ცენტრი უფლებამოსილია, ექსპერტს/ექსპერტთა ჯგუფს მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების გარეშე დაავალოს დოკუმენტაციის შესწავლა. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მონიტორინგის ვიზიტის შესახებ იურიდიულ პირს/საგანმანათლებლო დაწესებულებას წარედგინება უშუალოდ ვიზიტის დროს.

მუხლი 4. მოდულის ადაპტირება

1. ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების შემდეგ უნდა განხორციელდეს მასში შემავალი თითოეული მოდულის ადაპტირება.

2. მოდული წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის შემადგენელ კომპონენტს და მტკიცდება მასთან ერთად. მოდულში ცვლილების აუცილებლობის შემთხვევაში გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის შესაბამის დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. როგორც პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ასევე მოდულებს სავალდებულოა გაუკეთდეს თავფურცელი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N--, შპს ორიენტირი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მოდულის სტატუსი) და მიეთითოს პროგრამის ძირითადი დოკუმენტის დანართებად.

4. მოდულები შედგება სამი ნაწილისაგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.

5. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება დაუშვებელია.

6. ჩარჩო-დოკუმენტის/მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში შეუსაბამოებების აღმოჩენის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

7. დამხმარე ჩანაწერები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სასწავლო თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში, სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდები, მტკიცებულებების შეგროვებისა და მოდულის განხორციელების მიდგომები, საათების გადანაწილების სქემა.

8. საათების განაწილების სქემაში შესაძლებელია აისახოს განხორციელების მიდგომები, თუმცა განსაზღვრული საათების გადანაწილების სქემაში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების საბოლოო ჯამი უნდა დარჩეს უცვლელი, ისე როგორც ჩარჩო-დოკუმენტში/მოდულში.

9. მოდული შესაძლებელია მოიცავდეს რეკომენდაციებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების(სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების, კერძოდ საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის.

მუხლი 5. სასწავლო გეგმის შედგენა

1. ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულების ადაპტირების შემდეგ, კოლეჯმა უნდა შეიმუშაოს სასწავლო გეგმა.
2. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები.
3. სასწავლო გეგმა თავის თავში მოიცავს სასწავლო გეგმას ,,ქართული ენა A2“ და ,,ქართული ენა B1“ მოდულების გარეშე და სასწავლო გეგმას ,,ქართული ენა A2" და ,,ქართული ენა B1“ მოდულებისათვის, ხოლო მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის - ,,ქართული ენა A2".
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულია პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: მოცულობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე. შესაბამისად შეიცლება სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაც.
5. როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ორ კვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა.
6. კვირაში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს, ხოლო მესამე დონის არასრულწლოვანი პტოფესიული სტუდენტებისთვის - 36 საათს.

მუხლი 6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად კოლეჯის მიერ მუშავდება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის) ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პროფესიული სტუდენტის/სტუდენტებისათვის.

5. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მითითებული უნდა იყოს: მოდულის/მოდულების სტატუსი, მოდულის/მოდულების დასახელება, მოდულზე დაშვების წინაპირობა, კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო საატების ჩატარების გრაფიკი და სხვ.
6. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროება წარმოიქმნება, იმ შემთხვევაში, თუ :
ა) კოლეჯში სწავლობს სსსმ/შშმ სტუდენტი/მსმენელი, რომელიც შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ აღწევს სწავლის შედეგების დადასტურებას;
ბ) სტატუს შეჩერებულ პროფესიულ სტუდენტს აღუდგა სტატუსი;
გ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმება ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღება ან პროგრამის შეცვლა/გაუქმება, როდესაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
დ)მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან.
7. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა , პროგრამული უზრუნველყოფა და სასწავლო რესურსების ადაპტირება. სასწავლო რესურსების ადაპტირებაში იგულისხმება ასევე, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები.
8. წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი მიმართავს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სამსახურს, რის შემდგომაც აღნიშნული სამსახურის წარმომადგენლი და პროგრამის ხელმძღვანელი ესწრებიან სასწავლო პროცესს დაკვირვების მიზნით. თუ ფაქტი დადასტურდა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის წარმომადგენელი პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ განათლების მასწავლებელთან/პრაქტიკის ხელმძღვანელთან და შესაბამისი სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის ასისტენთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
9. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის და მის ფარგლებში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგების შესაბამისად, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება პროფესიულის საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნების შესაბამისად.
10. წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი პროგრამის

ხელმძღვანელთან ერთად, პროფესიული სტუდენტის აქტიური მონაწილეობით შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას 5 სამუშაო დღეში მისი საჭიროების წარმოშობის მომენტიდან.
11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თანხმდება პროფესიულ სტუდენტთან, რაც დასტურდება ხელმოწერით;
12. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხდება შეთანხმება პროფესიულ სტუდენტთან, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავიდან შემუშავება/გადამუშავება.
13. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
14. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები.
15. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას და მის მიმდინარეობას მუდმივ კონტროლს უწევს და აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 7. მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი

1. შპს ორიენტირში მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით, არსებული ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე დაყრდნობით, დირექტორის მიერ შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემის გზით, შესაძლებელია განხორციელდეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება.
ინტეგრირების მიზანია:
ა) საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება
ბ) ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება
გ) ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემა.
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მოთხოვნების ასახვას ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საშუალო პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამის იმ კომპონენტებში, რომლებიც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების ან/და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზე.
4. „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანების საფუძველზე, კოლეჯში ადაპტირდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ზოგადი მოდულებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის სავალდებულო საგანთა ჯგუფის გაერთიანებით, დამტკიცებული შემდეგი ინტეგრირებული ზოგადი მოდულები:
ა) კომუნიკაცია ქართულ ენაზე;
ბ) მათემატიკური წიგნიერება;
გ) მოქალაქეობა;
დ) მეწარმეობა;
ე) მეცნიერება და ტექნოლოგიები.
5 აღნიშნული მოდულების კოლეჯში ადაპტირებისა და შემუშავებისას გამოყენებულია, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ზოგადი მოდულები, ასევე ეროვნული

სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის სავალდებულო საგანთა ჯგუფი საგნობრივი პროგრამებიდან:
ა) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ზოგადი მოდულები:
ა.ა) კომუნიკაცია;
ა.ბ) რაოდენობრივი წიგნიერება;
ა.გ) სამოქალაქო განათლება;
ა.დ) პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები;
ა.ე) მეწარმეობა.
ბ) ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის სავალდებულო საგანთა ჯგუფის საგნობრივი პროგრამები
ბ.ა) ქართული ენა და ლიტერატურა;
ბ.ბ) მათემატიკა;
ბ.გ) ისტორია;
ბ.დ) სამოქალაქო განათლება;
ბ.ე) გეოგრაფია;
ბ.ვ) ქიმია;
ბ.ზ) ბიოლოგია;
ბ.თ) ფიზიკა.
6. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინტეგრირებული ზოგადი მოდულები წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საშუალო პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამის შემადგენელ ნაწილს და დაუშვებელია მათი პროგრამისგან დამოუკიდებლად განხორციელება.
7. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ადაპტირება და დანერგვა შპს ორიენტირში განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით.
8. საშუალო პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეადგენს არანაკლებ 3 წელს.
9. პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა.
10. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა /გაუქმება

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის მიზნით, ხორციელდება კოლეჯის მიერ ინიცირება, რომელსაც წარუდგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს განსახილველად;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:
ა) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა;
ბ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების შესახებ;
გ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.
4. კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, შეისწავლის გასაუქმებელი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავსებად, მონათესავე მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისობის განსაზღვრას არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებს შორის.
6. შეცვლილ/გაუქმებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების კრედიტების აღიარებას ახდენს კრედიტების აღიარების კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:
ა) შეცვლილი/გაუქმებული ან მოდიფიცირებული/მონათესავე მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლები;
ბ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
გ) სხვა პირები კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით.
7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმიზაციის შემთხვევაში პროგრამის გაუქმების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ შემუშავებული დასკვნისა და კოლეჯის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობა მილევად რეჟიმში.
8. არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და წერილობით აცნობებს სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით.
9. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში მისი დამტკიცებიდან 3 სამუშაო დღეში აცნობოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების შესახებ. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია 5 სამუშაო დღეში მიიღოს გადაწყვეტილება და გამოხატოს თანხმობა დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

10. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული სტუდენტი ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ გამოხატავს თანხმობას დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ნიშნავს თანხმობის გამოხატვას პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებაზე.

თავი III. პროფესიული სტუდენტი

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვება

1. პროფესიულ სტუდენტად მიიჩნევა ის პირი, რომელიც ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ჩაირიცხა და სწავლობს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.
2. მსმენელი არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამაზე.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისს N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების შესაბამისად.
4. კოლეჯი აპლიკანტის მიერ დოკუმენტაციის წარდგენიდან საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან, აპლიკანტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;
5. წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათავალი:
ა) პირადი (არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
ბ) პასპორტი/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ) საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი იმ აპლიკანტებისთვის, რომლებსაც სურთ ჩაირიცხონ საშუალო საფეხურის იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (აპლიკანტს არ მოეთხოვება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ);
დ) მინიმუმ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტის) დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (აპლიკანტს არ მოეთხოვება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ).
ე) 2 ფოტო 3x4.
ვ) არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში - განმცხადებლის/ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის პირადობის მოწმობა და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სათანადო

უფლებამოსილებას წარმომადგენლობაზე (დაბადების მოწმობა/მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა).
6. სარეგიტრაციო განცხადება არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში შეივსება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ.
7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ:
ა) საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების ფორმა;
ბ) სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში:
ბ.ა) აუდიოგრამა (სმენის დარღვევის შემთხვევაში);
ბ.ბ) ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა (მხედველობის დარღვევის შემთხვევაში);
გ) ქცევითი და ემოციური აშლილობის შემთხვევაში, უფლებამოსილი სპეციალისტის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა;
დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
ე) მეურვის არსებობის შემთხვევაში დამატებით წარსადგენია:
ე.ა) მეურვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) ასლი და დედანი;
ე.ბ) მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
8. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.
9. აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია ასევე აპლიკანტის მიერ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში დოკუმენტების არ წარმოდგენა.
10. კოლეჯი ვალდებულია, აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
11. საბაზო პროფესიულ პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის:
ა) 70%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური;
ბ) 30%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს.
12. საშუალო პროფესიულ და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:
ა) 70%-ის ფარგლებში, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
ბ) პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის 30%-ის ფარგლებში, რეიტინგული სია დგება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.

13. დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ჩარიცხავს აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;
14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) რეგისტრაცია;
ბ) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ფუნქციური და აკადემიური უნარების შეფასება;
გ) აპლიკანტის მიერ პროფესიის პრაქტიკული მოსინჯვა;
დ) დაწესებულებაში ჩარიცხვა.
15. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე, როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.
16. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.
17. ამ მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმით ფილტრაციის შემთხვევაში თუ კონკურსში მონაწილე სსსმ აპლიკანტთა რაოდენობა აღემატება სსს მქონე პირებისთვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობას უპირატესობა მიენიჭებათ ასაკით უმცროს აპლიკანტებს.
18. ამ მუხლის მე-17 პუქნტით განსაზღვრული კრიტერიუმით ფილტრაციის შემთხვევაში თუ კონკურსში მონაწილე სსსმ აპლიკანტთა რაოდენობა აღემატება სსს მქონე პირებისთვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობას უპირატესობა მიენიჭებათ იმ აპლიკანტს, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახიდან.
19. სარეგიტრაციო განცხადება არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში შეივსება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ.
20. არასრულწლოვანი პირის პირადი საქმე ასევე უნდა მოიცავდეს არასწრულწლოვნის დაბადების მოწმობის ასლს, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლს, მეურვის შემთხვევაში კი მეურვეობის დამადასტურებელ დოკუმენტს.
21. მსმენელს უფლება აქვს, დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობითა და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით.
22. დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა შესაბამისი მონაცემები უნდა აისახოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანების (საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ) მოთხოვნების დაცვით (evet.emis.ge);

23. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შესახებ შეტანილი ყოველგვარი ცვლილების შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. დაუშვებელია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა მონაცემებში ცვლილებების შეტანა კოლეჯის დირექტორის ბრძანების გარეშე.

მუხლი 10. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1. კოლეჯი დაინტერესებულ პირს, მომართვის შემთხვევაში, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, აცნობს:
ა) პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებს;
ბ)კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და შერჩევის თავისებურებებს;
გ) პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურებს და საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება რეგისტრაციაში.
დ) საგანმანათლებლო სერვისებს, მათ შორის, პროგრამის თავისებურებებს (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) და სხვა.
2. კოლეჯი დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას ახორციელებს მომართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში.

მუხლი 11. პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
გ) შერჩევა;
დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა;
ე) შედეგების გამოცხადება, პროგრამაზე ჩარიცხვა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება;
ვ) დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 12. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, კოლეჯი ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად, რომელშიც აისახება ინფორმაცია დაწესებულების, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ.

მუხლი 6. აპლიკანტთა რეგისტრაცია
1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად.
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.
3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.

4. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.
5. შერჩევის პერიოდი და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 13. აპლიკანტთა შერჩევა

1. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას.
2. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე.
3. შეფასება ტარდება დაწესებულებაში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.
4. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და გასაუბრების საფუძველზე.
5.საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და გასაუბრების საფუძველზე.
6. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს, აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და გასაუბრების საფუძველზე.
7.უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. პროგრამაზე მიღებისთვის ტესტირებასთან ერთად, შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამატებით განსაზღვრული იყოს გასაუბრება/პრაქტიკული მოსინჯვა. თუ პროგრამაზე მიღებისთვის ტესტირებასთან ერთად დადგენილია შეფასება დაწესებულების მიერ, თითოეული შეფასების შედეგების ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%.
8. კოლეჯის მიერ საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს შერჩევის ფორმა თითოეული მიღებისთვის, ან/და პროგრამისთვის განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 14. შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის ინფორმირება

1. დაწესებულებაში თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის აპლიკანტთა შეფასების თარიღები და დრო განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინიტრაციული-სამართლებრივი აქტით, შერჩევის პერიოდის გათვალისწინებით. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და განთავსდება

დაწესებულების ოფიციალურ ვებ გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.
2. აპლიკანტები შეფასების თარიღების და დროის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ სატელეფონო შეტყობინებით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შეფასების პროცესამდე მინიმუმ ხუთი სამუშაო დღით ადრე.
3. აპლიკანტებს შერჩევის პირობების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ შერჩევის დღეს შესარჩევი კომისიის მიერ.
4. აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შერჩევაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი არ დაიშვება კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შერჩევაზე.

მუხლი 15. გასაუბრებაში მონაწილეობის უფლება

1. გასაუბრებაში მონაწილეობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომელზე შერჩევის ფორმად კონკრეტული მიღებისთვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია გასაუბრება.
2. გასაუბრებას ატარებს შესარჩევი კომისია, რომელიც თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მტკიცდება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტით.

მუხლი 16. შესარჩევი კომისიის შექმნა

1. შესარჩევი კომისია შედგება არანაკლებ სამი წევრისგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრ(ებ)ი. აუცილებელია კომისიაში შედიოდეს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომდაგენლელი.
2. კომისიის წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ.
3. აპლიკანტთა შეფასება არის დიფერენცირებული და განისაზღვრება დანართების შესაბამისად.
4. გასაუბრებისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
5. შესარჩევი კომისიის მიერ ხდება შედეგების შეჯერება და პროგრამის ფარგლებში მისაღები კვოტის შესაბამისად იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომელთაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი-რეიტინგული სიებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ.
6. საგანამანათლებლო პროგრამებზე კონკურსის შედეგები აისახება შესაბამის კომისიის სხდომის ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.
7. კომისიის წევრი ვალდებულია გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის მოთხოვნების თანახმად.
8. განცხადება თვითაცილების თაობაზე კომისიის წევრმა უნდა გააკეთოს იმ მომენტში, როცა მისთვის ცნობილი გახდა თვითაცილების საფუძვლის არსებობის შესახებ. კომისიის წევრის მიერ თვითაცილების თაობაზე განცხადების გაკეთების შემთხვევაში, კომისიის წევრი ჩანაცვლდება დირექტორის ბრძანებით მხოლოდ კონკრეტულ აპლიკანტთან დაკავშირებით.

მუხლი 17. მოტივაციური გასაუბრება

მოტივაციური გასაუბრება ტარდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჩარიცხვის წესის და პირობების შესაბამისად.

მუხლი 18. აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში (განმეორებით) შეფასების უზრუნველყოფის წესი და პირობები

1. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება შეფასებაზე, მას საშუალება აქვს განმეორებით ერთხელ გავიდეს ტესტირებაზე/გასაუბრებაზე, რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს შეფასების თარიღიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში და წარადგენს გამოუცხადებლობის მტკიცებულებას.
2. განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს.
3. განმეორებითი შეფასება ტარდება განცხადების წარდგენიდან მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში.
4. განმეორებითი შეფასების შედეგები აპლიკანტს ეცნობება შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 (ორ) სამუშაო დღეში.

მუხლი 19. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების აპელაციის წესი და ვადები

1. აპლიკანტს უფლება აქვს წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს შედეგები მისი გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
2. საჩივრის განხილვის მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს იქმნება სააპელაციო კომისია (მინიმუმ 3 წევრი), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება საჩივრის შინაარსის მიხედვით, გასაჩივრებულია პროცედურული საკითხები თუ მიღებული შეფასება.
3. სააპელაციო კომისიაში შეიძლება შედიოდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დარგის სპეციალისტები, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები. აუცილებელის სააპელაციო კომისიაში შედიოდეს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.
4. სააპელაციო კომისია კომპლექტდება იმ პირებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შერჩევის პროცესში.
5. სააპელაციო კომისია ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს.
6. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს და უფლება აქვს ტესტირებისას აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, ხელახლა შეაფასოს ნამუშევარი და დაწეროს უფრო მაღალი/დაბალი შეფასება. ტესტირების პროცედურის დარღვევისას , შეცვალოს ან/და დატოვოს იგივე შეფასება.
7. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს, ეცნობა შესარჩევი კომისიის მუშაობის ამსახველ ოქმს (გასაუბრებისას) და იღებს გადაწყვეტილებას შეფასების კომისიის მიერ დაწერილი ქულის ძალაში დატოვების ან/და შეცვლის შესახებ. საკითხის მოკვლევისას შესაძლებელია განხორციელდეს აპლიკანტთან და კომისიის წევრებთან გასაუბრება.
8. სააპელაციო კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) აპლიკანტის მიერ შერჩევის პროცედურის დარღვევისას – მისი ნული ქულით შეფასების თაობაზე;

ბ) აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში – მისი შეფასების გადახედვის თაობაზე.

9. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
10. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
11. სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგი აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.

მუხლი 20. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება აქვთ
ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში,უმარლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
გ) საქართველოს მოქალაქეები და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013მუხლით გათვალისწინებული პირები, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს.
2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში ამ წესით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.
4. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი და ინფორმაცია აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე გათვალისწინებული აპლიკანტების ჩარიცხვა სრულდება დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების გათვალისწინებულ ეტაპამდე.

მუხლი 21. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება

1. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით კოლეჯი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ასახავს ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

2. შესავსები ადგილების რაოდენობა განისაზღვრება ჩარიცხვის დასრულების შემდეგ პროგრამაზე მისაღები ადგილებიდან დარჩენილი თავისუფალი ადგილების მიხედვით.
3. მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს, იმ აპლიკანტებისათვის დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელთაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. პროგრამებზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევა, რეიტინგული სიების შედგენა, შედეგების ასახვა და ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მონისტრის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.
5. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების პროცესი სრულდება დაწესებულების მიერ სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მუხლი 22. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის ადმინისტრირება
1. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის ადმინისტრირება განსაზღვრავს კოლეჯის საფინანსო სერვისების მესამე და კბილის ტექნიკოსის მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, სტუდენტთა შერჩევის მეთოდად განსაზღვრული მოტივაციური გასაუბრების ადმინისტრირებას და ამ პროცესში ჩართული პირების უფლება-მოვალეობებს.
2. მოტივაციური გასაუბრების მიზანია აპლიკანტის სწავლისადმი მზაობისა და კომპეტენციების ეფექტიანად გაზომვა.
3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის ადმინისტრირების პროცესი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის მეთოდად, კოლეჯის მიერ განისაზღვრა მოტივაციური გასაუბრება.
4. მოტივაციური გასაუბრების შეუფერხებლად ადმინისტრირებისთვის კოლეჯი გამოყოფს შერჩევის პროცესის ადმინისტრატორს, რომლის მოვალეობებია:
ა) აპლიკანტებსა და კომისიის წევრებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა და გასაუბრების პროცესის დაგეგმვა;
ბ) შერჩევის პროცესის ელექტრონულ ბაზაში, პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების გადამოწმება და საბოლოო სიაზე შეჯერება;
გ) შერჩევის პროცესის ადმინისტრებამდე 1 კვირით ადრე პროგრამაზე დარეგისტრირებულ ყველა აპლიკანტთან დაკავშირება, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა მათგანი ინფორმირებულია შერჩევის თარიღების შესახებ;
დ) დარწმუნდეს, რომ პროგრამაზე დარეგისტრირებულმა ყველა აპლიკანტმა იცის კოლეჯის მისამართი და მისასვლელი გზა;
ე) ინტერვიუმდე ერთი დღით ადრე, პროგრამაზე დარეგისტრირებულ ყველა აპლიკანტთან დაკავშირება და გასაუბრებაზე გამოცხადების დროს, მისამართის და გასაუბრების ხანგრძლივობის შეხსენება.
ვ) თუ აპლიკანტ(ებ)ის ინტერვიუს დრო ემთხვევა სხვა პროგრამის შერჩევას, ადმინისტრატორი აპლიკანტ(ებ)თან და კომისიის წევრებთან შეთანხმებით, შეჯერდება გასაუბრების დამატებით დროზე. ადმინისტრატორმა უნდა გადაამოწმოს EMIS-თან, მართლაც ემთხვევა თუ არა აპლიკანტს გასაუბრება სხვა გამოცდაზე, რათა გამოირიცხოს არასაპატიო მიზეზები;
ზ) შერჩევის ადმინისტრირებამდე, ინტერვიუს ჩასატარებელ ოთახში მშვიდი და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა და მოწესრიგება, ასევე COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ დადგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება;

თ) თუ აპლიკანტთა რაოდენობის გათვალისწინებით, წინასწარ დაიგეგმოს გასაუბრების დღეთა რაოდენობა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს კომისიის წევრებს.
ი) გასაუბრების დაწყებამდე 30 წუთით ადრე მოიწვიოს კომისიის წევრები და გააცნოს ინტერვიუს ფორმა და ინტერვიუს შეფასების ფორმა;
კ) დეტალურად აუხსნას, ინტერვიუს სტრუქტურა და განუმარტოს, რომ წარმოდგენილი კითხვები სარეკომენდაციო და არ უზღუდავს კომისიის წევრს მისთვის სასურველი კითხვების დასმის უფლებას.
5. მოტივაციური გასაუბრების შეუფერხებლად ადმინისტრირებისთვის კოლეჯი გამოყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტს, რომლის მოვალეობებია:
ა) შერჩევის ადმინისტრირებამდე გაიაროს შესაბამისი ტრენინგი,
ბ) მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს EMIS-ის თანამშრომლებთან, რომლებმაც შეიმუშავეს მეთოდის მხარდამჭერი ონლაინ პლატფორმა;
გ) შერჩევის პროცესის დაწყებამდე საფუძვლიანად შეამოწმოს კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც შეფასებებისთვის უნდა გამოიყენონ კომისიის წევრებმა.
დ) შერჩევის პროცესის დაწყებამდე მცირედი ინსტრუქცია წარუდგინოს კომისიის წევრებს და დარწმუნდეს, რომ კომისიის ყველა წევრმა იცის, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ელექტრონული პლატფორმა აპლიკანტთა შეფასების პროცესში.
ე) შერჩევის პროცესის დაწყებამდე, საფუძვლიანად შეამოწმოს კოლეჯის ინტერნეტის ქსელი და ინტერნეტთან იმ კომპიუტერული ტექნიკის წვდომა, რომელსაც კომისიის წევრები იყენებენ აპლიკანტთა შეფასებისას.
ვ) ტექნიკური პრობლემის შემთხვევაში დაუკავშირდეს საინფორმაციო სისტემის თანამშრომელს და მათთან კომუნიკაციით აღმოფხვრა პრობლემა.

მუხლი 23. შეფასების პროცესი

1. მოტივაციური გასაუბრებისას კომისიის წევრები მუშაობენ მათთვის განკუთვნილ კომპიუტერზე, აფასებენ აპლიკანტებს და თითოეული აპლიკანტის შედეგები შეჰყავთ შესაბამის ელექტრონულ ფორმაში, რომელიც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ არის შემუშავებული.
2. კომისიის თითოეული წევრი ცალ-ცალკე აფასებს თითოეულ აპლიკანტს.
3. კომისიის წევრების შეფასებებს ადმინისტრატორები ასახავენ ელექტრონულ პლატფომაზე, შეფასებები იკრიბება და საშუალო არითმეტიკულის პრინციპით გასაუბრებაზე აპლიკანტის საშუალო ჯამური ქულა მიიღება.
4. მოტივაციური ინტერვიუს მაქსიმალურ ქულა არის 100, რომელსაც აგენერირებს EMIS-ის მიერ შემუშავებილი ელექტრონული პლატფორმა.
5. მოტივაციური გასაუბრების 6 კრიტერიუმიდან, მნიშვნელოვანია ორ - „ინფორმაცია პროფესიის შესახებ“ და „პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული მიზნები“ და აქვს მაღალი წონა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ კრიტერიუმში მიღებული ნედლი ქულა ავტომატურად მრავლდება 2-ზე და აპლიკანტის ქულა ავტომატურად ორმაგდება.
6. ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში მნიშვნელოვანია შემდეგი კრიტერიუმები: „ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლების მზაობა“, სადაც აპლიკანტის მიღებული ნედლი ქულა ავტომატურად მრავლდება 3-ზე და აპლიკანტის ქულა ავტომატურად სამმაგდება; კრიტერიუმებში „ინფორმაცია პროფესიის შესახებ“ და „პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული მიზნები“ მიღებული ნედლი ქულა ავტომატურად მრავლდება 2-ზე და აპლიკანტის ქულა ავტომატურად ორმაგდება.

7. მოტივაციურ გასაუბრებაში, როგორც ტიპურ, ისე ინტეგრირებული პროგრამებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 25 % (ქულა). რეიტინგულ სიებს ავტომატურად აკეთებს ელექტრონული ბაზა;

მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები/მოვალეობები

1. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში.
2. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებების/მსმენელს შეზღუდვა, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ წესით დადგენილი კოლეჯის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისათვის.
3. კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდასამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების გარდა კოლეჯის პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდასამართლებრივი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
ბ) ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
გ) მიიღოს კოლეჯის ადმინისტრაციისგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და კოლეჯის სხვა რესურსების შესახებ.
დ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
ე) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
ვ) მიიღოს მონაწილეობა კოლეჯის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებაში;
ზ) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;
თ) განახორციელოს მისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის სამართლებრივი რეგულაციებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.
4. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:
ა) დაიცვას კანონმდებლობის, კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნები;
გ) შეასრულოს კოლეჯთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
დ) დაიცვას სხვა პირების უფლებები და კანონიერი ინტერესები;
ე) სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით არ გამოიყენოს პლაგიატი;
ვ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას;
ზ) იმოქმედოს იმგვარად, რომ არ შეურაცყოს კოლეჯის პრესტიჟი;
თ) დაიცვას კოლეჯის ტერიტორიაზე ქცევის წესები, ეთიკის ნორმები კოლეჯის პერსონალთან და სხვა პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობაში;
5. კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტებს ეკრძალებათ გამოცხადება გარეგნულად მოუწესრიგებელი სახით, არაადეკვატური ჩაცმულობით და ჰიგიენის ნორმების დაუცველად.
6. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს წარადგინოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების ინიციატივა. ინიციატივის წარდგენა ხდება კოლეჯის შესაბამისი კოპმეტენციის

მქონე დირექტორის სახელზე განცხადების წარდგენით, რომელიც უნდა შეიცავდეს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების დეტალურ აღწერას, მოსალოდნელ შედეგებს, საჭირო რესურსებს და ვადებს. განცხადებას განიხილავს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი, რომელიც დადებით დასკვნას გასცემს იმ შემთხვევაში თუ ინიციატივა ეხება პროფესიულ, შემეცნებით, მსოფმხედველობის, განათლების, ინტელექტუალურ განვითარებას, აქტუალურ თემებზე დებატებს. გადაწყვეტილება დამატებითი/არაფორმალური აქტივობების განხორციელების შესახებ მიიღება კოლეჯის შესაბამისი კომპეტენციის მქონე დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით ინიციატივის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, რომელიც უნდა შეიცავდეს დაგეგმილ აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, ვადებს და რესურსებს. დამატებითი/არაფორმალური აქტივობების შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ინიციატორს ეცნობება დასაბუთებული უარი.

7. სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (ცნობის გაცემა, დიპლომის/სერთიფიკატის გაცემა, შიდა და გარე მობილობა, განათლების აღიარება და სხვა) უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადებში - არაუმეტეს 3 სამუშაო დღეში. განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია ეს ვადა მოიცავდეს უფრო მეტ დროს, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს.

მუხლი 25. სტუდენტის/მსმენელის ქცევის წესები და პასუხისმგებლობა

1. პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ დაწესებულების პრესტიჟს, ზუსტად დაიცვან კოლეჯის ტერიტორიაზე ქცევის წესები, აგრეთვე ეთიკის ნორმები კოლეჯის პერსონალთან და სხვა სტუდენტებთან/მსმენელებთან ურთიერთობაში.

2. კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ეკრძალებათ:

ა) თამბაქოს მოწევა კოლეჯის შენობაში;

ბ) ხმაური და მეცადინეობისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიწვევს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის გაფრთხილებას;

გ) კოლეჯის შენობის ტერიტორიაზე პოლიტიკური ხასიათის გამოსვლებისა და მიტინგების მოწყობა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;

დ) კოლეჯის შენობაში ცეცხლსასროლი ან გაზის იარაღით შესვლა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებასა და შესაბამის კანონით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას;

ე) კოლეჯის ტერიტორიაზე აზარტული თამაშები, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას.

ვ) ალკოჰოლური საშუალებების გამოყენება, ანალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ კოლეჯში გამოცხადება, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას.

ზ) ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება, გავრცელება, რაც გამოიწვევს ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

თ) გამოცდის ჩატარებისა და გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას; კოლეჯში გამოცხადება გარეგნულად მოუწესრიგებელი სახით, არაადეკვატური ჩაცმულობით და ჰიგიენის ნორმების დაუცველად, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;

ი) აუდიტორიული მეცადინეობის ხელის შეშლა ან ჩაშლა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;

კ) კოლეჯის შენობაში განცხადებების ჩამოხევა ან გაფუჭება, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;

ლ) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ან/და თანამშრომლებისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება, რომლის მიზანიც იყო აუდიტორიული მეცადინეობის ან გამოცდის ჩაშლა, ან

გაცდენების საპატიოდ ჩათვლა ან მისი ოჯახის წევრებთან დაწესებულების თანამშრომლობის კონტაქტისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;
მ) კოლეჯის ქონების დაზიანება, დაკარგვა ან დაუბრუნებლობა, რაც გამოიწვევს მიყენებული ზიანის
ანაზღაურების ვალდებულებას და გაფრთხილებას;
ნ) კოლეჯისათვის საჭირო დოკუმენტაციის უნებართვოდ აღება ან განადგურება, რაც გამოიწვევს ამ ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას.
ო) კოლეჯის ტერიტორიის (შენობისა და ეზოს) დანაგვიანება-დაბინძურება, რაც გამოიწვევს დასუფთავების ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას და გაფრთხილებას.

მუხლი 26. სწავლის საფასური

1. კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასური, (გარდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროფესიული სტუდენტებისა) განისაზღვრება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სწავლის საფასური არ იცვლება მოცემულ საფეხურზე სტუდენტის სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში (გარდა პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემდგომ სტატუსის აღდგენის შემთხვევაში).
2. ერთი კრედიტის საფასური არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული საფასური გაყოფილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების მთლიან რაოდენობაზე.
3. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შეიძლება დაწესდეს სწავლის განსხვავებული საფასური.
4. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწავლის საფასურის გადახდაში დაწესებული შეღავათის სახე და ოდენობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით
5. სწავლის საფასურთან დაკავშირებით, კოლეჯში მოქმედებს შეღავათები შემდეგი პირების მიმართ:
ა) ომისა და შეირაღებული ძალების ვეტერანები და მათი შვილები;
ბ) იძულებით გადაადგილებული პირები;
გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოქალაქეები;
დ) I და II ჯგუფის შშმ პირები;
ე) ორივე მშობლით ობოლი პირები, რომლებიც საჭიროებენ მეურვეობას;
ვ) სოციალურად დაუცველის სტატუსის მატარებელი პირები;
ზ) ერთი ოჯახიდან ერთზე მეტი სტუდენტის/მსმენელის სწავლის შემთხვევაში;
თ) სტუდენტის/მსმენელი, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახიდან.

მუხლი 27. პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური, ფინანსური ვალდებულებები, პასუხისმგებლობის ფორმები და წახალისება

1. პროფესიულ სტუდენტს, გარდა სახელმწიფო დაფინანსების მქონე პროფესიული სტუდენტისა, კოლეჯის წინაშე ეკისრება კოლეჯის მიერ დადგენილი წესითა და ვადებში გადაიხადოს ხელშეკრულებით ორმხრივად ხელმოწერილი (კოლეჯის დირექტორი, პროფესიული სტუდენტი ან მისი წარმომადგენელი) განსაზღვრული, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური/ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა გადასახადი;
2. პროფესიულ სტუდენტს კოლეჯის წინაშე ეკისრება:

ა) კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაზიანების შემთხვევაში გადაიხადოს ზარალის ასანაზღაურებელი თანხა;
ბ) ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში გადაიხადოს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით დადგენილი თანხა.
3. კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია დაადგინოს ამ დებულებით განსაზღვრული სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებული წესები, რომელიც გააუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების/ პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას.
4. კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია გარდა სწავლის საფასურის შეღავათებისა, განახორციელოს წარმატებული პროფესიული სტუდენტის წახალისება მატერიალური ან/და არამატერიალური ფორმით, რომელიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 28. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა

1. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ დოკუმენტითა და დაწესებულების ეთიკის ნორმებით;
2. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წარმოება არ უნდა ზღუდავდეს პროფესიული სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა ისეთი შემთხვევებისა თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტის დისციპლინური დევნის საკითხს წყვეტს სპეციალური კომისია, რომელიც დირექტორის ბძანებით იქმნება. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს საკუთარი საქმის განხილვას;
3. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;
4. დისციპლინური პასუხისმგებლობა გამოიყენება დაწესებულების პროფესიული სტუდენტების მიმართ მათ მიერ დაწესებულების ტერიტორიაზე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში;
5. პროფესიული სტუდენტის მიმართ გამოიყენება შემდეგი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:
ა. გაფრთხილება;
ბ. მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 29. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველყოფა

1. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან ეფექტურ თანამშრომლობას.
2. კოლეჯში გამოყოფილია სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახდენს კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების/თანამშრომლების ინფორმირებას და ჩართულობას.
3. კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინტეგრაციას სასწავლო გარემოსთან და ორიენტირებულია გაარკვიოს მათი პრობლემები და საჭიროებები;
4. სტუდენტის/მსმენელის უკმაყოფილებას ეკიდება საქმიანად, აგვარებს პრობლემას და ახდენს შემდგომში მსგავსი შემთხვევის პრევენციას;
5. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი:
ა) უთმობს პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს საჭიროების შემთხვევაში დამატებით დროს;

ბ) იცავს პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობებისას ეთიკის ნორმებს;
გ) პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისთვის გამოყოფს შესაბამის სივრცეებს;
დ) პროფესიული სტუდენტის პრობლემებზე და მომართვებზე მაშინვე იწყებს რეაგირებას.
6. კოლეჯის თანამშრომლები ორიენტირებული არიან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და მოქნილი და თანამედროვე სასწავლო სისტემების შექმნაზე, შესაბამისად, აცნობიერებენ და ახდენენ მუდმივ მონიტორინგს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე და იღებენ მათგან უკუკავშირს.
7. კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებს სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით;
8. კოლეჯი გამოყოფს სივრცეებს სტუდენტთა დასვენებისა და გართობისათვის;
9. კოლეჯი უზრუნველყოფს შენობის გათბობას ზამთრის პერიოდში; ბიბლიოთეკას, უზრუნველყოფილს ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით; პირველად სამედიცინო დახმარებას; სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვას; მოწესრიგებულ სველ წერტილებს, წყლის უწყვეტი მიწოდებით;
10. კოლეჯი სისტემატურად ზრუნავს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესებასა და გამრავალფეროვნებაზე.

მუხლი 30. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა

1. კოლეჯი ქმნის პირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის განათლების მისაღებად და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის საზოგადოებაში;
2. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტების შენობაში თავისუფალ გადაადგილებას. შენობაში, რომელშიც ფუნქციონირებს კოლეჯში შემოსვლა შესაძლებელია პანდუსით, ასევე კოლეჯის მფლობელობაში არსებულ სართულებზე მოხვედრა შესაძლებელია პანდუსით. სსსმ პირებს თავისუფლად შეუძლიათ მივიდნენ აუდიოტორიებში. ხელმისაწვდომია ყველა სახის სერვისი (სველი წერტილებით სარგებლობა, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული კლასით სარგებლობა და სხვ.), რაც საჭიროა მათთვის შესაბამისი განათლების მისაღებად;
3. კოლეჯის კედლებზე თვალსაჩინოდ გამოკრულია გადაადგილების უნარშეზუდული პირის აღმნიშვნელი ნიშანი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირს შეუძლია დახმარების გარეშე დაადგინოს გადაადგილების მარშრუტი;
4. კოლეჯის დაცვის წარმომადგენელი ვალდებულია აღნიშნულ პირებს აღმოუჩინოს ყველანაირი დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას კოლეჯის შენობაში. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, რომ თუ აღნიშნულ პირებს, მათთვის სპეციალურად მოწყობილი პანდუსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც დასჭირდებათ დახმარება, დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს დაცვის ნებისმიერმა თანამშრომელმა ან/და სპეციალურად აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის კოლეჯის მიერ დანიშნულმა პირმა;
5. ზოგიერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ პროფესიული სტუდენტების დარეგისტრირებისას საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ახდენს პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებას სასწავლო პროგრამის სრულფასოვნად ათვისების შესაძლებლობის არსებობისა და პირობების უზრუნველყოფის მიზნით;

6. კოლეჯს, მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით, შეუძლია დაადგინოს ამ წესისგან განსხვავებული წესები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და აუმჯობესებდეს მომსახურების პროცედურებსა და ფორმებს;
7. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართლობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპიროებების დაძლევის გარეშე.
8. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების მიმართ შესაძელებლია გამოყენებულ იქნას შემდეგი სავარაუდო აქტივობები:
ა) ქცევითი და ემოციური აშლილობის, ინტელექტუალური სირთულეების, განვითარების დარღვევების შემთხვევაში:
ა. ა) სასწავლო მასალის აკომოდაცია;
ა.ბ) დროის გაზრდა;
ა.გ) დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობა;
ა.დ) პრაქტიკულ ნაწილზე მეტი დროის დათმობა;
ა.ე) სასწავლო მასალის თვალსაჩინოებით გამდიდრება;
ა.ვ) როლური თამაშები და მსგავსი აქტივობები;
ა.ზ) აუდიო და ვიდეო მასალების გამოყენება;
ა.თ) ზეპირი გამოკითხვა ნაცვლად წერითი გმოკითხვისა ან გამოკითხვის ტესტირებით ჩანაცვლება;
ა.ი) მოქმედების თანმიმდევრობის მანიშნებელი გეგმა;
ა.კ) შესვენების და დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი;
ა.ლ) კლავიატურის ადაპტირება (ყურადღების კონტრაციისას არასაჭრო ღილაკების გადაფარვა, ორენოვანი კლავიატურის შემთხვევაში მხოლოდ ერთი ტიპის ანბანის დატოვება კლავიატურაზე და ა. შ);
ა.მ) კალკულატორის გამოყენება;
ა.ნ) აუდიოჩამწერი;
ა.ო) დავალების შესრულებისას ყურსასმენის და ხმის დამხშობი საცობის გამოყენება ყურადღების დეფიციტის შემთხვევაში;
ა.პ) სასწავლო მასალის მოდიფიცირება - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
ბ) ფიზიკური შეზღუდვის დროს:
ბ.ა) დამატებითი ადამიანური რესურსი, მაგ.: მძღოლი, გადაადგილებისა და მობილობის მხარდამჭერი სპეციალისტი, სპეციალური ასისტენტი;
ბ.ბ) სასწავლო სივრცის შერჩევა, ავეჯის განლაგების შეცვლა, მაგ.: ეტლით მოსარგებლის შემთხვევაში.
გ) მხედველობის დარღვევის დროს:
გ.ა) ტექსტის ფონტის გაზრდა;
გ.ბ) მნიშვნელოვანი ადგილების მონიშვნა;
გ.გ) ინფორმაციის გამეორება;
გ.დ) აუდიომასალის მიწოდება;
გ.ე) აუდიოჩამწერის გამოყენება;
გ.ვ) წამკითხველი აპარატის გამოყენება;
გ.ზ) განათების რეგულირება;
გ.თ) ოპერაციული სისტემის ადაპტაცია;
გ.ი) გამადიდებელი ლუპის გამოყენება;

გ.კ) ადაპტირებული კლავიატურის გამოყენება (დიდი ფონტით ასოების დაბეჭდვა და კლავიშებზე გადაკვრა ზოგჯერ ფონის შეცვლით)
გ.ლ) ადამიანური რესურსი, მაგ: ასისტენტი, რომელიც გააკეთებს ჩანაწერებს მასალის მიწოდების დროს, აგრეთვე მონიშნავს პასუხებს ტესტირებისას.
დ) სმენის დარღვევების დროს:
დ.ა) ჟესტური თარჯიმნის დახმარება;
დ.ბ) ტექსტის ლექსიკის გამარტივება, უცნობი ცნებების ჩანაცვლება ნაცნობი ლექსიკით;
დ.გ) კომუნიკაციის ალტერნატიული გზის გამოყენება, მაგ. ბარათებით კომუნიკაცია;
დ.დ) ხმის გამაძლიერებელის გამოყენება.
9. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ მიიღება ინდივიდუალური გადაწყვეტილებები თითოეულ შემთხვევაში, რომელიც ეფუძნება მულტიდისპლინური გუნდის დასკვნას და რეკომენდაციებს, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის რეკომენდაციებს.

მუხლი 31. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება ნიშნავს კოლეჯსა და სტუდენტს შორის უფლება- მოვალეობების შესრულებისგან დროებით განთავისუფლებას.
2.პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს დროებით შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი;
3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
ა) პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადება მიზეზის მითითებით (მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი);
ბ) ფინანსური დავალიანება;
გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, თუ პროფესიულმა სტუდენტმა ვერ დაასრულა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
დ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რომელიც შეუთავსებელია სასწავლო პროცესთან.
4. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური პროგრამის) შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შესაბამის პერიოდში სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა უნდა შეთანხმდეს შესაბამის პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ კოლეჯისთან /სასწავლო საწარმოსთან;
5. პირადი განცხადების საფუძველზე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია თუ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს აღნიშნული პირისათვის პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწვეტის საფუძველი.
6. პროფესიულ სტუდენტის/მსმენელის სტატუსი შეუჩერდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
7. პროფესიული სტუდენტი რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება კოლეჯის სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
8. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის ფარგლებში, ხოლო შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოქმედებს წინამდებარე წესის მოთხოვნები.
9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადაა 3 წელი.
10. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლას გააგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
11. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
12. პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 32. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტად განიხილება კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.
2. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადება;
ბ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება 3 წლის ვადით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
გ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, თუ პროფესიულმა სტუდენტმა დაადასტურა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის სწავლის შედეგი;
დ) გარდაცვალება.
3. კოლეჯი ვალდებულია პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის (კანონიერი წარმომადგენლისთვის/მხარდამჭერისთვის განცხადება) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს, სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის სპეციფიკის გათვალისწინებით, აცნობოს პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება.
4. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება.
5. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება კოლეჯის დირექტორის დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მომქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 33. მობილობა

1. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მობილობის უფლებით.
2. პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიული სტუდენტის/მსმენელის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება.
3. მობილობა არსებობს ორი სახის: გარე მობილობა და შიდა მობილობა (შემდგომში მობილობა).
4. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის/მსმენლის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამ კოლეჯის პროფესიული სტუდენტი/მსმენელი.
5. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსი.
6. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
7. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.
8. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
9. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი განცხადებით მიმართავს მიმღებ კოლეჯს, ხოლო შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი განცხადებით მიმართავს იმავე კოლეჯს. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.
10. წინამდებარე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები, რომელთა საფუძველზეც დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის სწავლის შედეგების დადასტურებისა და მოდულის ცალკეული შედეგების დადასტურების თავსებადობის საკითხი. აღნიშნული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, მასში მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა შესაბამის პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა (საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით კოლეჯი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას წინამდებარე წესის მიხედვით).
11. კოლეჯი უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლებისა და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.
12. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

თავსებადობის დადგენის შემთხვევაში წინამდებარე მუხლის 9.10. პუნქტით გათვალისწინებული ოქმის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტის მობილობის ჩარიცხვის თაობაზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. ასევე შიდა მობილობის შემთხვევაში კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა, მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

13. კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა) კოლეჯს არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

14. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯისს ტუდენტს, რომლის ჩარიცხვაც განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის მომენტისათვის წარმოადგენს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯისსტუდენტს.

17. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და მოდულის/მოდულების შემუშავების განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით წინამდებარე წესის შესაბამისად. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია მოახდინოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ.

18. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი წერილობით ატყობინებს აღნიშნულს პროფესიულ სტუდენტს და განუმარტავს წინამდებარე წესით გათვალისწინებულ უფლებას.

მუხლი 34. ფორმალური განათლების აღიარება

1. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

2. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებისას შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შეიძლება დადგინდეს ერთი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სხვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, მათი ფორმულირების მიუხედავად.

მუხლი 35. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი

1. ტერმინთა განმარტება:

ა) აღიარება - პირის მიერ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგებთან თავსებადობის დადგენის გზით მისაღწევი სწავლის შედეგის დადასტურება;

ბ) პროგრამა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზნებისთვისაც ხორციელდება აღიარება;

გ) ფორმალური განათლება - განათლება, რომლის აღიარებაც შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

2. წარმოსადგენი განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

3. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი.

4. დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს;

5. თუ ასაღიარებელი სწავლის შედეგები მიღწეულია კოლეჯში, ფორმალური განათლების ფარგლებში სერთიფიკატის/დიპლომის და მისი დანართის განაცხადთან ერთად წარმოდგენა არ ხდება.

6. განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულეს განიხილავს საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი და განცხადების სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში 1 სამუშაო დღის ვადაში განცხადებას და თანდართულ დოკუმენტაციას განსახილველად გადასცემს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს.

7. განცხადების წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი განიხილავს წარმოდგენილ განცხადებას და დანართებს და თუ

განმცხადებელი კოლეჯს არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, დოკუმენტაციის წარმოსადგენად განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღეს.
8. თუ კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს, კოლეჯის დირექტორი გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
9. დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც გადაეცემა წარმოდგენილი დოკუმენტაცია განსახილველად.
10. კომისია შედგება მინიმუმ სამი წევრისგან.
11. კომისიის შემადგენლობაში შედიან:
ა) პროგრამის განმახორციელებელი პირი/პირები;
ბ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი;
გ) პროგრამის ხელმძღვანელი;
12. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები.
13. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
14. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
15. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
16. კომისიის მიერ განაცხადის განხილვის თარიღი დრო და ადგილი ეცნობება განმცხადებელს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსის მიერ;
17. განმცხადებელი უფლებამოსილია დაესწროს კომისიის სხდომას;
18. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;
ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
19. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება. მინიჭებული კრედიტების შესაბამისად პროფესიული სტუდენტის მიერ ხდება გადასახდელი თანხის პროპორციული ოდენობით დაკლება.
20. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
ა) დაწესებულების დასახელება;
ბ) განმცხადებლის ვინაობა;
გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლისშედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;
დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;

ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.
21. ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში გადაწყვეტილება ეცნობება განმცხადებელს იმ საკონტაქტო არხების საშუალებით, რომელიც მითითებული იყო წარმოდგენილ განცხადებაში.

მუხლი 36. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

1. პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალისტების მიერ, მიღებული ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით.
3. თუ პროგრამის უკვე ათვისებული კომპონენტის სახელწოდება მცირედით განსხვავდება კოლეჯის პროფესიული საგანმანათლბელო პროგრამის კომპონენტისაგან, თუმცა შინაარსობრივად, ასათვისებელი კვალიფიკაციების მიხედვით იდენტური ან თითქმის იდენტურია, ის შეიძლება იქნას აღიარებული კოლეჯის მიერ.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის სწავლის შეგები იდენტურია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების, მისი აღიარება ხდება ავტომატურად;
5. მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესებით, დარეგულირდეს დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 37. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარება

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N147 ბრძანებით.

მუხლი 38. კრედიტების განაწილება

1. კრედიტი გამოხატავს ცალკეული მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას).
2. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებს შორის. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს.
3. კრედიტების განაწილება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის უნდა იძლეოდეს მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას.

4. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა/დატვირთვა ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

მუხლი 39. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა

1. კოლეჯი ქმნის პირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის განათლების მისაღებად და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის საზოგადოებაში;
2. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტების შენობაში თავისუფალ გადაადგილებას. შენობაში, რომელშიც ფუნქციონირებს კოლეჯში შემოსვლა შესაძლებელია პანდუსით, ასევე კოლეჯის მფლობელობაში არსებულ სართულებზე მოხვედრა შესაძლებელია პანდუსით. სსსმ პირებს თავისუფლად შეუძლიათ მივიდნენ აუდიოტორიებში. ხელმისაწვდომია ყველა სახის სერვისი (სველი წერტილებით სარგებლობა, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული კლასით სარგებლობა და სხვ.), რაც საჭიროა მათთვის შესაბამისი განათლების მისაღებად;
3. კოლეჯის კედლებზე თვალსაჩინოდ გამოკრულია გადაადგილების უნარშეზუდული პირის აღმნიშვნელი ნიშანი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირს შეუძლია დახმარების გარეშე დაადგინოს გადაადგილების მარშრუტი;
4. კოლეჯის დაცვის წარმომადგენელი ვალდებულია აღნიშნულ პირებს აღმოუჩინოს ყველანაირი დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას კოლეჯის შენობაში. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, რომ თუ აღნიშნულ პირებს, მათთვის სპეციალურად მოწყობილი პანდუსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც დასჭირდებათ დახმარება, დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს დაცვის ნებისმიერმა თანამშრომელმა ან/და სპეციალურად აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის კოლეჯის მიერ დანიშნულმა პირმა;
5. ზოგიერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ პროფესიული სტუდენტების დარეგისტრირებისას საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ახდენს პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებას სასწავლო პროგრამის სრულფასოვნად ათვისების შესაძლებლობის არსებობისა და პირობების უზრუნველყოფის მიზნით;
6. კოლეჯს, მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით, შეუძლია დაადგინოს ამ წესისგან განსხვავებული წესები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და აუმჯობესებდეს მომსახურების პროცედურებსა და ფორმებს;
7. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართლობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპიროებების დაძლევის გარეშე.
8. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების მიმართ შესაძელებლია გამოყენებულ იქნას შემდეგი სავარაუდო აქტივობები:

ა) ქცევითი და ემოციური აშლილობის, ინტელექტუალური სირთულეების, განვითარების დარღვევების შემთხვევაში:

ა. ა) სასწავლო მასალის აკომოდაცია;

ა.ბ) დროის გაზრდა;

ა.გ) დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობა;

ა.დ) პრაქტიკულ ნაწილზე მეტი დროის დათმობა;

ა.ე) სასწავლო მასალის თვალსაჩინოებით გამდიდრება;

ა.ვ) როლური თამაშები და მსგავსი აქტივობები;

ა.ზ) აუდიო და ვიდეო მასალების გამოყენება;
ა.თ) ზეპირი გამოკითხვა ნაცვლად წერითი გმოკითხვისა ან გამოკითხვის ტესტირებით ჩანაცვლება;
ა.ი) მოქმედების თანმიმდევრობის მანიშნებელი გეგმა;
ა.კ) შესვენების და დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი;
ა.ლ) კლავიატურის ადაპტირება (ყურადღების კონტრაციისას არასაჭრო ღილაკების გადაფარვა, ორენოვანი კლავიატურის შემთხვევაში მხოლოდ ერთი ტიპის ანბანის დატოვება კლავიატურაზე და ა. შ);
ა.მ) კალკულატორის გამოყენება;
ა.ნ) აუდიოჩამწერი;
ა.ო) დავალების შესრულებისას ყურსასმენის და ხმის დამხშობი საცობის გამოყენება ყურადღების დეფიციტის შემთხვევაში;
ა.პ) სასწავლო მასალის მოდიფიცირება - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
ბ) ფიზიკური შეზღუდვის დროს:
ბ.ა) დამატებითი ადამიანური რესურსი, მაგ.: მძღოლი, გადაადგილებისა და მობილობის მხარდამჭერი სპეციალისტი, სპეციალური ასისტენტი;
ბ.ბ) სასწავლო სივრცის შერჩევა, ავეჯის განლაგების შეცვლა, მაგ.: ეტლით მოსარგებლის შემთხვევაში.
გ) მხედველობის დარღვევის დროს:
გ.ა) ტექსტის ფონტის გაზრდა;
გ.ბ) მნიშვნელოვანი ადგილების მონიშვნა;
გ.გ) ინფორმაციის გამეორება;
გ.დ) აუდიომასალის მიწოდება;
გ.ე) აუდიოჩამწერის გამოყენება;
გ.ვ) წამკითხველი აპარატის გამოყენება;
გ.ზ) განათების რეგულირება;
გ.თ) ოპერაციული სისტემის ადაპტაცია;
გ.ი) გამადიდებელი ლუპის გამოყენება;
გ.კ) ადაპტირებული კლავიატურის გამოყენება (დიდი ფონტით ასოების დაბეჭდვა და კლავიშებზე გადაკვრა ზოგჯერ ფონის შეცვლით)
გ.ლ) ადამიანური რესურსი, მაგ: ასისტენტი, რომელიც გააკეთებს ჩანაწერებს მასალის მიწოდების დროს, აგრეთვე მონიშნავს პასუხებს ტესტირებისას.
დ) სმენის დარღვევების დროს:
დ.ა) ჟესტური თარჯიმნის დახმარება;
დ.ბ) ტექსტის ლექსიკის გამარტივება, უცნობი ცნებების ჩანაცვლება ნაცნობი ლექსიკით;
დ.გ) კომუნიკაციის ალტერნატიული გზის გამოყენება, მაგ. ბარათებით კომუნიკაცია;
დ.დ) ხმის გამაძლიერებელის გამოყენება.
9. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ მიიღება ინდივიდუალური გადაწყეტილებები თითოეულ შემთხვევაში, რომელიც ეფუძნება მულტიდისპლინური გუნდის დასკვნას და რეკომენდაციებს, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის რეკომენდაციებს.

მუხლი 40. კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმებს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

ა) კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა პროფესიულ საგანმანთლებლო კოლეჯებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

ბ) კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობით უზრუნველყოფას.

გ) კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს.

2. წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება.

3. კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი უზრუნველყოფს ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომ განათლებას იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

4. იმ შემთხვევაში თუ კი პროფესიული სტუდენტი წერილობით უარს განაცხადებს წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მექანიზმებზე, კოლეჯი განახორციელებს შესაბამისი სერტიფიკატისა და სერტიფიკატის დანართის გაცემას აღნიშნული პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საფუძველზე.

თავი VI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით შეთავაზებული სერვისები

მუხლი 41. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

1. ბიბლიოთეკა მდებარეობს კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ფართში.

2. ბიბლიოთეკა მუშაობს:

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: დილის 10.00 სთ-დან – 18.00-მდე. შაბათს - დილის 10.00 სთ-დან-14.00 სთ-მდე

3. ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ ბიბლიოთეკაში გაწევრიანებულ პირებს.

4. ბიბლიოთეკაში გაწევრიანების უფლება აქვთ:

ა. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს;

ბ. კოლეჯის პერსონალს;

5. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება პროფესიული სტუდენტობის პერიოდში ერთხელ. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ერთხელ

გაწევრიანდება სწავლების პერიოდში, რჩება ბიბლიოთეკის წევრად სწავლების მთელი პერიოდისათვის.
6. პროფესიული სტუდენტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება დასტურდება მის მიერ სააპლიკაციო განაცხადის შევსებით.
7. კოლეჯის პროფესიული სტუდენტისათვის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება უფასოა.
8. კოლეჯის პერსონალის (ადმინისრაციული, პროგრამის განმახორციელებელი პირები (პროფესიული განათლების მასწავლებლები) ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება მათ მიერ შესაბამის პოზიციებზე ყოფნის განმავლობაში.
9. წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე,ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობააქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში, ან ქსეროქსზე გადაიღოს მისთვის საჭირო ადგილები, თუ მთელი წიგნი.
10. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლარის სახით. უპირატესად გაიცემა დაქსეროქსებული ეგზემპლარი, თუ კი ასეთი არსებობს.
11. ბიბლიოთეკიდან წიგნი გაიცემა სამი სამუშაო დღის ვადით. მკითხველი ვალდებულია წიგნი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას. თუმკითხველსწიგნიკვლავაცსჭირდება, მას შეუძლია ის ხელახლა გაიტანოს (ისევ სამი სამუშაო დღის ვადით), იმ შემთხვევაში, თუკი წიგნზე არ შემოსულა სხვა განაცხადი.
12. თუ წიგნის დაბრუნება ბიბლიოთეკაში არ მოხდა საჭირო დროს, აუცილებლად უნდა შეატყობინოთ ბიბლიოთეკას დროულად არ დაბრუნების მიზეზი. მიზეზის არასაპატიოდ ჩათვლის შემთხვევაში წიგნის გამტანი ვალდებულია დააბრუნოს წიგნი ორი დღის ვადაში, ორი დღის გადაცილების შემთხვევაში ყოველ გადაცილებულ დღეზე მკითხველი გადაიხდის ჯარიმას სამი ლარის ოდენობით.
13. წიგნის დაკარგვის ან ისეთი დოზით დაზიანების შემთხვევაში, როდესაც მისი გამოყენება შეუძლებელია, წიგნის გამტანი ვალდებულია ერთი დღის ვადაში ბიბლიოთეკაში მოიტანოს იგივე სახის წიგნი ან აანაზღაუროს გატანილი წიგნის საფასური კოლეჯის ფინანსური სამსახურის უფროსთან ანგარისწორებით.
14. წიგნის გატანის ვადის გახანგრძლივება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.
15. ბიბლიოთეკარს შეუძლია მოითხოვოს წიგნის თუ ბიბლიოთეკიდან გატანილი რომელიმე სხვა ნივთის (დისკის, ვიდეო-კასეტის) ვადაზე ადრე დაბრუნება.
16. ბიბლიოთეკის თანამშრომელს აქვს უფლება განსაკუთრებულ შემთხვევებში, კოლეჯის დირექტორის თანხმობით აკრძალოს ან შეცვალოს ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის წესი, ან არ გაატანოს წიგნი იმ პირებს, რომლებიც შემჩნეულნი არიან წიგნის დაგვიანებით დაბრუნებაში.
17. ბიბლიოთეკით მოსარგებლე ვალდებულია:
ა) წიგნის გამოყენების შემდეგ თვითნებურად არ დადოს წიგნი თაროზე,
ბ) წიგნი უნდა მიუბრუნოთ ბიბლიოთეკარს: ბიბლიოთეკის თანამშრომელი თვითონ დააბრუნებს მას ადგილზე.
გ) წიგნის თქვენთვის გადანახვის სურვილის შემთხვევაში თხოვნით მიმართეთ ბიბლიოთეკარს.
დ) დაუშვებელია სადილობა ბიბლიოთეკაში. ნებადართულია მხოლოდ ბოთლში ჩამოსხმული წყლის ან სასმელის თან ქონა.
18.ბიბლიოთეკაში სასტიკად აკრძალულია:
ა) მოწევა;
ბ) ხმაური და საუბარი;

გ) მობილური ტელეფონების გამოყენება;
დ) წიგნის არასწორად დადება, მისი დამალვის, ანუ სხვა პროფესიული სტუდენტისათვის წიგნის გამოყენების ხელისშეშლის მიზნით.
ე) წიგნის ან სასწავლომასალების ქურდობა, დაზიანება, დაფხაჭნა, ფურცლების ამოგლეჯა.
19. აღნიშნული წესებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ბიბლიოთეკა უფლებამოსილია დაუწესოს ბიბლიოთეკით სარგებლობის შეზღუდვა ასეთ მომხმარებელს და დააკისროს ჯარიმა,რომელსაც მომხმარებელი გადაიხდის კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ტარიფისშესაბამისად (ტარიფი განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რა შედეგი მოჰყვა მომხმარებლის მიერ ზემოთ აღნიშნული წესების დარღვევას).

მუხლი 42. კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესი

1. კომპიუტერული კლასი მდებარეობს კოლეჯის შენობაში.
2. კომპიუტერული კლასი მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით : დილის 09.00 სთ-დან – 18.00-მდე.
3.კომპიუტერული კლასით მოსარგებლე ვალდებულია:
ა) კომპიუტერის გამოყენების შემდეგ თვითნებრურად არ გათიშოს ქსელიდან;
ბ) კომპიუტერთან მუშაობის დასრულების შემდეგ უნდა აცნობოთ კომპიუტერული კლასის ზედამხედველს;
გ) დაუშვებელია კომპიუტერული პროგრამების არასასწავლო მიზნებისათვის გამოყენება;
დ) დაუშვებელია სადილობა კომპიუტერულ კლასში. ნებადართულია მხოლოდ ბოთლში ჩამოსხმული წყლის ან სასმელის თან ქონა.
4. კომპიუტერულ კლასში სასტიკად აკრძალულია:
ა) მოწევა;
ბ) ხმაური და საუბარი;
გ)მობილური ტელეფონების გამოყენება;
დ) კომპიუტერის აქსესუარების დაზიანება, დაფხაჭნა.
5. აღნიშნული წესებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია დაუწესოს კომპიუტერული კლასით სარგებლობის შეზღუდვა ასეთ მომხმარებელს და დააკისროს ჯარიმა,რომელსაც მომხმარებელი გადაიხდის კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად (ტარიფი განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რა შედეგი მოჰყვა მომხმარებლის მიერ ზემოთ აღნიშნული წესების დარღვევას)

თავი IV. სასწავლო პროცესის მართვა

მუხლი 43. სასწავლო პროცესი

1. კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობს კოლეჯის მისამართზე: ქალაქი თბილისი, დადიანის 26 და პრაქტიკის ობიექტებზე;
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების ზუსტი თარიღი და ასევე დასვენების პერიოდი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური და პრაქტიკის ხელმძღვანელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის დაწყებამდე ადგენს სასწავლო განრიგს (ცხრილს), ხოლო მოდულის განხორციელების კალენდარულ გეგმას მოდულის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს.

4. სასწავლო განრიგის განთავსება ხდება კოლეჯში თვალსაჩინო ადგილზე, ასევე, პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს/პრაქტიკის ხელმძღვანელებს მიეწოდებათ ელექტრონულად.
5. სასწავლო განრიგში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილება, რასაც ახორციელებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური და პრაქტიკის ხელმძღვანელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი.
6. კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ყოველდღიურად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა.
7. საკონტაქტო საათი განისაზღვრება 1 ასტრონომიული საათით (60 წუთი), საიდანაც უშუალოდ სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 50 წუთს, დასვენების ხანგრძლივობა-10 წუთს.
8. დღის განმავლობაში საკონტაქტო საათების მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს 8 საათი.

მუხლი 44. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

1. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება - კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
2. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური) შემთხვევაში შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს, როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების მიმართულებისა და სწავლის შედეგების მიხედვით.
5. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

მუხლი 45. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში კრედიტის მინიჭება ხდება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების საფუძველზე.
2. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
3. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

4. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა;

5. განმსაზღვრელ შეფასებამდე შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს პროფესიული სტუდენტების დეტალურ ინფორმირებას შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ.

6. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სამსახურს, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან / შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობასა და ვალიდაციის შემთხვევაში ადასტურებს მას. შემოწმებული შეფასების ინსტრუმენტზე ჩნდება წარწერა „გამოიყენება პროფესიული სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის“.

7. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაში არ მონაწილეობს პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში.

8. სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება.

9. პროფესიული განათლების მასწავლებელი განმსაზღვრელი შეფასების თარიღიდან 1 სამუშაო დღის ვადაში დებს შეფასების დასკვნას და ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (სწავლის შედეგი დადასტურდა/სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა). ინფორმაციის მიწოდება შეიძლება მოხდეს პირისპირ ან წერილობით. ჯგუფისთვის შეფასების შედეგების მიწოდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული სტუდენტებისგან წინასწარ მოიპოვებს წერილობით თანხმობას.

10. თუ პროფესიულმა სტუდენტმა განმსაზღვრელი შეფასებისას ვერ დაადასტურა სწავლის შედეგი იმ მოდულზე, რომელიც წარმოადგენს დაშვების წინაპირობას სხვა მოდულისათვის, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე მაქსიმუმ 2-ჯერ 10 კალენდარული დღის განმავლობაში ამ მოდულის დაწყებამდე, სხვა შემთხვევაში პროგრამის დასრულებამდე. იმ შემთხვევაში თუ პროფესიულმა სტუდენტმა განმსაზღვრელი შეფასებისას ვერ დაადასტურა სწავლის შედეგი ისეთ მოდულზე, რომელიც მიმდინარეობდა პროგრამის დასრულებიდან ბოლო ერთი თვის განმავლობაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე მაქსიმუმ 2-ჯერ პროგრამის დასრულებიდან 2 კვირის განმავლობაში.

11. განმეორებით გამოცდისთვის პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი შეიმუშავებს ახალი შეფასების ინსტრუმენტს. ვერ დადასტურების შემთხვევაში დაუშვებელია განმეორებით გამოცდაზე იგივე შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

12. განმსაზღვრელ შეფასებაზე გამოუცხადებლობის ან/და ვერ დადასტურების შემთხვევაში მე-2 განმეორებით განმსაზღვრელ შეფასებაზე გასვლის საფასური შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს.

13. ერთიდაიგივე მოდულის ფარგლებში სწავლის შედეგის დაუდასტურებლობისას (2-ჯერ დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ), პროფესიული სტუდენტი ვალდებულია თავიდან გაიაროს მოცემული მოდული.
14. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში (მათ შორის დამატებით გამოცდაზე/ებზე) პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს თავიდან გაიაროს მოცემული მოდული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, თუკი ის მოდული რომელზეც პროფესიულმა სტუდენტმა მიიღო უარყოფითი შეფასება არ წარმოადგენს დაშვების წინაპირობას სხვა მოდულებისათვის.
15. თუ ის მოდული რომელზეც პროფესიულმა სტუდენტმა მიიღო უარყოფითი შეფასება (2-ჯერ დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ), წარმოადგენს დაშვების წინაპირობას სხვა მოდულებისათვის, მოცემულ მოდულზე პროფესიული სტუდენტისათვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, პროფესიული სტუდენტი დაჩქარებულ რეჟიმში ხელახლა შეისწავლის მოცემულ მოდულს.
16. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ხელახლა გადის იმ მოდულს, რომლის ფარგლებშიც მიიღო უარყოფითი შეფასება (მათ შორის განმეორებით გამოცდაზე/ებზე) პარალელურად უფლება აქვს გაიაროს ის მოდული/ები, რომლისთვისაც/ებისთვისაც მოცემული მოდული არ წარმოადგენს დაშვების წინაპირობას.
17. განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს ნიშნავს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური პროფესიული განათლების მასწავლებელთან/პრაქტიკის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და ახდენს შესაბამისი პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების ინფორმირებას.
18. შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან ციფრული სახით დადასტურებას;
19. მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს/პრაქტიკის ხელმძღვანელს. მტკიცებულებები უნდა მოიცავდეს შესაფასებელი პროფესიული სტუდენტის იდენთიფიცირების საშუალებას.
20. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სამსახურს.
21. მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის მიერ მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (მტკიცებულებათა შენახვა ხდება თითოეული მოდულების მიხედვით ცალ-ცალკე), რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება კოლეჯის საქმისწარმოების წესით გათვალიწინებული პროცედურის შესაბამისად.
22. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პროფესიული სტუდენტი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
23. სწავლის შედეგების დადასტურება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.
24. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით და შედეგები ეცნობება თითოეულ პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურად.

25. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.
26. პროფესიული სტუდენტი, რომელიც სრულად ვერ ითვისებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულს და წყვეტს სწავლას, უფლებამოსილია, მოითხოვოს სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი განვლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ.

მუხლი 46. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურა

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში, გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში მიმართოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების გადასინჯვა.
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის/მტკიცებულების განხილვის ორგანიზებას. საჩივარს განიხილავს კოლეჯის დირექტორის მოადგილე, პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან, რომელიც არ იყო ჩართული სწავლის შედეგების დადასტურების პროცესში ერთად.
3. გასაჩივრების პროცედურის დასრულების შემდეგ განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის/მტკიცებულების ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად და ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
4. პრაქტიკული კომპონენტის შეფასების გასაჩივრების შემთხვეევაში დირექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია რომელიც განიხილავს საკითხს ორ სამუშაო დღეში. გასაჩივრების პროცედურის დასრულების შემდეგ კომისიის დასკვნა, უბრუნდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად.

მუხლი 47. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია

1. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად.
2. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება გულისხმობს სამ ეტაპს:
ა) შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა
ბ) შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება
გ) ვალიდაცია
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ი.
4. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევს შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს.

5. შეფასების ინსტრუმენტში შემავალი საკითხები უნდა იყოს დაბალანსებული და გონივრული პროპორციით ფარავდეს მოდულების შედეგს/შედეგებს. შეიცავდეს სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ და ტრანსფერული უნარების შემფასებელ კომპონენტებს.
6. შეფასების ინსტრუმენტები მუდმივად განახლებადი უნდა იყოს, და პასუხობდეს დარგის განვითარების/შრომის ბაზრის მოთხოვნებს. რაც გულისხმობს, პერიოდულად ცვლილებების განხორციელებას. შეფასების ინსტრუმენტები უნდა გადაიხედოს მინიმუმ შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად.
7. მნიშვნელოვანია, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, რაც უზრუნველყოფილს შეფასების ინსტრუმენტებისადმი ფუნდამენტური მოთხოვნების (ვალიდურობის, რელევანტურობის დასაკმარისობის) დაცვას;
8. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა
8.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ✓ **კოლეჯის ლოგო**
- ✓ **კოლეჯის დასახელება**
- ✓ **შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის რეგისტრაციის** ნომერი-მოცემულ გრაფაში მიეთითება შეფასების ინსტრუმენტის მიერ ვალიდაციისას მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი
- ✓ **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და კოდი-**
- ✓ **მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი-** მითითებულია იმ მოდულის დასახელება, რომლის სწავლის შედეგების დადასტურებისთვისაც შეიქმნა მოცემული შეფასების ინსტრუმენტი
- ✓ **სწავლის შედეგ(ებ)ის ნომერ(ებ)ი და დასახელება-** მითითებულია ის სწავლის შედეგ(ებ)ი, რომელთა დადასტურებისთვისაც შეიქმნა მოცემული შეფასების ინსტრუმენტი
- ✓ **შესრულების კრიტერიუმები-** მითითებულია დასადასტურებელი სწავლის შედეგების შესაბამისი შესრულების კრიტერიუმები
- ✓ **შეფასების მიმართულება-**მითითებულია შეფასების მიმართულება -გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, პრაქტიკული დავალება.
- ✓ **შეფასების მეთოდი** -მითითებულია განმსაზღვრელი შეფასების მეთოდი. მაგ. ტესტი, პრაქტიკულიდავალება, ინტერვიუ და ა.შ.
- ✓ **მტკიცებულების მოთხოვნები**-მითითებულია იმ მტკიცებულებების ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგის დადასტურებას.
- ✓ **პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი**
- ✓ **პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი**
- ✓ **დავალების შესრულების ინსტრუქცია**
- ✓ **შეფასების ადგილი/გარემოს აღწერა**-მითითებული გარემო (A,B,C,AC,AB), სადაც ტარდება შეფასების პროცესი და რომელი ცაღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით/ინვენტარით და უზრუნველყოფილია შესაბამისი მასალა/ ნედლეულით. შესაძლებელია შეფასება ჩატარდეს რეალურ სამუშაო გარემოში. ორივე შემთხვევაში გარემო უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების ინსტრუმენტით დადგენილ პირობებს და იძლეოდეს შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული დავალებების სრულფასოვნად შესრულების შესაძლებლობას.
- ✓ **შეფასებისათვის განკუთვნილი დრო-** მითითებულია შეფასების პროცესის ხანგრძლივობა, რომელიც განისაზღვრება საათებით, მაგ. 1 საათი, 2,5 საათი დაა . შ.

- ✓ **შეფასების პროცესისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა/მასალები/** ინვენტარი- მითითებულია ტექნიკური აღჭურვილობის/ინვენტარის და მასალის ჩამონათვალი, რომლიც საჭიროა ინსტრუმენტით განსაზღვრული დავალების შესასრულებლად.
- ✓ **დამატებითი პირობები**-აღწერილია ის დამატებითი პირობები, რაც ნებადართულია პროფესიული სტუდენტისთვის/შესაფასებელ პირისთვის შეფასების პროცესში. მაგალითად: ლექსიკონის, კანონმდებლობის ან კალკულატორის გამოყენება, თანამშრომლობა სხვა პროფესიულ სტუდენტებთან/შესაფასებელ პირებთან შეფასების პროცესში და სხვა, ასევე, ამ გრაფაში შესაძლოა მიეთითოს შეფასების პროცესზე დაშვების წინაპირობა(ასეთისარსებობისშემთხვევაში)
- ✓ **დავალების აღწერა/შინაარსი** -დავალება უნდა აღიწეროს მკაფიოდ, გასაგებ ენაზე.

- ✓ **შეფასების კრიტერიუმები(კითხვარი) და შეფასების სქემა/ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების პირობები-** მოცემულია დავალების შეფასებისათვის განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სქემა, აღწერილია თითოეული პრაქტიკული/ტესტური დავალებისათვის ხარვეზების დასაშვები ნორმა, სწავლის შედეგის დადასტურებისათვის მოთხოვნილი პირობები.
- ✓ **განმეორებითიშეფასებისპირობები**-განმარტებულია, პროფესიულ სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და ვადები. თუ მოდული არის სხვა მოდულის წინაპირობა, მაშინ მიეთითება სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელი მოდულის დაწყებამდე უნდა დადასტურდეს შედეგ განმეორებით.
- ✓ **შეფასების დასკვნა :** შედეგი დადასტურდა/ ვერდადსტურდა
- ✓ **პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერა**
- ✓ **დამსწრე პირის ხელმოწერა (არსებობისშემთხვევაში)**
- ✓ **პროფესიული სტუდენტი სხელმოწერა**
- ✓ **შეფასების ჩატარების თარიღი**

9. შეფასების პროცესამდე 2 კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს.

10. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ ვალიდაცია სახდენს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური, რომელიც უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში ჩართოს პროგრამის ხელმძღვანელი/დარგის სპეციალისტი.

11. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი პროგრამის ხელმძღვანელთან/დარგის სპეციალისტთან ერთად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარის შემოწმებას.

12. ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შეფასების ინსტრუმენტი შესწორებული სახით.

13. სწავლის შედეგის დადასტურებისათვის შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას და ივსება ვალიდაციის დასკვნა, სადაც მიეთითება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისას მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი (შეფასების ინსტრუმენტს რეგისტრაციის ნომერი ენიჭება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესის წარმატებით

გავლის შემთხვევაში). ვალიდაციის დასკვნას თან ერთვის სწავლის შეფასების განმსაზღვრელი ინსტრუმენტი.
14. შემოწმებული შეფასების ინსტრუმენტს უკეთდება წარწერა „გამოიყენება პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის.

მუხლი 48. მიღებული განათლების აღიარება

1. საქართველოს სხვა საგანმანათლებლო კოლეჯში მიღებული კრედიტების აღიარება ხორციელდება წინამდებარე წესით მობილობის დროს მიღებული განათლების აღიარებისათვის გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით.
2. თუ პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგები და კრედიტები იდენტურია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის სწავლის შედეგების და კრედიტისა, მისი აღიარება ხდება ავტომატურად.
3. თუ პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულის კრედიტები მეტია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის კრედიტებზე, აღნიშნული პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულის კრედიტები აღიარებული იქნება კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.
4. მოდულური პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება მოხდება გავლილი მოდულების ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.
5. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო კოლეჯში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო კოლეჯში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
6. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

მუხლი 49. შეფასების უწყისი

1. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული ჯგუფისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.
2. უწყისის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსისათვის ჩაბარების ვალდებულება ეკისრება შემფასებელს, ხოლო რამდენიმე შემფასებლის შემთხვევაში - დაეკისრება ერთ შემფასებელს მოდულის დასრულებიდან 10 სამუშაო დღისა.
3. უწყისს ხელს აწერს პროფესიული განათლების მასწავლებელი.
4.უწყისი უნდა შეიცავდეს:
ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
ბ) მოდულის დასახელება
გ) მოდულის სარეგისტრაციო ნომერი
დ) მოცულობა კრედიტებში
ე) პროფესიული განათლების მასწავლებელი/მასწავლებლები/პრაქტიკის ხელმძღვანელ(ებ)ი
ვ) ჯგუფის ნომერი
ზ) პროფესიული სტუდენტის გვარი სახელი

თ) დადასტურდა - დიახ/არა/არ დაესწრო
ი) შემფასებლის/ების ხელმოწერა
კ) თარიღი - იწერება უწყისის დახურვის თარიღი.

მუხლი 50. პროგრამის განხორციელების გეგმა

1. პროფესიული სტუდენტის ყოველკვირეული სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) განსაზღვრულია კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით, რომელიც მოიცავს მოდულით განსაზღვრული საათების განაწილებას სწავლის დაწყებიდან დასრულებამდე.
2. პროგრამის ხელმძღვანელი ახდენს მოდულის განმახორციელებელი პირების ინფორმირებას მოდულის დაწყება დამთავრების ვადებთან დაკავშირებით;
3. პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებს მოდულის კალენდარულ გეგმას რომელიც წარმოადგენს მოდულის სწორად განხორციელების დადასტურებას;
4. პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის დაწყებამდე ერთი კვირით არდე მოდულის კალენდარულ გეგმას წარუდგენს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს.

მუხლი 51. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შეძენა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა

1. პროგრამით გათვალისწინებული მასალა ნედლეულის შეძენა ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:
ა) სასწავლო წლის დასაწყისში ან საჭიროებისამებრ სასწავლო გეგმის მიხედვით არსებული მოდულებში შემავალი მასალები და ნედლეული განისაზღვრება მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ და მიწოდებული იქნება პროგრამის ხელმძღვანელისათვის, რომელიც მიწოდებულ ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
ბ) მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით ფინანსური მენეჯერი დირექტორის დავალებით ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას.
2. გახარჯული მასალა ნედლეულის აღრიცხვას აწარმოებს მოდულის განმახორციელებელი პირი და გადასცემს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერს.
3. გახარჯული მასალა ნედლეულისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მონიტორინგს ახორციელებს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერი.
4. თუ მოდულის პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე კოლეჯი მასალებისა და ნედლეულის შეძენას იმ მოდულის ფარგლებში არ ახორციელებს;
5. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის;
6. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ევალება მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერს პროფესიული განათლების მასწავლებლის მითითებების შესაბამისად.

მუხლი 52. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვა და უტილიზაცია

1. კოლეჯში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხორციელდება ნარჩენების კლასიფიკაციის, მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით ისე, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება.

2. კოლეჯში ხორციელდება სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების უსაფრთხო სეპარაცია (სარისკო და არასარისკო ნარჩენების განცალკევებულ შეგროვებას წარმოქმნის ადგილზევე), შეგროვება, შენახვა, გატანა ან დამუშავება ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.
3. ნარჩენების შეგროვება ხდება პროფესიული სტუნდენტების მონაწილეობით შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ნაწილი.
4. ქიმიურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობა მხოლოდ მომუშავე პერსონალის უსაფრთხოებას არ ნიშნავს. აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ქიმიური რეაქტივების და ექსპერიმენტების ნარჩენების არასათანადო უტილიზაცია შესაძლებელია გარემოსათვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს.
5. ქიმიური ნარჩენები გროვდება ერთმანეთისგან განცალკევებულად: აღნიშნული ქვეკატეგორიები მოიცავს ვერცხლისწყლის შემცველ დაზიანებულ საგნებს/მოწყობილობას, ბატარეებს, კადმიუმის შემცველ ნარჩენებს, ფოტო-რეაგენტებს, ლაქებსა და ლაბორატორიულ რეაგენტებს, ციტოტოქსიკურ პრეპარატებსა და სხვა წამლებს (არსებობის შემთხვევაში).
6. ყველა კონტეინერს, სადაც გროვდება ქიმიური ნარჩენები, აქვს შესაბამისი მარკირება ნარჩენების კატეგორიისა და აქტიური ნივთიერების მითითებით, ხოლო კოროზიულ, აალებად, ფეთქებად ნივთიერებებსა და სხვ. აქვს საფრთხის აღმნიშვნელი სიმბოლო. თხევადი ქიმიური ნარჩენები არ უნდა შეერიოს ერთმანეთს ან გადაისხას კანალიზაციაში, ისინი ინახება მყარ ჰერმეტულ კონტეინერებში.
7. ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების, რომლებიც მიეკუთვნება სახიფათო ნარჩენების კატეგორიას, საყოფაცხოვრებო ნაგავში/ მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში გადაყრა და საკანალიზაციო სისტემაში გადაღვრა აკრძალულია!
8. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით ასეთის არსებობის შემთხვევაში. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯს.
9. საყოფაცხოვრებო ნაგავში/ მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში არ შეიძლება მოხვდეს ქიმიური ლაბორატორიული მყარი ნარჩენები, რომლებიც შეიცავენ:
ა) ადვილად აალებად მყარ ნივთიერებებს, როგორებიცაა ტუტე მეტალების ნაჭრები, მეტალური მაგნიუმი, წითელი ფოსფორი, გოგირდი, პარაფინი და სხვა;
ბ) ძლიერ მჟანგავებს;
გ) ტუტე და ტუტემიწა მეტალთა ოქსიდებს;
დ) ტუტეებს;
ე) მძიმე მეტალებს;
ვ) დაღვრილი ვერცხლისწყლის შეგროვებისას გამოყენებულ მასალას;
ზ) დაღვრილი კონცენტრირებული მჟავების, ტუტეების, ან საწვავ და ადვილად აალებადი სითხეების შესაგროვებლად გამოყენებულ სორბენტებს და სხვა მასალებს (ფილტრის ქაღალდი, ტილოები);
თ) ბასრ და სახიფათო ნარჩენებს, თუ ისინი მოთავსებული არ არის სპეციალურ, დაცულ კონტეინერში გამაფრთხილებელი წარწერით.
10. საკანალიზაციო სისტემაში არ შეიძლება გადაიღვაროს ლაბორატორიული თხევადი ნივთიერებების წყალხსნარები, რომლებიც შეიცავენ:
ა) მძიმე მეტალებს (როგორც კატიონების, ასევე ანიონების სახით);
ბ) ძლიერ ტუტეებსა და მჟავებს;

გ) ძლიერ მჟანგავებს;
დ) ორგანულ სითხეებს;
ე) ქლორორგანულ ნაერთებს.
11. სასწავლო ლაბორატორიაში არსებული ქიმიური რეაქტივების ნარჩენების მართვის სტრატეგიაა (არსებობის შემთხვევაში):
ა) ვადაგასული და გამოუსადეგარი რეაქტივები გროვდება ცალკე და უტილიზაციისათვის/გასანადგურებლად გადაეცემა შესაბამის ლიცენზირებულ სპეციალურ სამსახურს;
ბ) თუ შეუძლებელია უწარწერო ქილაში მოთავსებული ნივთიერების იდენტიფიკაცია, მაშინ ასეთი რეაქტივი გასანადგურებლად გადაეცემა შესაბამის ლიცენზირებულ სპეციალურ სამსახურს;
გ) ლაბორატორიული ექსპერიმენტების ნარჩენები სპეციალური მეთოდიკის მიხედვით გადამუშავდება:
გ.ა) ქიმიური ექსპერიმენტების მძიმე მეტალების (როგორც კათიონების, ასევე ანიონების სახით) შემცველი ნარჩენები (ხსნარები) ისე დამუშავდება, რომ მძიმე მეტალის იონი გამოილექოს უხსნადი მარილის სახით. მიღებული ნარევი გაიფილტრება, ნალექი შეგროვდება ცალკე კონტეინერში და გადაეცემა შესაბამის ლიცენზირებულ სპეციალურ სამსახურს. ფილტრატი საკანალიზაციო სისტემაში გადაიღვრება;
გ.ბ) ქიმიური ექსპერიმენტების ნარჩენი ტყვიის, სპილენძის, თუთიის იონების გამოსალექად გამოიყენება სასმელი სოდა მშრალი ან/და ხსნარის სახით;
გ.გ) ქიმიური ექსპერიმენტების ნარჩენი ვერცხლისწყლის შემცველი ხსნარებიდან ვერცხლისწლის (I)-ის იონების გამოსალექად გამოიყენება ჰალოგენების იონები (გარდა ფთორისა);
გ.დ) ქიმიურ ექსპერიმენტებში გამოყენებული მჟავების და ტუტეების ნარჩენების უტილიზაცია განეიტრალების და მიღებული სითხის საკანალიზაციო სისტემაში გადაღვრის გზით ხდება. მჟავას ნეიტრალიზაცია 5-10%-იანი ტუტით, ხოლო ტუტისა - 5-10%-იანი მჟავით ტარდება. ხსნარი განეიტრალებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ მისი pH 6-დან 8-მდე დიაპაზონშია;
გ.ე) ქიმიურ ექსპერიმენტებში გამოყენებული ძლიერი მჟანგავების ნარჩენების (მაგ.წყალბადის პეროქსიდი და სხვა) გაუვნებელყოფა ხდება აღდგენის საშუალებით, რისთვისაც ვიყენებთ ისეთ აღმდგენებს, როგორებიცაა ნატრიუმის თიოსულფატის ან ნატრიუმის სულფიტის დაახლოებით 10%-იანი ხსნარი. წყალბადის პეროქსიდს - ნატრიუმის თიოსულფატის ზემოქმდებით მიღებული აღდგენილი ხსნარი, საკანალიზაციო სისტემაში წყლის ჭარბ რაოდენობასთან ერთად გადაიღვაროს.
გ.ვ) ქიმიურ ექსპერიმენტებში გამოყენებული ადვილად აალებადი და დასაწვავი სითხეების ნარჩენები გროვდება მინის დახუფულ ჭურჭელში, რომელიც მოთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი წარწერის მქონე ლითონის ყუთში. ყუთის ფსკერზე არანაკლებ 5 სმ-ის ფენაზე ჩაყრილია ქვიშა. ყუთის სახურავს ან კედლებს აქვს ნახვრეტები. ყუთი მოთავსებულია დაცულ ადგილზე, გამაცხელებელი ხელსაწყოებიდან სულ ცოტა 2 მეტრის მოშორებით.
გ.ზ) ქიმიურ ლაბორატორიაში ჩატარებული ცდების შედეგად მიღებული ჰალოგენების ნარჩენების გაუვნებელყოფისათვის, აღმდგენებად ნატრიუმის თიოსულფატის ან ნატრიუმის სულფიტის დაახლოებით 10%-იანი ხსნარი გამოიყენება. მიღებული წყალხსნარები საკანალიზაციო სისტემაში გადაიღვრება.
გ.თ) ქიმიურ ლაბორატორიებში გამოყენებული ტუტე მეტალების და კალციუმის გამოუყენებელი ნაჭრები აუცილებლად იმ დღესვე ნადგურდება, როდესაც შესაბამისი

ექსპერიმენტები ჩატარდება. ამისათვის გამოუყენებელი ნატრიუმი მოთავსდება ეთილის სპირტში, რომელიც ჩასხმულია მაღალ ქიმიურ ჭიქაში, ფსკერიდან არა უმეტეს 5 სმ-ზე. ამ დროს გამოყენებული სპირტი შეგროვდეს და განადგურდეს ადვილად აალებად და საწვავ სითხეებთან ერთად. ლითიუმის და კალციუმის შემთხვევაში კი მეტალის ნარჩენები ცივ წყალში გაიხსნება და საკანალიზაციო სისტემაში წყლის ჭარბ რაოდენობასთან ერთად გადაიღვაროს.

12. მითითებული პირობების კონტროლზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერს და შესაბამისი მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

13. ნარჩენები, რომელიც საფრთხეს არ უქმნის გარემოს და გარეშე პირებს, არ იწვევს დაბინძურებას, გროვდება პოლიეთილენის პარკში და დამლაგებლის მიერ გადაიყრება შესაბამის მუნიციპალურ ნაგავსაყრელში.

14. ქიმიური ნარჩენები განთავსდება კოლეჯის შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას (მ.შ. დაცული კარადა), რომელსაც ახორციელებს შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი. აღნიშნული ნარჩენების დროებითი შენახვის სათავსოში განთავსებისას ის იზოლირებული იქნება (სივრცობრივი იზოლაცია) სხვა ტიპის ნარჩენებისაგან. ქიმიური ნარჩენების დროებითი შენახვისას გათვალისწინებულია ნარჩენების სპეციფიკური თვისებები (მაგ., აალება, კოროზიულობა და ა.შ.).

მუხლი 53. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მექანიზმი

1. საკვალიფიკაციო გამოცდა სავალდებულოა ყველა პროფესიულ სტუდენტისთვის, რომელიც ამთავრებს იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობად განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

2. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების უფლების მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

3. საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა არ უნდა გასცდეს საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების სწავლის შედეგების თემატიკას(თეორია და პრაქტიკა).

4. საკვალიფიკაციო გამოცდა წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში დადასტურებული

5. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს:

ა) დავალების აღწერას და პირობებს;

ბ) დავალების შესრულების დროს;

გ) შეფასების კრიტერიუმებს.

მუხლი 54. საკვალიფიკაციო კომისიის უფლებამოსილება

1. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, ათი დღით ადრე, არანაკლებ სამი წევრით განისაზღვრება საკვალიფიკაციო კომისიის (შემდეგში ,,კომისია“) შემადგენლობა, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ:

ა) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან/და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ბ) პარტნიორი საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი ან/და შესაბამისი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ხელმძღვანელი/პირი;

გ) შესაბამისი მიმართულების პროფესიული ასოციაციის ან/და დამსაქმებლის წარმომადგენელი/წარმამადგენლები;

დ) საჭიროების შემთხვევაში, იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის

დარგში კვალიფიკაციის მქონე წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს მსგავსი მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
ე) საჭიროების შემთხვევაში, სხვა საჯარო ან კერძო დაწესებულების წარმომადგენელი.
2. კომისია გაწყვეტილების მიღებისუნარიანია, თუ მას ესწრება საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა არანაკლებ ¾-ისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება კომისიის თავმჯდომარეს, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი.
3. კომისია უფლებამოსილია:
ა) განსაზღვროს საგამოცდო თარიღი და ადგილი;
ბ) კონკრეტული პროგრამის სპეფიციკის გათვალისწინებით შეიმუშაოს საგამოცდო საკითხები (მათ შორის განმეორებითი გამოცდის);
გ) მიიღოს გადაწყვეტილება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.
4. კომისია შესრულებული სამუშაოს შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს საკვალიფიკაციო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკვალიფიკაციო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს, დანართის სახით.
5. კომისია ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე.

მუხლი 55. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მოსამზადებელი ეტაპი

1. კოლეჯს უფლება აქვს გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ითანამშრომლოს საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადებლად.
2. კონკრეტული პროგრამის სპეფიციკის გათვალისწინებით, საგამოცდო საკითხებს შეიმუშავებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია.
3. კოლეჯის დირექტორი ვალდებულია მხარი დაუჭიროს საკვალიფიკაიო გამოცდის ორგანიზებასა და ჩატარებას.
4. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ პროფესიული სტუდენტის შეფასების ფორმა აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
ა) დავალების შინაარსი;
ბ) დავალების შესრულების დრო და ადგილი;
გ) შეფასების კრიტერიუმები;
დ) გამოცდის ორგანიზებისათვის დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში).
5. საგამოცდო საკითხები ცნობილია მხოლოდ საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრებისათვის და აღნიშნული წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, გამოცდის საკითხების შემუშავებიდან გამოცდის დასრულებამდე.
6. შესაფასებელ პირს ათი კალენდარული დღით ადრე მიეწოდება ინფორმაცია გამოცდის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ, წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერი ფორმით.

მუხლი 56. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება

1. საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს თეორიული, პრაქტიკული ან/და თეორიულ-პრაქტიკული გამოცდის სახით.
2. საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს კოლეჯის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ (საწარმოში/პრაქტიკის ობიექტზე).

3. საკვალიფიკაციო გამოცდის მსვლელობისას შესაძლებელია განხორციელდეს ფოტო გადაღება ან/და აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერა;
4. საკვალიფიკაციო გამოცდას ესწრებიან შესაბამისი ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრები.
5. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი, რომელიც ვერ ცხადდება გამოცდაზე, მინიმუმ ერთი სამუშაო დღით ადრე, ატყობინებს კოლეჯის ადმინისტრაციას, რის შემდეგაც გამოიცემა ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.
6. საჭიროების შემთხვევაში, გამოცდას ესწრებიან ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის ფოტო და/ან ვიდეო გადაღებას, ასევე, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ოქმის მომზადებას.
7. საკვალიფიკაციო გამოცდის მსვლელობისას დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს, დანართის სახით.
8. პროფესიულ სტუდენტს გამოცდის შედეგების შესახებ ეცნობება წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერად გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა.
9. საკვალიფიკაციო გამოცდის მტკიცებულებაა პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი წერილობითი ნაწარმი/პროექტი/ ნებისმიერი სახის მატერიალურად შექმნილი პროდუქტი/ პროცესზე დაკვირვების შეფასებისა და ზეპირი გამოკითხვის ფურცელი. მტკიცებულებები ინახება კოლეჯში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

მუხლი 57. საკვალიფიკაციო გამოცდის სააპელაციო კომისია

1. პროფესიული სტუდენტი თუ არ ეთანხმება საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს, უფლება აქვს განცხადებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს და გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება შედეგების გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში.
2. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ სამი წევრით და შედგება იურისტის, დარგის სპეციალისტისა და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენელის ან დამსაქმებელისაგან (საჩივრის მიღებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში).
3. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოიკვლიოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და შეისწავლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს მხარეები (საკვალიფიკაციო კომისიის წევრი /ები, მომჩივანი).
4. სააპელაციო კომისია, ერთი სამუშაო დღის ვადაში ხმათა უმრავლესობით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას კომისიის გადაწყვეტილების გაზიარების ან/და კომისიისთვის გადაწყვეტილების ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ .
5. კომისია განმეორებით განიხილავს სააპელაციო კომისიის მიერ მისთვის დაბრუნებულ გადაწყვეტილებას და, სათანადო დასაბუთებით, ცვლის ან უცვლელად ტოვებს მის მიერ მიღებულ თავდაპირველ გადაწყვეტილებას, რისთვისაც კომისიას განესაზღვრება სამი სამუშაო დღე.

მუხლი 58. განმეორებითი გამოცდა

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გაუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შეთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გამოცდის შედეგების გაცნობიდან

10 კალენდარული დღის განმავლობაში, განმეორებით გავიდეს გამოცდაზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს.
2. განმეორებითი გამოცდის ჩაბარების უფლებით სარგებლობა პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთჯერადად.
3. განმეორებითი გამოცდისათვის იქმნება ახალი საგამოცდო საკითხები.
4. გამოცდის/განმეორებითი გამოცდის/ კომისიის/სააპელაციო კომისიის/კოლეჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/ შედეგის გაასაჩივრების უფლების შესახებ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება კომისიის მიერ გამოცდის დაწყებამდე.

მუხლი 59. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

1. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად აღიარებულ უნდა იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ყველა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს მოხსენებით ბარათს, ამ პროგრამის ყველა პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების შესახებ.
3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. ბრძანების გამოცემის შემდეგ გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი (მოთხოვნის შემთხვევაში დიპლომის დანართი).
4. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად პირს ენიჭება შესაბამისად ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3,მე-4 ან მე-5 დონის კვალიფიკაცია.
5. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოთხოვნის შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე მიეცემა სერტიფიკატი, რითაც დასტურდება მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად დაუდასტურებლობისას კოლეჯი, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცემს ცნობას აღნიშნული მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ.
6. იმ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლითაც განსაზღვრულია კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობად საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, კვალიფიკაცია მიენიჭებათ იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის საბოლოო შეფასება თითოეულ კომპონენტში (თეორია და პრაქტიკა) 75 % და მეტი იქნება.
7. პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სერტიფიკატითა და დანართით.
8. პროფესიული განათლების აღიარებასა და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია დადგენილი წესით ინახება კოლეჯში შემდგომი დამუშავებისა და არქივში გადაცემისათვის.
9. დიპლომის და სერთიფიკატის (დანართები) გაცემასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე წესი რეგულირდება კოლეჯის საქმისწარმოების წესითა და მოქმედი კანონმდებობლით.

მუხლი 60. კოლეჯის მოქმედება პანდემიის პირობებში

1. პანდემია - ფართოდ გავრცელებული ზემოქმედება; არაფიზიკური კატასტროფა. პანდემიას აქვს რამდენიმე უნიკალური მახასიათებელი, რაც მოითხოვს ზომებს კონტაქტის შეზღუდვის, გადაადგილების შეზღუდვის, კარანტინის შემოღებისა და საზოგადოებრივი თავშეყრის აკრძალვის მიზნით.

2. გამოცხადებული პანდემიის დროს კოლეჯმა:

- უნდა შეიმუშაოს ინფექციური დაავადებებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა, რომელშიც მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმძღვანელო მითითებები და განისაზღვროს, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი რეკომენდაციების შესრულება.
- პერსონალი არ უნდა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე თუ მათ აღენიშნებათ პანდემიისთვის დამახასიათებელი ნიშნები და შეიმუშაოს მათი დაუყოვნებელი იზოლაციის პოლიტიკა და პროცედურები;
- განათავსოს თვალსაჩინო ადგილას განცხადებები პანდემიის და იმ პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, რათა დასაქმებულებს და პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაეცნონ მათ სამუშაო პროცესის/სწავლის დაწყებამდე;
- იმ თანამშრომლებთან დაკავშირებით, რომელთაც შეუძლიათ სამუშაოს შესრულება დისტანციურად, მაქსიმალურად უზრუნველყოს მუშაობის ამგვარი მეთოდის გამოყენება; - შესაძლებლობის ფარგლებში დააწესოს შეზღუდვები სამუშაო დროზე; - გამოიყენოს თანამშრომელთა როტაცია;
- საჭიროების შემთხვევაში, დასაქმებულები უზრუნველყოს, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანები, პირბედე);
- უზრუნველყოს ოფისებში ავეჯის ისეთი განლაგება, რომ მოსაუბრეებს შორის დაცული იყოს 2 მ დისტანცია;
- ადმინისტრაციული შენობების შესასვლელთან განათავსოს დეზობარიერები, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- სამუშაო ადგილებზე განათავსოს ზედაპირების სადეზინფექციო საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები;
- უზრუნველყოს, სამუშაო ადგილზე ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება;
- მიაწოდოს ინფორმაცია დასაქმებულებს ინდივიდუალური დაცვისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მათ შენახვა/მოცილებაზე; - უზრუნველყოს მობილური/ქალაქის ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში მისი პერიოდული დამუშავება შესაბამისი წესით;

- უზრუნველყოს ხშირად შეხებადი ზედაპირებისა (მათ შორის კლავიატურის, ღილაკების, კარების სახელურების, ჩამრთველ/გამომრთველი ღილაკების) დამუშავება რამდენჯერმე დღეში შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით;
- უზრუნველყოს სამუშაო ინვენტარისა და მოწყობილობების დამუშავება რამდენჯერმე დღეში შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით; - პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყოს სამუშაო სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია;
- უზრუნველყოს დასაქმებულთა/ ვიზიტორთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი;
- საჭიროების შესაბამისად განიხილავს სასწავლო პროცესის შეწყვეტას და მისი განახლების ვადის განსაზღვრას.

მუხლი 61. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესებს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
2. წინამდებარე წესებში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია დირექტორის ბრძანებით.

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

№ 00006967

19/09/2022

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს ორიენტირის წესდების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული წესის 57-ე და 58-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 57. საკვალიფიკაციო გამოცდის სააპელაციო კომისია

1. პროფესიული სტუდენტი თუ არ ეთანხმება საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს, უფლება აქვს განცხადებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს და გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება შედეგების გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში.
2. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ სამი წევრით და შედგება იურისტის, დარგის სპეციალისტისა და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენელის ან დამსაქმებელისაგან (საჩივრის მიღებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში).
3. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოიკვლიოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და შეისწავლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს მხარეები (საკვალიფიკაციო კომისიის წევრი /ები, მომჩივანი).
4. სააპელაციო კომისია, ერთი სამუშაო დღის ვადაში ხმათა უმრავლესობით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას კომისიის გადაწყვეტილების გაზიარების ან/და კომისიისთვის გადაწყვეტილების ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ .
5. კომისია განმეორებით განიხილავს სააპელაციო კომისიის მიერ მისთვის დაბრუნებულ გადაწყვეტილებას და, სათანადო დასაბუთებით, ცვლის ან უცვლელად ტოვებს მის მიერ მიღებულ თავდაპირველ გადაწყვეტილებას, რისთვისაც კომისიას განესაზღვრება სამი სამუშაო დღე".

"მუხლი 58. განმეორებითი გამოცდა

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გაუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შეთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გამოცდის შედეგების გაცნობიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, განმეორებით გავიდეს გამოცდაზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს.
2. განმეორებითი გამოცდის ჩაბარების უფლებით სარგებლობა პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთჯერადად.
3. განმეორებითი გამოცდისათვის იქმნება ახალი საგამოცდო საკითხები.
4. გამოცდის/განმეორებითი გამოცდის/ კომისიის/სააპელაციო კომისიის/კოლეჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/ შედეგის გაასაჩივრების უფლების შესახებ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება კომისიის მიერ გამოცდის დაწყებამდე".
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. უზრუნველყოფილ იქნას წინამდებარე ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

ნ. მაჭარაშვილი

შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

№ 00000622

31/01/2022

„შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, შპს ორიენტირის წესდების და კოლეჯის იურისტის 2022 წლის 31 იანვრის N612 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „შპს ორიენტირის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ორიენტირის დირექტორის 2021 წლის 03 ნოემბრის N01/138 ბრძანებაში და ბრძანების დანართი შეიცვალოს თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. უზრუნველყოფილ იქნას წინამდებარე ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

დანართი



შპს ორიენტირის

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

2022 წ

შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებანი
მუხლი 1. რეგულირების სფერო

თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა
მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
მუხლი 3. პროფესიული მომზადების პროგრამა და პროფესიული გადამზადების პროგრამა
მუხლი 4. მოდულის ადაპტირება
მუხლი 5. სასწავლო გეგმის შედგენა
მუხლი 6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
მუხლი 7. მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი
მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა /გაუქმება

თავი III. პროფესიული სტუდენტი
მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვება
მუხლი 10. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება
მუხლი 11. პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები
მუხლი 12. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება
მუხლი 13. აპლიკანტთა შერჩევა
მუხლი 14. შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის ინფორმირება
მუხლი 15. გასაუბრებაში მონაწილეობის უფლება
მუხლი 16. შესარჩევი კომისიის შექმნა
მუხლი 17. მოტივაციური გასაუბრება
მუხლი 18. აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში (განმეორებით) შეფასების უზრუნველყოფის წესი და პირობები
მუხლი 19. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების აპელაციის წესი და ვადები
მუხლი 20. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა
მუხლი 21. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება
მუხლი 22. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის ადმინისტრირება
მუხლი 23. შეფასების პროცესი
მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები/მოვალეობები
მუხლი 25. სტუდენტის/მსმენელის ქცევის წესები და პასუხისმგებლობა
მუხლი 26. სწავლის საფასური
მუხლი 27. პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური, ფინანსური ვალდებულებები, პასუხისმგებლობის ფორმები და წახალისება
მუხლი 28. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა
მუხლი 29. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველყოფა

მუხლი 30. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა
მუხლი 31. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება
მუხლი 32. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა
მუხლი 33. მობილობა
მუხლი 34. ფორმალური განათლების აღიარება
მუხლი 35. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი
მუხლი 36. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება
მუხლი 37. კრედიტების განაწილება
მუხლი 38. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა
მუხლი 39. კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

თავი VI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით შეთავაზებული სერვისები
მუხლი 40. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
მუხლი 41. კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესი

თავი IV. სასწავლო პროცესის მართვა
მუხლი 42. სასწავლო პროცესი
მუხლი 43. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება
მუხლი 44. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა
მუხლი 45. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურა
მუხლი 46. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია
მუხლი 47. მიღებული განათლების აღიარება
მუხლი 48. ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფა
მუხლი 49. შეფასების უწყისი
მუხლი 50. პროგრამის განხორციელების გეგმა
მუხლი 51. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შეძენა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა
მუხლი 52. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია
მუხლი 53. საკვალიფკაციო გამოცდის ჩატარების მექანიზმი
მუხლი 54. საკვალიფიკაციო კომისიის უფლებამოსილება
მუხლი 55. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მოსამზადებელი ეტაპი
მუხლი 56. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება
მუხლი 57. საკვალიფიკაციო გამოცდის სააპელაციო კომისია
მუხლი 58. განმეორებითი გამოცდა
მუხლი 59. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა
მუხლი 60. კოლეჯის მოქმედება პანდემიის პირობებში
მუხლი 61. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში წესი) შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და არეგულირებს შპს ორიენტირში (შემდგომში კოლეჯი) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების წესს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს; პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, შეფასების რეგულაციებს, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის/შემუშავების/განვითარების პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ინსტრუმენტების ვალიდაციას, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხებს, შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების, აპელაციის წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას, მტკიცებულებების მოპოვების, აღრიცხვისა და შენახვის წესს, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს, კვალიფიკაციის მინიჭების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს და პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელების საკითხებს.

2. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტარციულ სამართლებლივი აქტებით რეგულირდება ის საკითხები, რომელიც არ არის ასახული წინამდებარე წესში.

თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის კოლეჯის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რაც გულისხმობს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;

2. პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას, სტრატეგიულ გეგმას და მისი შემუშავებისა და განხორციელების გადაწყვეტილება შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ კოლეჯის მიერ ჩატარებული მოკვლევა რეგიონის/ქვეყნის შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ, პროფესიულ სტუდენტთა/აპლიკანტთა გამოკითხვის შედეგები ან/და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.)

3. პროგრამის შინაარსი განისაზღვრება შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის/საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით;
4. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესის შესაბამისად.
5. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ ჩარჩო დოკუმენტთან/საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას.
6. პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს საგანმანათლებლო სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი, თუმცა, შესაძლოა არსებობდეს სხვა დამატებითი სამართლებრივი საფუძვლებიც, როგორიცაა 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“, ან სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი.

მუხლი 3. პროფესიული მომზადების პროგრამა და პროფესიული გადამზადების პროგრამა

1. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის შემუშავება ხდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსის ხელმძღვანელობით პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობით. შემუშავებული პროგრამა გადაეცემა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომელიც პროგრამის შესახებ ამზადებს საბოლოო დასკვნას. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროგრამის თაობაზე დადებითი დასკვნის შემთხვევაში დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
2. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამის განხორციელების მიზანს წარმოადგენს ფორმალური განათლების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის-სერტიფიკატის გაცემა.
3. უფლების მოპოვების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) იურიდიული პირის მიერ ელექტრონული განაცხადის გაკეთება უფლების მოპოვების მიზნით;
ბ) საბჭოს აპარატის მიერ ელექტრონული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის განხილვა;
გ) საბჭოს აპარატის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ამ წესით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება;
დ) საბჭოს აპარატის მიერ დასკვნის მომზადება და საბჭოსთვის წარდგენა;
ე) ზეპირი მოსმენის გამართვა;
ვ) გადაწყვეტილების მიღება, ელექტრონულ სისტემაში ასახვა და მისი გამოქვეყნება.
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია, მსმენელთა ახალი მიღების გამოცხადებამდე ცენტრს წარუდგინოს შეცვლილი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა.
5. ცენტრი განიხილავს შეცვლილ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას, ადგენს მის შესაბამისობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებას და იღებს

გადაწყვეტილებას შეცვლილი პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ასახვის ან მისი ამოღების შესახებ.

6. სტანდარტების შესრულების შემოწმების მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია, იურიდიული პირისგან/საგანმანათლებლო დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია და/ან გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ექსპერტის მიერ მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების ან ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების შესახებ. ცენტრი უფლებამოსილია, ექსპერტს/ექსპერტთა ჯგუფს მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების გარეშე დაავალოს დოკუმენტაციის შესწავლა. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მონიტორინგის ვიზიტის შესახებ იურიდიულ პირს/საგანმანათლებლო დაწესებულებას წარედგინება უშუალოდ ვიზიტის დროს.

მუხლი 4. მოდულის ადაპტირება

1. ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების შემდეგ უნდა განხორციელდეს მასში შემავალი თითოეული მოდულის ადაპტირება.

2. მოდული წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის შემადგენელ კომპონენტს და მტკიცდება მასთან ერთად. მოდულში ცვლილების აუცილებლობის შემთხვევაში გამოიცემა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის შესაბამის დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. როგორც პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ასევე მოდულებს სავალდებულოა გაუკეთდეს თავფურცელი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N--, შპს ორიენტირი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, მოდულის სტატუსი) და მიეთითოს პროგრამის ძირითადი დოკუმენტის დანართებად.

4. მოდულები შედგება სამი ნაწილისაგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.

5. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება დაუშვებელია.

6. ჩარჩო-დოკუმენტის/მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში შეუსაბამოებების აღმოჩენის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

7. დამხმარე ჩანაწერები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სასწავლო თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში, სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდები, მტკიცებულებების შეგროვებისა და მოდულის განხორციელების მიდგომები, საათების გადანაწილების სქემა.

8. საათების განაწილების სქემაში შესაძლებელია აისახოს განხორციელების მიდგომები, თუმცა განსაზღვრული საათების გადანაწილების სქემაში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების საბოლოო ჯამი უნდა დარჩეს უცვლელი, ისე როგორც ჩარჩო-დოკუმენტში/მოდულში.

9. მოდული შესაძლებელია მოიცავდეს რეკომენდაციებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების(სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების, კერძოდ საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის.

მუხლი 5. სასწავლო გეგმის შედგენა

1. ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულების ადაპტირების შემდეგ, კოლეჯმა უნდა შეიმუშაოს სასწავლო გეგმა.
2. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები.
3. სასწავლო გეგმა თავის თავში მოიცავს სასწავლო გეგმას ,,ქართული ენა A2“ და ,,ქართული ენა B1“ მოდულების გარეშე და სასწავლო გეგმას ,,ქართული ენა A2" და ,,ქართული ენა B1“ მოდულებისათვის, ხოლო მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის - ,,ქართული ენა A2".
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულია პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: მოცულობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე. შესაბამისად შეიცლება სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაც.
5. როცა მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სწავლება განხორციელდეს მინიმუმ ორ კვირიანი ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასებების ჩატარების პრობლემა.
6. კვირაში პროფესიული სტუდენტის დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს, ხოლო მესამე დონის არასრულწლოვანი პტოფესიული სტუდენტებისთვის - 36 საათს.

მუხლი 6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად კოლეჯის მიერ მუშავდება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის) ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პროფესიული სტუდენტის/სტუდენტებისათვის.

5. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მითითებული უნდა იყოს: მოდულის/მოდულების სტატუსი, მოდულის/მოდულების დასახელება, მოდულზე დაშვების წინაპირობა, კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო საატების ჩატარების გრაფიკი და სხვ.
6. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროება წარმოიქმნება, იმ შემთხვევაში, თუ :
ა) კოლეჯში სწავლობს სსსმ/შშმ სტუდენტი/მსმენელი, რომელიც შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერ აღწევს სწავლის შედეგების დადასტურებას;
ბ) სტატუს შეჩერებულ პროფესიულ სტუდენტს აღუდგა სტატუსი;
გ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმება ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღება ან პროგრამის შეცვლა/გაუქმება, როდესაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
დ)მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან.
7. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა , პროგრამული უზრუნველყოფა და სასწავლო რესურსების ადაპტირება. სასწავლო რესურსების ადაპტირებაში იგულისხმება ასევე, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები.
8. წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი მიმართავს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სამსახურს, რის შემდგომაც აღნიშნული სამსახურის წარმომადგენლი და პროგრამის ხელმძღვანელი ესწრებიან სასწავლო პროცესს დაკვირვების მიზნით. თუ ფაქტი დადასტურდა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის წარმომადგენელი პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ განათლების მასწავლებელთან/პრაქტიკის ხელმძღვანელთან და შესაბამისი სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის ასისტენთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
9. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის და მის ფარგლებში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგების შესაბამისად, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება პროფესიულის საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნების შესაბამისად.
10. წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი პროგრამის

ხელმძღვანელთან ერთად, პროფესიული სტუდენტის აქტიური მონაწილეობით შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას 5 სამუშაო დღეში მისი საჭიროების წარმოშობის მომენტიდან.
11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თანხმდება პროფესიულ სტუდენტთან, რაც დასტურდება ხელმოწერით;
12. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხდება შეთანხმება პროფესიულ სტუდენტთან, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავიდან შემუშავება/გადამუშავება.
13. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
14. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები.
15. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელებას და მის მიმდინარეობას მუდმივ კონტროლს უწევს და აფასებს ხარისხის უზრუნველყფის სამსახური.

მუხლი 7. მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი

1. შპს ორიენტირში მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით, არსებული ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე დაყრდნობით, დირექტორის მიერ შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემის გზით, შესაძლებელია განხორციელდეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება.
ინტეგრირების მიზანია:
ა) საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება
ბ) ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება
გ) ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემა.
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მოთხოვნების ასახვას ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საშუალო პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამის იმ კომპონენტებში, რომლებიც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების ან/და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზე.
4. „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანების საფუძველზე, კოლეჯში ადაპტირდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ზოგადი მოდულებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის სავალდებულო საგანთა ჯგუფის გაერთიანებით, დამტკიცებული შემდეგი ინტეგრირებული ზოგადი მოდულები:
ა) კომუნიკაცია ქართულ ენაზე;
ბ) მათემატიკური წიგნიერება;
გ) მოქალაქეობა;
დ) მეწარმეობა;
ე) მეცნიერება და ტექნოლოგიები.
5 აღნიშნული მოდულების კოლეჯში ადაპტირებისა და შემუშავებისას გამოყენებულია, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ზოგადი მოდულები, ასევე ეროვნული

სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის სავალდებულო საგანთა ჯგუფი საგნობრივი პროგრამებიდან:
ა) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ზოგადი მოდულები:
ა.ა) კომუნიკაცია;
ა.ბ) რაოდენობრივი წიგნიერება;
ა.გ) სამოქალაქო განათლება;
ა.დ) პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები;
ა.ე) მეწარმეობა.
ბ) ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის სავალდებულო საგანთა ჯგუფის საგნობრივი პროგრამები
ბ.ა) ქართული ენა და ლიტერატურა;
ბ.ბ) მათემატიკა;
ბ.გ) ისტორია;
ბ.დ) სამოქალაქო განათლება;
ბ.ე) გეოგრაფია;
ბ.ვ) ქიმია;
ბ.ზ) ბიოლოგია;
ბ.თ) ფიზიკა.
6. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინტეგრირებული ზოგადი მოდულები წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საშუალო პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამის შემადგენელ ნაწილს და დაუშვებელია მათი პროგრამისგან დამოუკიდებლად განხორციელება.
7. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ადაპტირება და დანერგვა შპს ორიენტირში განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით.
8. საშუალო პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეადგენს არანაკლებ 3 წელს.
9. პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა.
10. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა /გაუქმება

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის მიზნით, ხორციელდება კოლეჯის მიერ ინიცირება, რომელსაც წარუდგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს განსახილველად;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:
ა) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა;
ბ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების შესახებ;
გ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.
4. კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, შეისწავლის გასაუქმებელი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავსებად, მონათესავე მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისობის განსაზღვრას არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებს შორის.
6. შეცვლილ/გაუქმებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების კრედიტების აღიარებას ახდენს კრედიტების აღიარების კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:
ა) შეცვლილი/გაუქმებული ან მოდიფიცირებული/მონათესავე მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლები;
ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გ) სხვა პირები კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით.
7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმიზაციის შემთხვევაში პროგრამის გაუქმების შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ შემუშავებული დასკვნისა და კოლეჯის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობა მილევად რეჟიმში.
8. არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და წერილობით აცნობებს სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით.
9. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში მისი დამტკიცებიდან 3 სამუშაო დღეში აცნობოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების შესახებ. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია 5 სამუშაო დღეში მიიღოს გადაწყვეტილება და გამოხატოს თანხმობა დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

10. იმ შემთხვევაში თუ პროფესიული სტუდენტი ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ გამოხატავს თანხმობას დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ნიშნავს თანხმობის გამოხატვას პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებაზე.

თავი III. პროფესიული სტუდენტი

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვება

1. პროფესიულ სტუდენტად მიიჩნევა ის პირი, რომელიც ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ჩაირიცხა და სწავლობს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.
2. მსმენელი არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამაზე.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისს N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების შესაბამისად.
4. კოლეჯი აპლიკანტის მიერ დოკუმენტაციის წარდგენიდან საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან, აპლიკანტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;
5. წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათავალი:
ა) პირადი (არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
ბ) პასპორტი/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ) საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი იმ აპლიკანტებისთვის, რომლებსაც სურთ ჩაირიცხონ საშუალო საფეხურის იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (აპლიკანტს არ მოეთხოვება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ);
დ) მინიმუმ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტის) დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (აპლიკანტს არ მოეთხოვება განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ).
ე) 2 ფოტო 3x4.
ვ) არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში - განმცხადებლის/ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის პირადობის მოწმობა და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სათანადო

უფლებამოსილებას წარმომადგენლობაზე (დაბადების მოწმობა/მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა).
6. სარეგიტრაციო განცხადება არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში შეივსება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ.
7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ:
ა) საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების ფორმა;
ბ) სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში:
ბ.ა) აუდიოგრამა (სმენის დარღვევის შემთხვევაში);
ბ.ბ) ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა (მხედველობის დარღვევის შემთხვევაში);
გ) ქცევითი და ემოციური აშლილობის შემთხვევაში, უფლებამოსილი სპეციალისტის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა;
დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
ე) მეურვის არსებობის შემთხვევაში დამატებით წარსადგენია:
ე.ა) მეურვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) ასლი და დედანი;
ე.ბ) მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
8. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.
9. აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია ასევე აპლიკანტის მიერ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში დოკუმენტების არ წარმოდგენა.
10. კოლეჯი ვალდებულია, აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
11. საბაზო პროფესიულ პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის:
ა) 70%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური;
ბ) 30%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს.
12. საშუალო პროფესიულ და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:
ა) 70%-ის ფარგლებში, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
ბ) პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის 30%-ის ფარგლებში, რეიტინგული სია დგება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.

13. დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ჩარიცხავს აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;
14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) რეგისტრაცია;
ბ) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ფუნქციური და აკადემიური უნარების შეფასება;
გ) აპლიკანტის მიერ პროფესიის პრაქტიკული მოსინჯვა;
დ) დაწესებულებაში ჩარიცხვა.
15. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე, როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.
16. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.
17. ამ მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმით ფილტრაციის შემთხვევაში თუ კონკურსში მონაწილე სსსმ აპლიკანტთა რაოდენობა აღემატება სსს მქონე პირებისთვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობას უპირატესობა მიენიჭებათ ასაკით უმცროს აპლიკანტებს.
18. ამ მუხლის მე-17 პუქნტით განსაზღვრული კრიტერიუმით ფილტრაციის შემთხვევაში თუ კონკურსში მონაწილე სსსმ აპლიკანტთა რაოდენობა აღემატება სსს მქონე პირებისთვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობას უპირატესობა მიენიჭებათ იმ აპლიკანტს, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახიდან.
19. სარეგიტრაციო განცხადება არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში შეივსება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ.
20. არასრულწლოვანი პირის პირადი საქმე ასევე უნდა მოიცავდეს არასწრულწლოვნის დაბადების მოწმობის ასლს, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლს, მეურვის შემთხვევაში კი მეურვეობის დამადასტურებელ დოკუმენტს.
21. მსმენელს უფლება აქვს, დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობითა და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით.
22. დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა შესაბამისი მონაცემები უნდა აისახოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანების (საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ) მოთხოვნების დაცვით (evet.emis.ge);

23. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შესახებ შეტანილი ყოველგვარი ცვლილების შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. დაუშვებელია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა მონაცემებში ცვლილებების შეტანა კოლეჯის დირექტორის ბრძანების გარეშე.

მუხლი 10. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1. კოლეჯი დაინტერესებულ პირს, მომართვის შემთხვევაში, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, აცნობს:

ა) პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებს;

ბ)კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და შერჩევის თავისებურებებს;

გ) პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურებს და საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება რეგისტრაციაში.

დ) საგანმანათლებლო სერვისებს, მათ შორის, პროგრამის თავისებურებებს (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) და სხვა.

2. კოლეჯი დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას ახორციელებს მომართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში.

მუხლი 11. პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;

ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;

გ) შერჩევა;

დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა;

ე) შედეგების გამოცხადება, პროგრამაზე ჩარიცხვა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება;

ვ) დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 12. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, კოლეჯი ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად, რომელშიც აისახება ინფორმაცია დაწესებულების, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ.

მუხლი 6. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად.

2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.

4. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა

გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.
5. შერჩევის პერიოდი და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 13. აპლიკანტთა შერჩევა

1. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას.
2. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე.
3. შეფასება ტარდება დაწესებულებაში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.
4. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და გასაუბრების საფუძველზე.
5.საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და გასაუბრების საფუძველზე.
6. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს, აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და გასაუბრების საფუძველზე.
7.უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. პროგრამაზე მიღებისთვის ტესტირებასთან ერთად, შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამატებით განსაზღვრული იყოს გასაუბრება/პრაქტიკული მოსინჯვა. თუ პროგრამაზე მიღებისთვის ტესტირებასთან ერთად დადგენილია შეფასება დაწესებულების მიერ, თითოეული შეფასების შედეგების ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%.
8. კოლეჯის მიერ საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს შერჩევის ფორმა თითოეული მიღებისთვის, ან/და პროგრამისთვის განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 14. შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის ინფორმირება

1. დაწესებულებაში თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის აპლიკანტთა შეფასების თარიღები და დრო განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინიტრაციული-სამართლებრივი აქტით, შერჩევის პერიოდის გათვალისწინებით. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და განთავსდება დაწესებულების ოფიციალურ ვებ გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.

2. აპლიკანტები შეფასების თარიღების და დროის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ სატელეფონო შეტყობინებით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შეფასების პროცესამდე მინიმუმ ხუთი სამუშაო დღით ადრე.
3. აპლიკანტებს შერჩევის პირობების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ შერჩევის დღეს შესარჩევი კომისიის მიერ.
4. აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შერჩევაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი არ დაიშვება კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შერჩევაზე.

მუხლი 15. გასაუბრებაში მონაწილეობის უფლება

1. გასაუბრებაში მონაწილეობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომელზე შერჩევის ფორმად კონკრეტული მიღებისთვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია გასაუბრება.
2. გასაუბრებას ატარებს შესარჩევი კომისია, რომელიც თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მტკიცდება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტით.

მუხლი 16. შესარჩევი კომისიის შექმნა

1. შესარჩევი კომისია შედგება არანაკლებ სამი წევრისგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრ(ებ)ი. აუცილებელია კომისიაში შედიოდეს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომდაგენლელი.
2. კომისიის წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ.
3. აპლიკანტთა შეფასება არის დიფერენცირებული და განისაზღვრება დანართების შესაბამისად.
4. გასაუბრებისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
5. შესარჩევი კომისიის მიერ ხდება შედეგების შეჯერება და პროგრამის ფარგლებში მისაღები კვოტის შესაბამისად იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომელთაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი-რეიტინგული სიებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ.
6. საგანამანათლებლო პროგრამებზე კონკურსის შედეგები აისახება შესაბამის კომისიის სხდომის ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.
7. კომისიის წევრი ვალდებულია გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის მოთხოვნების თანახმად.
8. განცხადება თვითაცილების თაობაზე კომისიის წევრმა უნდა გააკეთოს იმ მომენტში, როცა მისთვის ცნობილი გახდა თვითაცილების საფუძვლის არსებობის შესახებ. კომისიის წევრის მიერ თვითაცილების თაობაზე განცხადების გაკეთების შემთხვევაში, კომისიის წევრი ჩანაცვლდება დირექტორის ბრძანებით მხოლოდ კონკრეტულ აპლიკანტთან დაკავშირებით.

მუხლი 17. მოტივაციური გასაუბრება

1. მოტივაციური გასაუბრებისას კომისია იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს:
ა) ინტერვიუს ფორმა (შეკითხვები); (დანართი 1 და დანართი 2)
ბ) ინტერვიუს შეფასების ფორმა (კომისიის წევრებისთვის); (დანართი 3 და დანართი 4)

2. ინტერვიუ შედგება შინაარსობრივი ბლოკებისგან, რომლებიც აერთიანებს მსგავსი თემატიკის ძირითად და ჩამაღრმავებელ (დამატებით) შეკითხვებს. ჩაღრმავებული შეკითხვები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი აპლიკანტი ვერ პასუხობს კომისიის წევრის კითხვას. ინტერვიუს ბლოკები განსხვავებული შინაარსის მიუხედავად ერთ მიზანს ემსახურება - მოტივაციური გასაუბრების თითოეული კითხვის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის მოტივაცია და მზაობა, შესაბამისად, ინტერვიუს თითოეულ ბლოკს თუ კითხვას აპლიკანტის მოტივაციური ასპექტების გამოკვეთის მიზანი აქვს.
3. ინტერვიუსა და ინტერვიუს შეფასების ფორმების სტრუქტურა იდენტურია და მოიცავს შემდეგ განზომილებებს:
ა) პროფესიული ცნობისმოყვარეობა - ბლოკის მიზანია შეაფასოს რამდენად ცნობისმოყვარეა აპლიკანტი პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში, რამდენად ისწრაფვის;
ბ) ინფორმაცია პროფესიის შესახებ - აღნიშნული ბლოკის მიზანია ინტერვიუერმა (კომისიის წევრმა) გამოარკვიოს რამდენად ფლობს აპლიკანტი ინფორმაციას პროფესიის შესახებ და რამდენად სურს ამ პროფესიის შესწავლა. შეფასდეს რამდენად მოტივირებულია აპლიკანტი პროფესიის შესწავლით, რაც ამ შემთხვევაში, მის შესახებ ინფორმაციის მოძიების მცდელობით გამოიხატება;
გ) მსგავსი სამუშაოების შესრულებით დაინტერესება - ჩვეულებრივ, პროფესიით დაინტერესება მოიაზრებს პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულებას როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობების ან/და ჰობის დონეზე. აღნიშნული კომპონენტის მიზანია ინტერვიუერმა (კომისიის წევრმა) დაადგინოს, რამდენად დაინტერესებულია აპლიკანტი პროფესიის შესწავლით და სცადა თუ არა მან საკუთარი ძალების მოსინჯვა ამ პროფესიაში, თუნდაც არაფორმალურად;
დ) პროფესიასთან დაკავშირებული ღირებულებები და პიროვნული მახასიათებლები - აღნიშნული ბლოკის მიზანია ინტერვიუერმა (კომისიის წევრმა) გამოარკვიოს რამდენად შეესაბამება/თავსებადია აპლიკანტის ღირებულებები და პიროვნული მახასიათებლები პროფესიასთან. ამ კომპონენტის შეფასება საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტიანად ვიწინასწარმეტყველოთ აპლიკანტის მიღწევა პროფესიაში;
ე) პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული მიზნები - აღნიშნული ბლოკი მოტივაციის სწორედ ამ კომპონენტს აფასებს, რამდენად აქვს წინასწარ განსაზღვრული აპლიკანტს საკუთარი კარიერის აღნიშნულ პროფესიასთან დაკავშირება, აქვს თუ არა მასთან დაკავშირებული გეგმა/პროგრამა, რომლის რეალიზებაზეც მუშაობს, რამდენად თვლის, რომ აღნიშნული პროფესია კარიერული განვითარების შესაძლებლობას მისცემს. ინტერვიუერმა (კომისიის წევრმა) ამ ბლოკში გაერთიანებული შეკითხვებით უნდა გამოარკვიოს რატომ აბარებს აპლიკანტი ამპროგრამაზე და მასთან დაკავშირებული რა გრძელვადიანი მიზნები აქვს;
ვ) კომუნიკაციური უნარ-ჩვევები - აღნიშნული ბლოკის მიზანია აპლიკანტის კომუნიკაციური უნარ-ჩვევების შეფასება, რომელსაც ის ინტერვიუს მსვლელობისას ავლენს, შესაბამისად, აღნიშნულ კომპონენტში კომისიის წევრი აპლიკანტს აფასებს ინტერვიუს დასრულების შემდეგ. კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებში იგულისხმება მკაფიო და დამაჯერებელი საუბრის მანერა, გასაგებად და ამომწურავად საუბარი, ინფორმაციის ლოგიკურა და თანმიმდევრულად წარმოდგენა საუბრის კონტექსტის გათვალისწინებით, კომისიის წევრებისთვის ყურადღებით მოსმენა და შესაბამისი დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობა, სხეულის ენა, ჟესტიკულაცია, თავაზიანობა და ა.შ.
4. ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლების მოტივაცია და მზაობა - აღნიშნული ბლოკი გამოიყენება მხოლოდ ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

„ღონისძიების ორგანიზება“. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ პროგრამებზე ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, რის საფუძველზეც პროგრამის დასრულების შემდგომ სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი გაიცემა. შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტისადმი მზაობის შეფასება უკიდურესად მნიშვნელოვანია მოტივაციური ინტერვიუს ფარგლებში. მოცემული ბლოკის მიზანია ინტერვიუერმა (კომისიის წევრმა) შეაფასოს რამდენად მაღალია ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩაბარების მზაობა და მოტივაცია, რა მოლოდინები აქვს აპლიკანტს ინტეგრირებული პროგრამისგან და რამდენად ფლობს თუნდაც მინიმალურ ცოდნას პროგრამის სპეციფიკის შესახებ.

მუხლი 18. აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში (განმეორებით) შეფასების უზრუნველყოფის წესი და პირობები

1. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება შეფასებაზე, მას საშუალება აქვს განმეორებით ერთხელ გავიდეს ტესტირებაზე/გასაუბრებაზე, რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს შეფასების თარიღიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში და წარადგენს გამოუცხადებლობის მტკიცებულებას.
2. განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს.
3. განმეორებითი შეფასება ტარდება განცხადების წარდგენიდან მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში.
4. განმეორებითი შეფასების შედეგები აპლიკანტს ეცნობება შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 (ორ) სამუშაო დღეში.

მუხლი 19. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების აპელაციის წესი და ვადები

1. აპლიკანტს უფლება აქვს წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს შედეგები მისი გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
2. საჩივრის განხილვის მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს იქმნება სააპელაციო კომისია (მინიმუმ 3 წევრი), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება საჩივრის შინაარსის მიხედვით, გასაჩივრებულია პროცედურული საკითხები თუ მიღებული შეფასება.
3. სააპელაციო კომისიაში შეიძლება შედიოდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დარგის სპეციალისტები, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები. აუცილებელის სააპელაციო კომისიაში შედიოდეს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.
4. სააპელაციო კომისია კომპლექტდება იმ პირებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შერჩევის პროცესში.
5. სააპელაციო კომისია ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს.
6. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს და უფლება აქვს ტესტირებისას აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, ხელახლა შეაფასოს ნამუშევარი და დაწეროს უფრო მაღალი/დაბალი შეფასება. ტესტირების პროცედურის დარღვევისას , შეცვალოს ან/და დატოვოს იგივე შეფასება.
7. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს, ეცნობა შესარჩევი კომისიის მუშაობის ამსახველ ოქმს (გასაუბრებისას) და იღებს გადაწყვეტილებას შეფასების კომისიის მიერ

დაწერილი ქულის ძალაში დატოვების ან/და შეცვლის შესახებ. საკითხის მოკვლევისას შესაძლებელია განხორციელდეს აპლიკანტთან და კომისიის წევრებთან გასაუბრება.
8. სააპელაციო კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) აპლიკანტის მიერ შერჩევის პროცედურის დარღვევისას – მისი ნული ქულით შეფასების თაობაზე;
ბ) აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში – მისი შეფასების გადახედვის თაობაზე.
9. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
10. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
11. სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგი აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.

მუხლი 20. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება აქვთ
ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში,უმარლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
გ) საქართველოს მოქალაქეები და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013მუხლით გათვალისწინებული პირები, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს.
2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში ამ წესით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.
4. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი და ინფორმაცია აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე გათვალისწინებული აპლიკანტების ჩარიცხვა სრულდება დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების გათვალისწინებულ ეტაპამდე.

მუხლი 21. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება

1. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით კოლეჯი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ასახავს ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
2. შესავსები ადგილების რაოდენობა განისაზღვრება ჩარიცხვის დასრულების შემდეგ პროგრამაზე მისაღები ადგილებიდან დარჩენილი თავისუფალი ადგილების მიხედვით.
3. მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს, იმ აპლიკანტებისათვის დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელთაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. პროგრამებზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევა, რეიტინგული სიების შედგენა, შედეგების ასახვა და ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მონისტრის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.
5. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების პროცესი სრულდება დაწესებულების მიერ სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მუხლი 22. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის ადმინისტრირება

1. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის ადმინისტრირება განსაზღვრავს კოლეჯის საფინანსო სერვისების მესამე და კბილის ტექნიკოსის მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, სტუდენტთა შერჩევის მეთოდად განსაზღვრული მოტივაციური გასაუბრების ადმინისტრირებას და ამ პროცესში ჩართული პირების უფლება-მოვალეობებს.
2. მოტივაციური გასაუბრების მიზანია აპლიკანტის სწავლისადმი მზაობისა და კომპეტენციების ეფექტიანად გაზომვა.
3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის ადმინისტრირების პროცესი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შერჩევის მეთოდად, კოლეჯის მიერ განისაზღვრა მოტივაციური გასაუბრება.
4. მოტივაციური გასაუბრების შეუფერხებლად ადმინისტრირებისთვის კოლეჯი გამოყოფს შერჩევის პროცესის ადმინისტრატორს, რომლის მოვალეობებია:
ა) აპლიკანტებსა და კომისიის წევრებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა და გასაუბრების პროცესის დაგეგმვა;
ბ) შერჩევის პროცესის ელექტრონულ ბაზაში, პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების გადამოწმება და საბოლოო სიაზე შეჯერება;
გ) შერჩევის პროცესის ადმინისტრებამდე 1 კვირით ადრე პროგრამაზე დარეგისტრირებულ ყველა აპლიკანტთან დაკავშირება, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა მათგანი ინფორმირებულია შერჩევის თარიღების შესახებ;
დ) დარწმუნდეს, რომ პროგრამაზე დარეგისტრირებულმა ყველა აპლიკანტმა იცის კოლეჯის მისამართი და მისასვლელი გზა;

ე) ინტერვიუმდე ერთი დღით ადრე, პროგრამაზე დარეგისტრირებულ ყველა აპლიკანტთან დაკავშირება და გასაუბრებაზე გამოცხადების დროს, მისამართის და გასაუბრების ხანგრძლივობის შეხსენება.
ვ) თუ აპლიკანტ(ებ)ის ინტერვიუს დრო ემთხვევა სხვა პროგრამის შერჩევას, ადმინისტრატორი აპლიკანტ(ებ)თან და კომისიის წევრებთან შეთანხმებით, შეჯერდება გასაუბრების დამატებით დროზე. ადმინისტრატორმა უნდა გადაამოწმოს EMIS-თან, მართლაც ემთხვევა თუ არა აპლიკანტს გასაუბრება სხვა გამოცდაზე, რათა გამოირიცხოს არასაპატიო მიზეზები;
ზ) შერჩევის ადმინისტრირებამდე, ინტერვიუს ჩასატარებელ ოთახში მშვიდი და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა და მოწესრიგება, ასევე COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ დადგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება;
თ) თუ აპლიკანტთა რაოდენობის გათვალისწინებით, წინასწარ დაიგეგმოს გასაუბრების დღეთა რაოდენობა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს კომისიის წევრებს.
ი) გასაუბრების დაწყებამდე 30 წუთით ადრე მოიწვიოს კომისიის წევრები და გააცნოს ინტერვიუს ფორმა და ინტერვიუს შეფასების ფორმა;
კ) დეტალურად აუხსნას, ინტერვიუს სტრუქტურა და განუმარტოს, რომ წარმოდგენილი კითხვები სარეკომენდაციო და არ უზღუდავს კომისიის წევრს მისთვის სასურველი კითხვების დასმის უფლებას.
5. მოტივაციური გასაუბრების შეუფერხებლად ადმინისტრირებისთვის კოლეჯი გამოყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტს, რომლის მოვალეობებია:
ა) შერჩევის ადმინისტრირებამდე გაიაროს შესაბამისი ტრენინგი,
ბ) მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს EMIS-ის თანამშრომლებთან, რომლებმაც შეიმუშავეს მეთოდის მხარდამჭერი ონლაინ პლატფორმა;
გ) შერჩევის პროცესის დაწყებამდე საფუძვლიანად შეამოწმოს კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც შეფასებებისთვის უნდა გამოიყენონ კომისიის წევრებმა.
დ) შერჩევის პროცესის დაწყებამდე მცირედი ინსტრუქცია წარუდგინოს კომისიის წევრებს და დარწმუნდეს, რომ კომისიის ყველა წევრმა იცის, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ელექტრონული პლატფორმა აპლიკანტთა შეფასების პროცესში.
ე) შერჩევის პროცესის დაწყებამდე, საფუძვლიანად შეამოწმოს კოლეჯის ინტერნეტის ქსელი და ინტერნეტთან იმ კომპიუტერული ტექნიკის წვდომა, რომელსაც კომისიის წევრები იყენებენ აპლიკანტთა შეფასებისას.
ვ) ტექნიკური პრობლემის შემთხვევაში დაუკავშირდეს საინფორმაციო სისტემის თანამშრომელს და მათთან კომუნიკაციით აღმოფხვრა პრობლემა.

მუხლი 23. შეფასების პროცესი

1. მოტივაციური გასაუბრებისას კომისიის წევრები მუშაობენ მათთვის განკუთვნილ კომპიუტერზე, აფასებენ აპლიკანტებს და თითოეული აპლიკანტის შედეგები შეჰყავთ შესაბამის ელექტრონულ ფორმაში, რომელიც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მიერ არის შემუშავებული.
2. კომისიის თითოეული წევრი ცალ-ცალკე აფასებს თითოეულ აპლიკანტს.
3. კომისიის წევრების შეფასებებს ადმინისტრატორები ასახავენ ელექტრონულ პლატფომაზე, შეფასებები იკრიბება და საშუალო არითმეტიკულის პრინციპით გასაუბრებაზე აპლიკანტის საშუალო ჯამური ქულა მიიღება.
4. მოტივაციური ინტერვიუს მაქსიმალურ ქულა არის 100, რომელსაც აგენერირებს EMIS-ის მიერ შემუშავებილი ელექტრონული პლატფორმა.

5. მოტივაციური გასაუბრების 6 კრიტერიუმიდან, მნიშვნელოვანია ორ - „ინფორმაცია პროფესიის შესახებ“ და „პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული მიზნები“ და აქვს მაღალი წონა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ კრიტერიუმში მიღებული ნედლი ქულა ავტომატურად მრავლდება 2-ზე და აპლიკანტის ქულა ავტომატურად ორმაგდება.
6. ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში მნიშვნელოვანია შემდეგი კრიტერიუმები: „ინტეგრირებულ პროგრამაზე სწავლების მზაობა“, სადაც აპლიკანტის მიღებული ნედლი ქულა ავტომატურად მრავლდება 3-ზე და აპლიკანტის ქულა ავტომატურად სამმაგდება; კრიტერიუმებში „ინფორმაცია პროფესიის შესახებ“ და „პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული მიზნები“ მიღებული ნედლი ქულა ავტომატურად მრავლდება 2-ზე და აპლიკანტის ქულა ავტომატურად ორმაგდება.
7. მოტივაციურ გასაუბრებაში, როგორც ტიპურ, ისე ინტეგრირებული პროგრამებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 25 % (ქულა). რეიტინგულ სიებს ავტომატურად აკეთებს ელექტრონული ბაზა;

მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები/მოვალეობები

1. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში.
2. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებების/მსმენელს შეზღუდვა, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ წესით დადგენილი კოლეჯის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისათვის.
3. კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდასამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების გარდა კოლეჯის პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდასამართლებრივი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
ბ) ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
გ) მიიღოს კოლეჯის ადმინისტრაციისგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და კოლეჯის სხვა რესურსების შესახებ.
დ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
ე) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
ვ) მიიღოს მონაწილეობა კოლეჯის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებაში;
ზ) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;
თ) განახორციელოს მისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის სამართლებრივი რეგულაციებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.
4. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:
ა) დაიცვას კანონმდებლობის, კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნები;
გ) შეასრულოს კოლეჯთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

დ) დაიცვას სხვა პირების უფლებები და კანონიერი ინტერესები;
ე) სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით არ გამოიყენოს პლაგიატი;
ვ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას;
ზ) იმოქმედოს იმგვარად, რომ არ შეურაცყოს კოლეჯის პრესტიჟი;
თ) დაიცვას კოლეჯის ტერიტორიაზე ქცევის წესები, ეთიკის ნორმები კოლეჯის პერსონალთან და სხვა პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობაში;
5. კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტებს ეკრძალებათ გამოცხადება გარეგნულად მოუწესრიგებელი სახით, არაადეკვატური ჩაცმულობით და ჰიგიენის ნორმების დაუცველად.
6. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს წარადგინოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების ინიციატივა. ინიციატივის წარდგენა ხდება კოლეჯის შესაბამისი კომპეტენციის მქონე დირექტორის სახელზე განცხადების წარდგენით, რომელიც უნდა შეიცავდეს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების დეტალურ აღწერას, მოსალოდნელ შედეგებს, საჭირო რესურსებს და ვადებს. განცხადებას განიხილავს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი, რომელიც დადებით დასკვნას გასცემს იმ შემთხვევაში თუ ინიციატივა ეხება პროფესიულ, შემეცნებით, მსოფმხედველობის, განათლების, ინტელექტუალურ განვითრებას, აქტუალურ თემებზე დებატებს. გადაწყვეტილება დამატებითი/არაფორმალური აქტივობების განხორციელების შესახებ მიიღება კოლეჯის შესაბამისი კომპეტენციის მქონე დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით ინიციატივის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, რომელიც უნდა შეიცავდეს დაგეგმილ აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, ვადებს და რესურსებს. დამატებითი/არაფორმალური აქტივობების შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ინიციატორს ეცნობება დასაბუთებული უარი.
7. სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (ცნობის გაცემა, დიპლომის/სერთიფიკატის გაცემა, შიდა და გარე მობილობა, განათლების აღიარება და სხვა) უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადებში - არაუმეტეს 3 სამუშაო დღეში. განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია ეს ვადა მოიცავდეს უფრო მეტ დროს, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს.

მუხლი 25. სტუდენტის/მსმენელის ქცევის წესები და პასუხისმგებლობა

1. პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ დაწესებულების პრესტიჟს, ზუსტად დაიცვან კოლეჯის ტერიტორიაზე ქცევის წესები, აგრეთვე ეთიკის ნორმები კოლეჯის პერსონალთან და სხვა სტუდენტებთან/მსმენელებთან ურთიერთობაში.
2. კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ეკრძალებათ:
ა) თამბაქოს მოწევა კოლეჯის შენობაში;
ბ) ხმაური და მეცადინეობისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიწვევს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის გაფრთხილებას;
გ) კოლეჯის შენობის ტერიტორიაზე პოლიტიკური ხასიათის გამოსვლებისა და მიტინგების მოწყობა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;
დ) კოლეჯის შენობაში ცეცხლსასროლი ან გაზის იარაღით შესვლა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებასა და შესაბამის კანონით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას;
ე) კოლეჯის ტერიტორიაზე აზარტული თამაშები, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას.
ვ) ალკოჰოლური საშუალებების გამოყენება, ანალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ კოლეჯში გამოცხადება, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას.

ზ) ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება, გავრცელება, რაც გამოიწვევს ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
თ) გამოცდის ჩატარებისა და გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას; კოლეჯში გამოცხადება გარეგნულად მოუწესრიგებელი სახით, არაადეკვატური ჩაცმულობით და ჰიგიენის ნორმების დაუცველად, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;
ი) აუდიტორიული მეცადინეობის ხელის შეშლა ან ჩაშლა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;
კ) კოლეჯის შენობაში განცხადებების ჩამოხევა ან გაფუჭება, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;
ლ) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ან/და თანამშრომლებისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება, რომლის მიზანიც იყო აუდიტორიული მეცადინეობის ან გამოცდის ჩაშლა, ან გაცდენების საპატიოდ ჩათვლა ან მისი ოჯახის წევრებთან დაწესებულების თანამშრომლობის კონტაქტისათვის ხელის შეშლა, რაც გამოიწვევს გაფრთხილებას;
მ) კოლეჯის ქონების დაზიანება, დაკარგვა ან დაუბრუნებლობა, რაც გამოიწვევს მიყენებული ზიანის
ანაზღაურების ვალდებულებას და გაფრთხილებას;
ნ) კოლეჯისათვის საჭირო დოკუმენტაციის უნებართვოდ აღება ან განადგურება, რაც გამოიწვევს ამ ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას.
ო) კოლეჯის ტერიტორიის (შენობისა და ეზოს) დანაგვიანება-დაბინძურება, რაც გამოიწვევს დასუფთავების ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას და გაფრთხილებას.

მუხლი 26. სწავლის საფასური

1. კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასური, (გარდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროფესიული სტუდენტებისა) განისაზღვრება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სწავლის საფასური არ იცვლება მოცემულ საფეხურზე სტუდენტის სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში (გარდა პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემდგომ სტატუსის აღდგენის შემთხვევაში).
2. ერთი კრედიტის საფასური არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული საფასური გაყოფილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების მთლიან რაოდენობაზე.
3. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შეიძლება დაწესდეს სწავლის განსხვავებული საფასური.
4. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწავლის საფასურის გადახდაში დაწესებული შეღავათის სახე და ოდენობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით
5. სწავლის საფასურთან დაკავშირებით, კოლეჯში მოქმედებს შეღავათები შემდეგი პირების მიმართ:
ა) ომისა და შეირაღებული ძალების ვეტერანები და მათი შვილები;
ბ) იძულებით გადაადგილებული პირები;
გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოქალაქეები;
დ) I და II ჯგუფის შშმ პირები;
ე) ორივე მშობლით ობოლი პირები, რომლებიც საჭიროებენ მეურვეობას;
ვ) სოციალურად დაუცველის სტატუსის მატარებელი პირები;
ზ) ერთი ოჯახიდან ერთზე მეტი სტუდენტის/მსმენელის სწავლის შემთხვევაში;
თ) სტუდენტის/მსმენელი, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახიდან.

მუხლი 27. პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური, ფინანსური ვალდებულებები, პასუხისმგებლობის ფორმები და წახალისება

1. პროფესიულ სტუდენტს, გარდა სახელმწიფო დაფინანსების მქონე პროფესიული სტუდენტისა, კოლეჯის წინაშე ეკისრება კოლეჯის მიერ დადგენილი წესითა და ვადებში გადაიხადოს ხელშეკრულებით ორმხრივად ხელმოწერილი (კოლეჯის დირექტორი, პროფესიული სტუდენტი ან მისი წარმომადგენელი) განსაზღვრული, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური/ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა გადასახადი;

2. პროფესიულ სტუდენტს კოლეჯის წინაშე ეკისრება:

ა) კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაზიანების შემთხვევაში გადაიხადოს ზარალის ასანაზღაურებელი თანხა;

ბ) ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში გადაიხადოს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით დადგენილი თანხა.

3. კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია დაადგინოს ამ დებულებით განსაზღვრული სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებული წესები, რომელიც გააუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების/ პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას.

4. კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია გარდა სწავლის საფასურის შეღავათებისა, განახორციელოს წარმატებული პროფესიული სტუდენტის წახალისება მატერიალური ან/და არამატერიალური ფორმით, რომელიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 28. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა

1. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ დოკუმენტითა და დაწესებულების ეთიკის ნორმებით;

2. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წარმოება არ უნდა ზღუდავდეს პროფესიული სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა ისეთი შემთხვევებისა თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტის დისციპლინური დევნის საკითხს წყვეტს სპეციალური კომისია, რომელიც დირექტორის ბძანებით იქმნება. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს საკუთარი საქმის განხილვას;

3. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

4. დისციპლინური პასუხისმგებლობა გამოიყენება დაწესებულების პროფესიული სტუდენტების მიმართ მათ მიერ დაწესებულების ტერიტორიაზე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში;

5. პროფესიული სტუდენტის მიმართ გამოიყენება შემდეგი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:

ა. გაფრთხილება;

ბ. მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 29. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველყოფა

1. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან ეფექტურ თანამშრომლობას.

2. კოლეჯში გამოყოფილია სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი, რომელიც საჭიროების

შემთხვევაში ახდენს კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების/თანამშრომლების ინფორმირებას და ჩართულობას.
3. კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინტეგრაციას სასწავლო გარემოსთან და ორიენტირებულია გაარკვიოს მათი პრობლემები და საჭიროებები;
4. სტუდენტის/მსმენელის უკმაყოფილებას ეკიდება საქმიანად, აგვარებს პრობლემას და ახდენს შემდგომში მსგავსი შემთხვევის პრევენციას;
5. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი:
ა) უთმობს პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს საჭიროების შემთხვევაში დამატებით დროს;
ბ) იცავს პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობებისას ეთიკის ნორმებს;
გ) პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისთვის გამოყოფს შესაბამის სივრცეებს;
დ) პროფესიული სტუდენტის პრობლემებზე და მომართვებზე მაშინვე იწყებს რეაგირებას.
6. კოლეჯის თანამშრომლები ორიენტირებული არიან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და მოქნილი და თანამედროვე სასწავლო სისტემების შექმნაზე, შესაბამისად, აცნობიერებენ და ახდენენ მუდმივ მონიტორინგს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე და იღებენ მათგან უკუკავშირს.
7. კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებს სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით;
8. კოლეჯი გამოყოფს სივრცეებს სტუდენტთა დასვენებისა და გართობისათვის;
9. კოლეჯი უზრუნველყოფს შენობის გათბობას ზამთრის პერიოდში; ბიბლიოთეკას, უზრუნველყოფილს ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით; პირველად სამედიცინო დახმარებას; სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვას; მოწესრიგებულ სველ წერტილებს, წყლის უწყვეტი მიწოდებით;
10. კოლეჯი სისტემატურად ზრუნავს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესებასა და გამრავალფეროვნებაზე.

მუხლი 30. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა

1. კოლეჯი ქმნის პირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის განათლების მისაღებად და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის საზოგადოებაში;
2. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტების შენობაში თავისუფალ გადაადგილებას. შენობაში, რომელშიც ფუნქციონირებს კოლეჯში შემოსვლა შესაძლებელია პანდუსით, ასევე კოლეჯის მფლობელობაში არსებულ სართულებზე მოხვედრა შესაძლებელია პანდუსით. სსსმ პირებს თავისუფლად შეუძლიათ მივიდნენ აუდიოტორიებში. ხელმისაწვდომია ყველა სახის სერვისი (სველი წერტილებით სარგებლობა, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული კლასით სარგებლობა და სხვ.), რაც საჭიროა მათთვის შესაბამისი განათლების მისაღებად;
3. კოლეჯის კედლებზე თვალსაჩინოდ გამოკრულია გადაადგილების უნარშეზუდული პირის აღმნიშვნელი ნიშანი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირს შეუძლია დახმარების გარეშე დაადგინოს გადაადგილების მარშრუტი;
4. კოლეჯის დაცვის წარმომადგენელი ვალდებულია აღნიშნულ პირებს აღმოუჩინოს ყველანაირი დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას კოლეჯის შენობაში. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, რომ თუ აღნიშნულ პირებს, მათთვის სპეციალურად მოწყობილი პანდუსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც დასჭირდებათ დახმარება,

დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს დაცვის ნებისმიერმა თანამშრომელმა ან/და სპეციალურად აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის კოლეჯის მიერ დანიშნულმა პირმა;
5. ზოგიერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ პროფესიული სტუდენტების დარეგისტრირებისას საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ახდენს პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებას სასწავლო პროგრამის სრულფასოვნად ათვისების შესაძლებლობის არსებობისა და პირობების უზრუნველყოფის მიზნით;
6. კოლეჯს, მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით, შეუძლია დაადგინოს ამ წესისგან განსხვავებული წესები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და აუმჯობესებდეს მომსახურების პროცედურებსა და ფორმებს;
7. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართლობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპიროებების დაძლევის გარეშე.
8. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების მიმართ შესაძელებლია გამოყენებულ იქნას შემდეგი სავარაუდო აქტივობები:
ა) ქცევითი და ემოციური აშლილობის, ინტელექტუალური სირთულეების, განვითარების დარღვევების შემთხვევაში:
ა. ა) სასწავლო მასალის აკომოდაცია;
ა.ბ) დროის გაზრდა;
ა.გ) დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობა;
ა.დ) პრაქტიკულ ნაწილზე მეტი დროის დათმობა;
ა.ე) სასწავლო მასალის თვალსაჩინოებით გამდიდრება;
ა.ვ) როლური თამაშები და მსგავსი აქტივობები;
ა.ზ) აუდიო და ვიდეო მასალების გამოყენება;
ა.თ) ზეპირი გამოკითხვა ნაცვლად წერითი გმოკითხვისა ან გამოკითხვის ტესტირებით ჩანაცვლება;
ა.ი) მოქმედების თანმიმდევრობის მანიშნებელი გეგმა;
ა.კ) შესვენების და დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი;
ა.ლ) კლავიატურის ადაპტირება (ყურადღების კონტრაციისას არასაჭრო ღილაკების გადაფარვა, ორენოვანი კლავიატურის შემთხვევაში მხოლოდ ერთი ტიპის ანბანის დატოვება კლავიატურაზე და ა. შ);
ა.მ) კალკულატორის გამოყენება;
ა.ნ) აუდიოჩამწერი;
ა.ო) დავალების შესრულებისას ყურსასმენის და ხმის დამხშობი საცობის გამოყენება ყურადღების დეფიციტის შემთხვევაში;
ა.პ) სასწავლო მასალის მოდიფიცირება - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
ბ) ფიზიკური შეზღუდვის დროს:
ბ.ა) დამატებითი ადამიანური რესურსი, მაგ.: მძღოლი, გადაადგილებისა და მობილობის მხარდამჭერი სპეციალისტი, სპეციალური ასისტენტი;
ბ.ბ) სასწავლო სივრცის შერჩევა, ავეჯის განლაგების შეცვლა, მაგ.: ეტლით მოსარგებლის შემთხვევაში.
გ) მხედველობის დარღვევის დროს:
გ.ა) ტექსტის ფონტის გაზრდა;
გ.ბ) მნიშვნელოვანი ადგილების მონიშვნა;
გ.გ) ინფორმაციის გამეორება;

გ.დ) აუდიომასალის მიწოდება;
გ.ე) აუდიოჩამწერის გამოყენება;
გ.ვ) წამკითხველი აპარატის გამოყენება;
გ.ზ) განათების რეგულირება;
გ.თ) ოპერაციული სისტემის ადაპტაცია;
გ.ი) გამადიდებელი ლუპის გამოყენება;
გ.კ) ადაპტირებული კლავიატურის გამოყენება (დიდი ფონტით ასოების დაბეჭდვა და კლავიშებზე გადაკვრა ზოგჯერ ფონის შეცვლით)
გ.ლ) ადამიანური რესურსი, მაგ: ასისტენტი, რომელიც გააკეთებს ჩანაწერებს მასალის მიწოდების დროს, აგრეთვე მონიშნავს პასუხებს ტესტირებისას.
დ) სმენის დარღვევების დროს:
დ.ა) ჟესტური თარჯიმნის დახმარება;
დ.ბ) ტექსტის ლექსიკის გამარტივება, უცნობი ცნებების ჩანაცვლება ნაცნობი ლექსიკით;
დ.გ) კომუნიკაციის ალტერნატიული გზის გამოყენება, მაგ. ბარათებით კომუნიკაცია;
დ.დ) ხმის გამაძლიერებელის გამოყენება.
9. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ მიიღება ინდივიდუალური გადაწყვეტილებები თითოეულ შემთხვევაში, რომელიც ეფუძნება მულტიდისპლინური გუნდის დასკვნას და რეკომენდაციებს, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის რეკომენდაციებს.

მუხლი 31. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება ნიშნავს კოლეჯსა და სტუდენტს შორის უფლება- მოვალეობების შესრულებისგან დროებით განთავისუფლებას.
2.პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს დროებით შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი;
3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
ა) პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადება მიზეზის მითითებით (მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი);
ბ) ფინანსური დავალიანება;
გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, თუ პროფესიულმა სტუდენტმა ვერ დაასრულა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
დ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რომელიც შეუთავსებელია სასწავლო პროცესთან.
4. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (დუალური პროგრამის) შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შესაბამის პერიოდში სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა უნდა შეთანხმდეს შესაბამის პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ კოლეჯისთან /სასწავლო საწარმოსთან;
5. პირადი განცხადების საფუძველზე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია თუ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს აღნიშნული პირისათვის პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწვეტის საფუძველი.

6. პროფესიულ სტუდენტის/მსმენელის სტატუსი შეუჩერდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
7. პროფესიული სტუდენტი რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება კოლეჯის სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
8. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ხოლო შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოქმედებს წინამდებარე წესის მოთხოვნები.
9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადაა 3 წელი.
10. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლას გააგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
11. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
12. პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 32. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტად განიხილება კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.
2. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადება;
ბ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება 3 წლის ვადით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
გ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, თუ პროფესიულმა სტუდენტმა დაადასტურა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის სწავლის შედეგი;
დ) გარდაცვალება.
3. კოლეჯი ვალდებულია პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის (კანონიერი წარმომადგენლისთვის/მხარდამჭერისთვის განცხადება) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს, სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის სპეციფიკის გათვალისწინებით, აცნობოს პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება.
4. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება.
5. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება კოლეჯის დირექტორის დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 33. მობილობა

1. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მობილობის უფლებით.
2. პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიული სტუდენტის/მსმენელის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება.
3. მობილობა არსებობს ორი სახის: გარე მობილობა და შიდა მობილობა (შემდგომში მობილობა).
4. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის/მსმენლის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამ კოლეჯის პროფესიული სტუდენტი/მსმენელი.
5. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსი.
6. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
7. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.
8. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
9. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი განცხადებით მიმართავს მიმღებ კოლეჯს, ხოლო შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი განცხადებით მიმართავს იმავე კოლეჯს. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.
10. წინამდებარე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები, რომელთა საფუძველზეც დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის სწავლის შედეგების დადასტურებისა და მოდულის ცალკეული შედეგების დადასტურების თავსებადობის საკითხი. აღნიშნული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, მასში მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა შესაბამის პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა (საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის ინტერესების

გათვალისწინებით კოლეჯი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას წინამდებარე წესის მიხედვით).
11. კოლეჯი უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლებისა და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.
12. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის შემთხვევაში წინამდებარე მუხლის 9.10. პუნქტით გათვალისწინებული ოქმის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტის მობილობის ჩარიცხვის თაობაზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. ასევე შიდა მობილობის შემთხვევაში კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა, მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
13. კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:
ა) კოლეჯს არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;
გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
14. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯისს ტუდენტს, რომლის ჩარიცხვაც განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის მომენტისათვის წარმოადგენს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯისსტუდენტს.
17. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და მოდულის/მოდულების შემუშავების განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით წინამდებარე წესის შესაბამისად. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია მოახდინოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ.
18. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი წერილობით ატყობინებს აღნიშნულს პროფესიულ სტუდენტს და განუმარტავს წინამდებარე წესით გათვალისწინებულ უფლებას.

მუხლი 34. ფორმალური განათლების აღიარება

1. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.
2. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებისას შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შეიძლება დადგინდეს ერთი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სხვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, მათი ფორმულირების მიუხედავად.

მუხლი 35. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი

1. ტერმინთა განმარტება:
ა) აღიარება - პირის მიერ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგებთან თავსებადობის დადგენის გზით მისაღწევი სწავლის შედეგის დადასტურება;
ბ) პროგრამა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზნებისთვისაც ხორციელდება აღიარება;
გ) ფორმალური განათლება - განათლება, რომლის აღიარებაც შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.
2. წარმოსადგენი განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) დაწესებულების დასახელებას;
ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;
გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;
დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;
ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;
ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;
ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;
თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.
3. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი.
4. დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს;
5. თუ ასაღიარებელი სწავლის შედეგები მიღწეულია კოლეჯში, ფორმალური განათლების ფარგლებში სერთიფიკატის/დიპლომის და მისი დანართის განაცხადთან ერთად წარმოდგენა არ ხდება.

6. განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულეს განიხილავს საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი და განცხადების სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში 1 სამუშაო დღის ვადაში განცხადებას და თანდართულ დოკუმენტაციას განსახილველად გადასცემს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს.
7. განცხადების წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი განიხილავს წარმოდგენილ განცხადებას და დანართებს და თუ განმცხადებელი კოლეჯს არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, დოკუმენტაციის წარმოსადგენად განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღეს.
8. თუ კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს, კოლეჯის დირექტორი გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
9. დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კოლეჯის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელსაც გადაეცემა წარმოდგენილი დოკუმენტაცია განსახილველად.
10. კომისია შედგება მინიმუმ სამი წევრისგან.
11. კომისიის შემადგენლობაში შედიან:
ა) პროგრამის განმახორციელებელი პირი/პირები;
ბ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი;
გ) პროგრამის ხელმძღვანელი;
12. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები.
13. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
14. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
15. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
16. კომისიის მიერ განაცხადის განხილვის თარიღი დრო და ადგილი ეცნობება განმცხადებელს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსის მიერ;
17. განმცხადებელი უფლებამოსილია დაესწროს კომისიის სხდომას;
18. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;
ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
19. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება. მინიჭებული კრედიტების შესაბამისად პროფესიული სტუდენტის მიერ ხდება გადასახდელი თანხის პროპორციული ოდენობით დაკლება.

20. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
ა) დაწესებულების დასახელება;
ბ) განმცხადებლის ვინაობა;
გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლისშედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;
დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.
21. ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში გადაწყვეტილება ეცნობება განმცხადებელს იმ საკონტაქტო არხების საშუალებით, რომელიც მითითებული იყო წარმოდგენილ განცხადებაში.

მუხლი 36. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

1. პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალისტების მიერ, მიღებული ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით.
3. თუ პროგრამის უკვე ათვისებული კომპონენტის სახელწოდება მცირედით განსხვავდება კოლეჯის პროფესიული საგანმანათლბელო პროგრამის კომპონენტისაგან, თუმცა შინაარსობრივად, ასათვისებელი კვალიფიკაციების მიხედვით იდენტური ან თითქმის იდენტურია, ის შეიძლება იქნას აღიარებული კოლეჯის მიერ.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის სწავლის შეგები იდენტურია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების, მისი აღიარება ხდება ავტომატურად;
5. მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესებით, დარეგულირდეს დირექტორის ბრძანებით.
6. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N147 ბრძანებით.

მუხლი 37. კრედიტების განაწილება

1. კრედიტი გამოხატავს ცალკეული მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას).

2. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებს შორის. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს.
3. კრედიტების განაწილება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის უნდა იძლეოდეს მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას.
4. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა/დატვირთვა ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

მუხლი 38. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა

1. კოლეჯი ქმნის პირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის განათლების მისაღებად და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის საზოგადოებაში;
2. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პროფესიული სტუდენტების შენობაში თავისუფალ გადაადგილებას. შენობაში, რომელშიც ფუნქციონირებს კოლეჯში შემოსვლა შესაძლებელია პანდუსით, ასევე კოლეჯის მფლობელობაში არსებულ სართულებზე მოხვედრა შესაძლებელია პანდუსით. სსსმ პირებს თავისუფლად შეუძლიათ მივიდნენ აუდიოტორიებში. ხელმისაწვდომია ყველა სახის სერვისი (სველი წერტილებით სარგებლობა, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული კლასით სარგებლობა და სხვ.), რაც საჭიროა მათთვის შესაბამისი განათლების მისაღებად;
3. კოლეჯის კედლებზე თვალსაჩინოდ გამოკრულია გადაადგილების უნარშეზუდული პირის აღმნიშვნელი ნიშანი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირს შეუძლია დახმარების გარეშე დაადგინოს გადაადგილების მარშრუტი;
4. კოლეჯის დაცვის წარმომადგენელი ვალდებულია აღნიშნულ პირებს აღმოუჩინოს ყველანაირი დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას კოლეჯის შენობაში. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, რომ თუ აღნიშნულ პირებს, მათთვის სპეციალურად მოწყობილი პანდუსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც დასჭირდებათ დახმარება, დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს დაცვის ნებისმიერმა თანამშრომელმა ან/და სპეციალურად აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის კოლეჯის მიერ დანიშნულმა პირმა;
5. ზოგიერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ პროფესიული სტუდენტების დარეგისტრირებისას საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ახდენს პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებას სასწავლო პროგრამის სრულფასოვნად ათვისების შესაძლებლობის არსებობისა და პირობების უზრუნველყოფის მიზნით;
6. კოლეჯს, მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით, შეუძლია დაადგინოს ამ წესისგან განსხვავებული წესები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და აუმჯობესებდეს მომსახურების პროცედურებსა და ფორმებს;
7. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართლობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპიროებების დაძლევის გარეშე.
8. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების მიმართ შესაძელებლია გამოყენებულ იქნას შემდეგი სავარაუდო აქტივობები:
ა) ქცევითი და ემოციური აშლილობის, ინტელექტუალური სირთულეების, განვითარების დარღვევების შემთხვევაში:
ა. ა) სასწავლო მასალის აკომოდაცია;

ა.ბ) დროის გაზრდა;
ა.გ) დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობა;
ა.დ) პრაქტიკულ ნაწილზე მეტი დროის დათმობა;
ა.ე) სასწავლო მასალის თვალსაჩინოებით გამდიდრება;
ა.ვ) როლური თამაშები და მსგავსი აქტივობები;
ა.ზ) აუდიო და ვიდეო მასალების გამოყენება;
ა.თ) ზეპირი გამოკითხვა ნაცვლად წერითი გმოკითხვისა ან გამოკითხვის ტესტირებით ჩანაცვლება;
ა.ი) მოქმედების თანმიმდევრობის მანიშნებელი გეგმა;
ა.კ) შესვენების და დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი;
ა.ლ) კლავიატურის ადაპტირება (ყურადღების კონტრაციისას არასაჭრო ღილაკების გადაფარვა, ორენოვანი კლავიატურის შემთხვევაში მხოლოდ ერთი ტიპის ანბანის დატოვება კლავიატურაზე და ა. შ);
ა.მ) კალკულატორის გამოყენება;
ა.ნ) აუდიოჩამწერი;
ა.ო) დავალების შესრულებისას ყურსასმენის და ხმის დამხშობი საცობის გამოყენება ყურადღების დეფიციტის შემთხვევაში;
ა.პ) სასწავლო მასალის მოდიფიცირება - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
ბ) ფიზიკური შეზღუდვის დროს:
ბ.ა) დამატებითი ადამიანური რესურსი, მაგ.: მძღოლი, გადაადგილებისა და მობილობის მხარდამჭერი სპეციალისტი, სპეციალური ასისტენტი;
ბ.ბ) სასწავლო სივრცის შერჩევა, ავეჯის განლაგების შეცვლა, მაგ.: ეტლით მოსარგებლის შემთხვევაში.
გ) მხედველობის დარღვევის დროს:
გ.ა) ტექსტის ფონტის გაზრდა;
გ.ბ) მნიშვნელოვანი ადგილების მონიშვნა;
გ.გ) ინფორმაციის გამეორება;
გ.დ) აუდიომასალის მიწოდება;
გ.ე) აუდიოჩამწერის გამოყენება;
გ.ვ) წამკითხველი აპარატის გამოყენება;
გ.ზ) განათების რეგულირება;
გ.თ) ოპერაციული სისტემის ადაპტაცია;
გ.ი) გამადიდებელი ლუპის გამოყენება;
გ.კ) ადაპტირებული კლავიატურის გამოყენება (დიდი ფონტით ასოების დაბეჭდვა და კლავიშებზე გადაკვრა ზოგჯერ ფონის შეცვლით)
გ.ლ) ადამიანური რესურსი, მაგ: ასისტენტი, რომელიც გააკეთებს ჩანაწერებს მასალის მიწოდების დროს, აგრეთვე მონიშნავს პასუხებს ტესტირებისას.
დ) სმენის დარღვევების დროს:
დ.ა) ჟესტური თარჯიმნის დახმარება;
დ.ბ) ტექსტის ლექსიკის გამარტივება, უცნობი ცნებების ჩანაცვლება ნაცნობი ლექსიკით;
დ.გ) კომუნიკაციის ალტერნატიული გზის გამოყენება, მაგ. ბარათებით კომუნიკაცია;
დ.დ) ხმის გამაძლიერებელის გამოყენება.
9. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ მიიღება ინდივიდუალური

გადაწყეტილებები თითოეულ შემთხვევაში, რომელიც ეფუძნება მულტიდისპლინური გუნდის დასკვნას და რეკომენდაციებს, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის რეკომენდაციებს.

მუხლი 39. კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმებს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

ა) კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა პროფესიულ საგანმანთლებლო კოლეჯებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

ბ) კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობით უზრუნველყოფას.

გ) კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს.

2. წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება.

3. კოლეჯის ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი უზრუნველყოფს ავტორიზაციის ვადის გასვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომ განათლებას იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

4. იმ შემთხვევაში თუ კი პროფესიული სტუდენტი წერილობით უარს განაცხადებს წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით და მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მექანიზმებზე, კოლეჯი განახორციელებს შესაბამისი სერტიფიკატისა და სერტიფიკატის დანართის გაცემას აღნიშნული პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საფუძველზე.

თავი VI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით შეთავაზებული სერვისები

მუხლი 40. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

1. ბიბლიოთეკა მდებარეობს კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ფართში.

2. ბიბლიოთეკა მუშაობს:

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: დილის 10.00 სთ-დან – 18.00-მდე. შაბათს - დილის 10.00 სთ-დან-14.00 სთ-მდე

3. ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ ბიბლიოთეკაში გაწევრიანებულ პირებს.

4. ბიბლიოთეკაში გაწევრიანების უფლება აქვთ:

ა. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს;

ბ. კოლეჯის პერსონალს;
5. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება პროფესიული სტუდენტობის პერიოდში ერთხელ. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ერთხელ გაწევრიანდება სწავლების პერიოდში, რჩება ბიბლიოთეკის წევრად სწავლების მთელი პერიოდისათვის.
6. პროფესიული სტუდენტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება დასტურდება მის მიერ სააპლიკაციო განაცხადის შევსებით.
7. კოლეჯის პროფესიული სტუდენტისათვის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება უფასოა.
8. კოლეჯის პერსონალის (ადმინისრაციული, პროგრამის განმახორციელებელი პირები (პროფესიული განათლების მასწავლებლები) ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება მათ მიერ შესაბამის პოზიციებზე ყოფნის განმავლობაში.
9. წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე,ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობააქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში, ან ქსეროქსზე გადაიღოს მისთვის საჭირო ადგილები, თუ მთელი წიგნი.
10. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლარის სახით. უპირატესად გაიცემა დაქსეროქსებული ეგზემპლარი, თუ კი ასეთი არსებობს.
11. ბიბლიოთეკიდან წიგნი გაიცემა სამი სამუშაო დღის ვადით. მკითხველი ვალდებულია წიგნი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას. თუმკითხველსწიგნიკვლავაცსჭირდება, მას შეუძლია ის ხელახლა გაიტანოს (ისევ სამი სამუშაო დღის ვადით), იმ შემთხვევაში, თუკი წიგნზე არ შემოსულა სხვა განაცხადი.
12. თუ წიგნის დაბრუნება ბიბლიოთეკაში არ მოხდა საჭირო დროს, აუცილებლად უნდა შეატყობინოთ ბიბლიოთეკას დროულად არ დაბრუნების მიზეზი. მიზეზის არასაპატიოდ ჩათვლის შემთხვევაში წიგნის გამტანი ვალდებულია დააბრუნოს წიგნი ორი დღის ვადაში, ორი დღის გადაცილების შემთხვევაში ყოველ გადაცილებულ დღეზე მკითხველი გადაიხდის ჯარიმას სამი ლარის ოდენობით.
13. წიგნის დაკარგვის ან ისეთი დოზით დაზიანების შემთხვევაში, როდესაც მისი გამოყენება შეუძლებელია, წიგნის გამტანი ვალდებულია ერთი დღის ვადაში ბიბლიოთეკაში მოიტანოს იგივე სახის წიგნი ან აანაზღაუროს გატანილი წიგნის საფასური კოლეჯის ფინანსური სამსახურის უფროსთან ანგარისწორებით.
14. წიგნის გატანის ვადის გახანგრძლივება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.
15. ბიბლიოთეკარს შეუძლია მოითხოვოს წიგნის თუ ბიბლიოთეკიდან გატანილი რომელიმე სხვა ნივთის (დისკის, ვიდეო-კასეტის) ვადაზე ადრე დაბრუნება.
16. ბიბლიოთეკის თანამშრომელს აქვს უფლება განსაკუთრებულ შემთხვევებში, კოლეჯის დირექტორის თანხმობით აკრძალოს ან შეცვალოს ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის წესი, ან არ გაატანოს წიგნი იმ პირებს, რომლებიც შემჩნეულნი არიან წიგნის დაგვიანებით დაბრუნებაში.
17. ბიბლიოთეკით მოსარგებლე ვალდებულია:
ა) წიგნის გამოყენების შემდეგ თვითნებურად არ დადოს წიგნი თაროზე,
ბ) წიგნი უნდა მიუბრუნოთ ბიბლიოთეკარს: ბიბლიოთეკის თანამშრომელი თვითონ დააბრუნებს მას ადგილზე.
გ) წიგნის თქვენთვის გადანახვის სურვილის შემთხვევაში თხოვნით მიმართეთ ბიბლიოთეკარს.
დ) დაუშვებელია სადილობა ბიბლიოთეკაში. ნებადართულია მხოლოდ ბოთლში ჩამოსხმული წყლის ან სასმელის თან ქონა.

18.ბიბლიოთეკაში სასტიკად აკრძალულია:
ა) მოწევა;
ბ) ხმაური და საუბარი;
გ) მობილური ტელეფონების გამოყენება;
დ) წიგნის არასწორად დადება, მისი დამალვის, ანუ სხვა პროფესიული სტუდენტისათვის წიგნის გამოყენების ხელისშეშლის მიზნით.
ე) წიგნის ან სასწავლომასალების ქურდობა, დაზიანება, დაფხაჭნა, ფურცლების ამოგლეჯა.
19. აღნიშნული წესებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ბიბლიოთეკა უფლებამოსილია დაუწესოს ბიბლიოთეკით სარგებლობის შეზღუდვა ასეთ მომხმარებელს და დააკისროს ჯარიმა,რომელსაც მომხმარებელი გადაიხდის კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ტარიფისშესაბამისად (ტარიფი განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რა შედეგი მოჰყვა მომხმარებლის მიერ ზემოთ აღნიშნული წესების დარღვევას).

მუხლი 41. კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესი

1. კომპიუტერული კლასი მდებარეობს კოლეჯის შენობაში.
2. კომპიუტერული კლასი მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით : დილის 09.00 სთ- დან – 18.00- მდე.
3.კომპიუტერული კლასით მოსარგებლე ვალდებულია:
ა) კომპიუტერის გამოყენების შემდეგ თვითნებრურად არ გათიშოს ქსელიდან;
ბ) კომპიუტერთან მუშაობის დასრულების შემდეგ უნდა აცნობოთ კომპიუტერული კლასის ზედამხედველს;
გ) დაუშვებელია კომპიუტერული პროგრამების არასასწავლო მიზნებისათვის გამოყენება;
დ) დაუშვებელია სადილობა კომპიუტერულ კლასში. ნებადართულია მხოლოდ ბოთლში ჩამოსხმული წყლის ან სასმელის თან ქონა.
4. კომპიუტერულ კლასში სასტიკად აკრძალულია:
ა) მოწევა;
ბ) ხმაური და საუბარი;
გ)მობილური ტელეფონების გამოყენება;
დ) კომპიუტერის აქსესუარების დაზიანება, დაფხაჭნა.
5. აღნიშნული წესებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია დაუწესოს კომპიუტერული კლასით სარგებლობის შეზღუდვა ასეთ მომხმარებელს და დააკისროს ჯარიმა,რომელსაც მომხმარებელი გადაიხდის კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად (ტარიფი განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რა შედეგი მოჰყვა მომხმარებლის მიერ ზემოთ აღნიშნული წესების დარღვევას)

თავი IV. სასწავლო პროცესის მართვა

მუხლი 42. სასწავლო პროცესი

1. კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობს კოლეჯის მისამართზე: ქალაქი თბილისი, დადიანის 26 და პრაქტიკის ობიექტებზე;
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების ზუსტი თარიღი და ასევე დასვენების პერიოდი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური და პრაქტიკის ხელმძღვანელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის დაწყებამდე

ადგენს სასწავლო განრიგს (ცხრილს), ხოლო მოდულის განხორციელების კალენდარულ გეგმას მოდულის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს.
4. სასწავლო განრიგის განთავსება ხდება კოლეჯში თვალსაჩინო ადგილზე, ასევე, პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს/პრაქტიკის ხელმძღვანელებს მიეწოდებათ ელექტრონულად.
5. სასწავლო განრიგში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილება, რასაც ახორციელებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური და პრაქტიკის ხელმძღვანელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი.
6. კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ყოველდღიურად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა.
7. საკონტაქტო საათი განისაზღვრება 1 ასტრონომიული საათით (60 წუთი), საიდანაც უშუალოდ სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 50 წუთს, დასვენების ხანგრძლივობა-10 წუთს.
8. დღის განმავლობაში საკონტაქტო საათების მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს 8 საათი.

მუხლი 43. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

1. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება - კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
2. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური) შემთხვევაში შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს, როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების მიმართულებისა და სწავლის შედეგების მიხედვით.
5. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

მუხლი 44. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში კრედიტის მინიჭება ხდება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების საფუძველზე.
2. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
3. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის

აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

4. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა;

5. განმსაზღვრელ შეფასებამდე შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს პროფესიული სტუდენტების დეტალურ ინფორმირებას შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ.

6. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სამსახურს, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან / შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად განიხილავს მის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობასა და ვალიდაციის შემთხვევაში ადასტურებს მას. შემოწმებული შეფასების ინსტრუმენტზე ჩნდება წარწერა „გამოიყენება პროფესიული სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის“.

7. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაში არ მონაწილეობს პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში.

8. სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება.

9. პროფესიული განათლების მასწავლებელი განმსაზღვრელი შეფასების თარიღიდან 1 სამუშაო დღის ვადაში დებს შეფასების დასკვნას და ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (სწავლის შედეგი დადასტურდა/სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა). ინფორმაციის მიწოდება შეიძლება მოხდეს პირისპირ ან წერილობით. ჯგუფისთვის შეფასების შედეგების მიწოდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული სტუდენტებისგან წინასწარ მოიპოვებს წერილობით თანხმობას.

10. თუ პროფესიულმა სტუდენტმა განმსაზღვრელი შეფასებისას ვერ დაადასტურა სწავლის შედეგი იმ მოდულზე, რომელიც წარმოადგენს დაშვების წინაპირობას სხვა მოდულისათვის, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე მაქსიმუმ 2-ჯერ 10 კალენდარული დღის განმავლობაში ამ მოდულის დაწყებამდე, სხვა შემთხვევაში პროგრამის დასრულებამდე. იმ შემთხვევაში თუ პროფესიულმა სტუდენტმა განმსაზღვრელი შეფასებისას ვერ დაადასტურა სწავლის შედეგი ისეთ მოდულზე, რომელიც მიმდინარეობდა პროგრამის დასრულებიდან ბოლო ერთი თვის განმავლობაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე მაქსიმუმ 2-ჯერ პროგრამის დასრულებიდან 2 კვირის განმავლობაში.

11. განმეორებით გამოცდისთვის პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი შეიმუშავებს ახალი შეფასების ინსტრუმენტს. ვერ დადასტურების შემთხვევაში დაუშვებელია განმეორებით გამოცდაზე იგივე შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

12. განმსაზღვრელ შეფასებაზე გამოუცხადებლობის ან/და ვერ დადასტურების შემთხვევაში მე-2 განმეორებით განმსაზღვრელ შეფასებაზე გასვლის საფასური შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს.

13. ერთიდაიგივე მოდულის ფარგლებში სწავლის შედეგის დაუდასტურებლობისას (2-ჯერ დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ), პროფესიული სტუდენტი ვალდებულია თავიდან გაიაროს მოცემული მოდული.
14. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში (მათ შორის დამატებით გამოცდაზე/ებზე) პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს თავიდან გაიაროს მოცემული მოდული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, თუკი ის მოდული რომელზეც პროფესიულმა სტუდენტმა მიიღო უარყოფითი შეფასება არ წარმოადგენს დაშვების წინაპირობას სხვა მოდულებისათვის.
15. თუ ის მოდული რომელზეც პროფესიულმა სტუდენტმა მიიღო უარყოფითი შეფასება (2-ჯერ დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ), წარმოადგენს დაშვების წინაპირობას სხვა მოდულებისათვის, მოცემულ მოდულზე პროფესიული სტუდენტისათვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, პროფესიული სტუდენტი დაჩქარებულ რეჟიმში ხელახლა შეისწავლის მოცემულ მოდულს.
16. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ხელახლა გადის იმ მოდულს, რომლის ფარგლებშიც მიიღო უარყოფითი შეფასება (მათ შორის განმეორებით გამოცდაზე/ებზე) პარალელურად უფლება აქვს გაიაროს ის მოდული/ები, რომლისთვისაც/ებისთვისაც მოცემული მოდული არ წარმოადგენს დაშვების წინაპირობას.
17. განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს ნიშნავს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური პროფესიული განათლების მასწავლებელთან/პრაქტიკის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და ახდენს შესაბამისი პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების ინფორმირებას.
18. შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან ციფრული სახით დადასტურებას;
19. მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს/პრაქტიკის ხელმძღვანელს. მტკიცებულებები უნდა მოიცავდეს შესაფასებელი პროფესიული სტუდენტის იდენთიფიცირების საშუალებას.
20. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სამსახურს.
21. მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის მიერ მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით (მტკიცებულებათა შენახვა ხდება თითოეული მოდულების მიხედვით ცალ-ცალკე), რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება კოლეჯის საქმისწარმოების წესით გათვალიწინებული პროცედურის შესაბამისად.
22. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პროფესიული სტუდენტი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
23. სწავლის შედეგების დადასტურება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.
24. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით და შედეგები ეცნობება თითოეულ პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურად.

25. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.
26. პროფესიული სტუდენტი, რომელიც სრულად ვერ ითვისებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულს და წყვეტს სწავლას, უფლებამოსილია, მოითხოვოს სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი განვლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ.

მუხლი 45. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურა

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში, გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში მიმართოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების გადასინჯვა.
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის/მტკიცებულების განხილვის ორგანიზებას. საჩივარს განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან, რომელიც არ იყო ჩართული სწავლის შედეგების დადასტურების პროცესში ერთად.
3. გასაჩივრების პროცედურის დასრულების შემდეგ განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის/მტკიცებულების ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად და ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
4. პრაქტიკული კომპონენტის შეფასების გასაჩივრების შემთხვეევაში დირექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია რომელიც განიხილავს საკითხს ორ სამუშაო დღეში. გასაჩივრების პროცედურის დასრულების შემდეგ კომისიის დასკვნა, უბრუნდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად.

მუხლი 46. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია

1. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად.
2. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება გულისხმობს სამ ეტაპს:
ა) შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა
ბ) შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება
გ) ვალიდაცია
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ი.
4. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევს შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს.

5. შეფასების ინსტრუმენტში შემავალი საკითხები უნდა იყოს დაბალანსებული და გონივრული პროპორციით ფარავდეს მოდულების შედეგს/შედეგებს. შეიცავდეს სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ და ტრანსფერული უნარების შემფასებელ კომპონენტებს.
6. შეფასების ინსტრუმენტები მუდმივად განახლებადი უნდა იყოს, და პასუხობდეს დარგის განვითარების/შრომის ბაზრის მოთხოვნებს. რაც გულისხმობს, პერიოდულად ცვლილებების განხორციელებას. შეფასების ინსტრუმენტები უნდა გადაიხედოს მინიმუმ შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად.
7. მნიშვნელოვანია, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, რაც უზრუნველყოფილს შეფასების ინსტრუმენტებისადმი ფუნდამენტური მოთხოვნების (ვალიდურობის, რელევანტურობის დასაკმარისობის) დაცვას;
8. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა
8.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ✓ **კოლეჯის ლოგო**
- ✓ **კოლეჯის დასახელება**
- ✓ **შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის რეგისტრაციის** ნომერი-მოცემულ გრაფაში მიეთითება შეფასების ინსტრუმენტის მიერ ვალიდაციისას მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი
- ✓ **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და კოდი-**
- ✓ **მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი-** მითითებულია იმ მოდულის დასახელება, რომლის სწავლის შედეგების დადასტურებისთვისაც შეიქმნა მოცემული შეფასების ინსტრუმენტი
- ✓ **სწავლის შედეგ(ებ)ის ნომერ(ებ)ი და დასახელება-** მითითებულია ის სწავლის შედეგ(ებ)ი, რომელთა დადასტურებისთვისაც შეიქმნა მოცემული შეფასების ინსტრუმენტი
- ✓ **შესრულების კრიტერიუმები-** მითითებულია დასადასტურებელი სწავლის შედეგების შესაბამისი შესრულების კრიტერიუმები
- ✓ **შეფასების მიმართულება-**მითითებულია შეფასების მიმართულება -გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, პრაქტიკული დავალება.
- ✓ **შეფასების მეთოდი** -მითითებულია განმსაზღვრელი შეფასების მეთოდი. მაგ. ტესტი, პრაქტიკულიდავალება, ინტერვიუ და ა.შ.
- ✓ **მტკიცებულების მოთხოვნები**-მითითებულია იმ მტკიცებულებების ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგის დადასტურებას.
- ✓ **პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი**
- ✓ **პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი**
- ✓ **დავალების შესრულების ინსტრუქცია**
- ✓ **შეფასების ადგილი/გარემოს აღწერა**-მითითებული გარემო (A,B,C,AC,AB), სადაც ტარდება შეფასების პროცესი და რომელი ცაღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით/ინვენტარით და უზრუნველყოფილია შესაბამისი მასალა/ ნედლეულით. შესაძლებელია შეფასება ჩატარდეს რეალურ სამუშაო გარემოში. ორივე შემთხვევაში გარემო უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების ინსტრუმენტით დადგენილ პირობებს და იძლეოდეს შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული დავალებების სრულფასოვნად შესრულების შესაძლებლობას.
- ✓ **შეფასებისათვის განკუთვნილი დრო-** მითითებულია შეფასების პროცესის ხანგრძლივობა, რომელიც განისაზღვრება საათებით, მაგ. 1 საათი, 2,5 საათი დაა . შ.

- ✓ **შეფასების პროცესისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა/მასალები/** ინვენტარი- მითითებულია ტექნიკური აღჭურვილობის/ინვენტარის და მასალის ჩამონათვალი, რომლიც საჭიროა ინსტრუმენტით განსაზღვრული დავალების შესასრულებლად.
- ✓ **დამატებითი პირობები**-აღწერილია ის დამატებითი პირობები, რაც ნებადართულია პროფესიული სტუდენტისთვის/შესაფასებელ პირისთვის შეფასების პროცესში. მაგალითად: ლექსიკონის, კანონმდებლობის ან კალკულატორის გამოყენება, თანამშრომლობა სხვა პროფესიულ სტუდენტებთან/შესაფასებელ პირებთან შეფასების პროცესში და სხვა, ასევე, ამ გრაფაში შესაძლოა მიეთითოს შეფასების პროცესზე დაშვების წინაპირობა(ასეთისარსებობისშემთხვევაში)
- ✓ **დავალების აღწერა/შინაარსი** -დავალება უნდა აღიწეროს მკაფიოდ, გასაგებ ენაზე.

- ✓ **შეფასების კრიტერიუმები(კითხვარი) და შეფასების სქემა/ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების პირობები-** მოცემულია დავალების შეფასებისათვის განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სქემა, აღწერილია თითოეული პრაქტიკული/ტესტური დავალებისათვის ხარვეზების დასაშვები ნორმა, სწავლის შედეგის დადასტურებისათვის მოთხოვნილი პირობები.
- ✓ **განმეორებითიშეფასებისპირობები**-განმარტებულია, პროფესიულ სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და ვადები. თუ მოდული არის სხვა მოდულის წინაპირობა, მაშინ მიეთითება სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელი მოდულის დაწყებამდე უნდა დადასტურდეს შედეგ განმეორებით.
- ✓ **შეფასების დასკვნა :** შედეგი დადასტურდა/ ვერდადსტურდა
- ✓ **პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერა**
- ✓ **დამსწრე პირის ხელმოწერა (არსებობისშემთხვევაში)**
- ✓ **პროფესიული სტუდენტი სხელმოწერა**
- ✓ **შეფასების ჩატარების თარიღი**

9. შეფასების პროცესამდე 2 კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს.

10. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ ვალიდაცია სახდენს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური, რომელიც უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში ჩართოს პროგრამის ხელმძღვანელი/დარგის სპეციალისტი.

11. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი პროგრამის ხელმძღვანელთან/დარგის სპეციალისტთან ერთად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარის შემოწმებას.

12. ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შეფასების ინსტრუმენტი შესწორებული სახით.

13. სწავლის შედეგის დადასტურებისათვის შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას და ივსება ვალიდაციის დასკვნა, სადაც მიეთითება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისას მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი (შეფასების ინსტრუმენტს რეგისტრაციის ნომერი ენიჭება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესის წარმატებით

გავლის შემთხვევაში). ვალიდაციის დასკვნას თან ერთვის სწავლის შეფასების განმსაზღვრელი ინსტრუმენტი.
14. შემოწმებული შეფასების ინსტრუმენტს უკეთდება წარწერა „გამოიყენება პროფესიულ სტუდენტის შეფასების მიზნებისათვის.

მუხლი 47. მიღებული განათლების აღიარება

1. საქართველოს სხვა საგანმანათლებლო კოლეჯში მიღებული კრედიტების აღიარება ხორციელდება წინამდებარე წესით მობილობის დროს მიღებული განათლების აღიარებისათვის გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით.
2. თუ პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგები და კრედიტები იდენტურია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის სწავლის შედეგების და კრედიტისა, მისი აღიარება ხდება ავტომატურად.
3. თუ პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულის კრედიტები მეტია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის კრედიტებზე, აღნიშნული პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულის კრედიტები აღიარებული იქნება კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.
4. მოდულური პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება მოხდება გავლილი მოდულების ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.
5. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო კოლეჯში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო კოლეჯში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
6. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

მუხლი 48. ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფა

1. კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის).
2. ინკლუზიური პროფესიული განათლება არის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.
3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტის/მსმენელის სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით, რაც გულისხმობს:
ა) სასწავლო ფართის სრულად ადაპტირებას;
ბ) სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის წინამდებარე წესით გათვალისწინებული ინდივიდუალის სასწავლო გეგმის შედგენას;
გ) საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას.

მუხლი 49. შეფასების უწყისი

1. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული ჯგუფისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.
2. უწყისის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსისათვის ჩაბარების ვალდებულება ეკისრება შემფასებელს, ხოლო რამდენიმე შემფასებლის შემთხვევაში - დაეკისრება ერთ შემფასებელს მოდულის დასრულებიდან 10 სამუშაო დღისა.
3. უწყისს ხელს აწერს პროფესიული განათლების მასწავლებელი.
4.უწყისი უნდა შეიცავდეს:
ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
ბ) მოდულის დასახელება
გ) მოდულის სარეგისტრაციო ნომერი
დ) მოცულობა კრედიტებში
ე) პროფესიული განათლების მასწავლებელი/მასწავლებლები/პრაქტიკის ხელმძღვანელ(ებ)ი
ვ) ჯგუფის ნომერი
ზ) პროფესიული სტუდენტის გვარი სახელი
თ) დადასტურდა - დიახ/არა/არ დაესწრო
ი) შემფასებლის/ების ხელმოწერა
კ) თარიღი - იწერება უწყისის დახურვის თარიღი.

მუხლი 50. პროგრამის განხორციელების გეგმა

1. პროფესიული სტუდენტის ყოველკვირეული სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) განსაზღვრულია კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით, რომელიც მოიცავს მოდულით განსაზღვრული საათების განაწილებას სწავლის დაწყებიდან დასრულებამდე.
2. პროგრამის ხელმძღვანელი ახდენს მოდულის განმახორციელებელი პირების ინფორმირებას მოდულის დაწყება დამთავრების ვადებთან დაკავშირებით;
3. პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებს მოდულის კალენდარულ გეგმას რომელიც წარმოადგენს მოდულის სწორად განხორციელების დადასტურებას;
4. პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის დაწყებამდე ერთი კვირით არდე მოდულის კალენდარულ გეგმას წარუდგენს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს.

მუხლი 51. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შეძენა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა

1. პროგრამით გათვალისწინებული მასალა ნედლეულის შეძენა ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:
ა) სასწავლო წლის დასაწყისში ან საჭიროებისამებრ სასწავლო გეგმის მიხედვით არსებული მოდულებში შემავალი მასალები და ნედლეული განისაზღვრება მოდულის

განმახორციელებელი პირის მიერ და მიწოდებული იქნება პროგრამის ხელმძღვანელისათვის, რომელიც მიწოდებულ ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
ბ) მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით ფინანსური მენეჯერი დირექტორის დავალებით ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას.
2. გახარჯული მასალა ნედლეულის აღრიცხვას აწარმოებს მოდულის განმახორციელებელი პირი და გადასცემს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერს.
3. გახარჯული მასალა ნედლეულისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მონიტორინგს ახორციელებს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერი.
4. თუ მოდულის პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე კოლეჯი მასალებისა და ნედლეულის შეძენას იმ მოდულის ფარგლებში არ ახორციელებს;
5. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის;
6. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ევალება მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერს პროფესიული განათლების მასწავლებლის მითითებების შესაბამისად.

მუხლი 52. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვა და უტილიზაცია

1. კოლეჯში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხორციელდება ნარჩენების კლასიფიკაციის, მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით ისე, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება.
2. კოლეჯში ხორციელდება სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების უსაფრთხო სეპარაცია (სარისკო და არასარისკო ნარჩენების განცალკევებულ შეგროვებას წარმოქმნის ადგილზევე), შეგროვება, შენახვა, გატანა ან დამუშავება ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.
3. ნარჩენების შეგროვება ხდება პროფესიული სტუნდენტების მონაწილეობით შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ნაწილი.
4. ქიმიურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობა მხოლოდ მომუშავე პერსონალის უსაფრთხოებას არ ნიშნავს. აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ქიმიური რეაქტივების და ექსპერიმენტების ნარჩენების არასათანადო უტილიზაცია შესაძლებელია გარემოსათვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს.
5. ქიმიური ნარჩენები გროვდება ერთმანეთისგან განცალკევებულად: აღნიშნული ქვეკატეგორიები მოიცავს ვერცხლისწყლის შემცველ დაზიანებულ საგნებს/მოწყობილობას, ბატარეებს, კადმიუმის შემცველ ნარჩენებს, ფოტო-რეაგენტებს, ლაქებსა და ლაბორატორიულ რეაგენტებს, ციტოტოქსიკურ პრეპარატებსა და სხვა წამლებს (არსებობის შემთხვევაში).
6. ყველა კონტეინერს, სადაც გროვდება ქიმიური ნარჩენები, აქვს შესაბამისი მარკირება ნარჩენების კატეგორიისა და აქტიური ნივთიერების მითითებით, ხოლო კოროზიულ, აალებად, ფეთქებად ნივთიერებებსა და სხვ. აქვს საფრთხის აღმნიშვნელი სიმბოლო. თხევადი ქიმიური ნარჩენები არ უნდა შეერიოს ერთმანეთს ან გადაისხას კანალიზაციაში, ისინი ინახება მყარ ჰერმეტულ კონტეინერებში.
7. ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების, რომლებიც მიეკუთვნება სახიფათო ნარჩენების კატეგორიას, საყოფაცხოვრებო ნაგავში/ მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში გადაყრა და საკანალიზაციო სისტემაში გადაღვრა აკრძალულია!

8. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით ასეთის არსებობის შემთხვევაში. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯს.
9. საყოფაცხოვრებო ნაგავში/ მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში არ შეიძლება მოხვდეს ქიმიური ლაბორატორიული მყარი ნარჩენები, რომლებიც შეიცავენ:
ა) ადვილად აალებად მყარ ნივთიერებებს, როგორებიცაა ტუტე მეტალების ნაჭრები, მეტალური მაგნიუმი, წითელი ფოსფორი, გოგირდი, პარაფინი და სხვა;
ბ) ძლიერ მჟანგავებს;
გ) ტუტე და ტუტემიწა მეტალთა ოქსიდებს;
დ) ტუტეებს;
ე) მძიმე მეტალებს;
ვ) დაღვრილი ვერცხლისწყლის შეგროვებისას გამოყენებულ მასალას;
ზ) დაღვრილი კონცენტრირებული მჟავების, ტუტეების, ან საწვავ და ადვილად აალებადი სითხეების შესაგროვებლად გამოყენებულ სორბენტებს და სხვა მასალებს (ფილტრის ქაღალდი, ტილოები);
თ) ბასრ და სახიფათო ნარჩენებს, თუ ისინი მოთავსებული არ არის სპეციალურ, დაცულ კონტეინერში გამაფრთხილებელი წარწერით.
10. საკანალიზაციო სისტემაში არ შეიძლება გადაიღვაროს ლაბორატორიული თხევადი ნივთიერებების წყალხსნარები, რომლებიც შეიცავენ:
ა) მძიმე მეტალებს (როგორც კატიონების, ასევე ანიონების სახით);
ბ) ძლიერ ტუტეებსა და მჟავებს;
გ) ძლიერ მჟანგავებს;
დ) ორგანულ სითხეებს;
ე) ქლორორგანულ ნაერთებს.
11. სასწავლო ლაბორატორიაში არსებული ქიმიური რეაქტივების ნარჩენების მართვის სტრატეგიაა (არსებობის შემთხვევაში):
ა) ვადაგასული და გამოუსადეგარი რეაქტივები გროვდება ცალკე და უტილიზაციისათვის/გასანადგურებლად გადაეცემა შესაბამის ლიცენზირებულ სპეციალურ სამსახურს;
ბ) თუ შეუძლებელია უწარწერო ქილაში მოთავსებული ნივთიერების იდენტიფიკაცია, მაშინ ასეთი რეაქტივი გასანადგურებლად გადაეცემა შესაბამის ლიცენზირებულ სპეციალურ სამსახურს;
გ) ლაბორატორიული ექსპერიმენტების ნარჩენები სპეციალური მეთოდიკის მიხედვით გადამუშავდება:
გ.ა) ქიმიური ექსპერიმენტების მძიმე მეტალების (როგორც კათიონების, ასევე ანიონების სახით) შემცველი ნარჩენები (ხსნარები) ისე დამუშავდება, რომ მძიმე მეტალის იონი გამოილექოს უხსნადი მარილის სახით. მიღებული ნარევი გაიფილტრება, ნალექი შეგროვდება ცალკე კონტეინერში და გადაეცემა შესაბამის ლიცენზირებულ სპეციალურ სამსახურს. ფილტრატი საკანალიზაციო სისტემაში გადაიღვრება;
გ.ბ) ქიმიური ექსპერიმენტების ნარჩენი ტყვიის, სპილენძის, თუთიის იონების გამოსალექად გამოიყენება სასმელი სოდა მშრალი ან/და ხსნარის სახით;

გ.გ) ქიმიური ექსპერიმენტების ნარჩენი ვერცხლისწყლის შემცველი ხსნარებიდან ვერცხლისწლის (I)-ის იონების გამოსალექად გამოიყენება ჰალოგენების იონები (გარდა ფთორისა);

გ.დ) ქიმიურ ექსპერიმენტებში გამოყენებული მჟავების და ტუტეების ნარჩენების უტილიზაცია განეიტრალების და მიღებული სითხის საკანალიზაციო სისტემაში გადაღვრის გზით ხდება. მჟავას ნეიტრალიზაცია 5-10%-იანი ტუტით, ხოლო ტუტისა - 5-10%-იანი მჟავით ტარდება. ხსნარი განეიტრალებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ მისი pH 6-დან 8-მდე დიაპაზონშია;

გ.ე) ქიმიურ ექსპერიმენტებში გამოყენებული ძლიერი მჟანგავების ნარჩენების (მაგ.წყალბადის პეროქსიდი და სხვა) გაუვნებელყოფა ხდება აღდგენის საშუალებით, რისთვისაც ვიყენებთ ისეთ აღმდგენებს, როგორებიცაა ნატრიუმის თიოსულფატის ან ნატრიუმის სულფიტის დაახლოებით 10%-იანი ხსნარი. წყალბადის პეროქსიდს - ნატრიუმის თიოსულფატის ზემოქმდებით მიღებული აღდგენილი ხსნარი, საკანალიზაციო სისტემაში წყლის ჭარბ რაოდენობასთან ერთად გადაიღვაროს.

გ.ვ) ქიმიურ ექსპერიმენტებში გამოყენებული ადვილად აალებადი და დასაწვავი სითხეების ნარჩენები გროვდება მინის დახუფულ ჭურჭელში, რომელიც მოთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი წარწერის მქონე ლითონის ყუთში. ყუთის ფსკერზე არანაკლებ 5 სმ-ის ფენაზე ჩაყრილია ქვიშა. ყუთის სახურავს ან კედლებს აქვს ნახვრეტები. ყუთი მოთავსებულია დაცულ ადგილზე, გამაცხელებელი ხელსაწყოებიდან სულ ცოტა 2 მეტრის მოშორებით.

გ.ზ) ქიმიურ ლაბორატორიაში ჩატარებული ცდების შედეგად მიღებული ჰალოგენების ნარჩენების გაუვნებელყოფისათვის, აღმდგენებად ნატრიუმის თიოსულფატის ან ნატრიუმის სულფიტის დაახლოებით 10%-იანი ხსნარი გამოიყენება. მიღებული წყალხსნარები საკანალიზაციო სისტემაში გადაიღვრება.

გ.თ) ქიმიურ ლაბორატორიებში გამოყენებული ტუტე მეტალების და კალციუმის გამოუყენებელი ნაჭრები აუცილებლად იმ დღესვე ნადგურდება, როდესაც შესაბამისი ექსპერიმენტები ჩატარდება. ამისათვის გამოუყენებელი ნატრიუმი მოთავსდება ეთილის სპირტში, რომელიც ჩასხმულია მაღალ ქიმიურ ჭიქაში, ფსკერიდან არა უმეტეს 5 სმ-ზე. ამ დროს გამოყენებული სპირტი შეგროვდეს და განადგურდეს ადვილად აალებად და საწვავ სითხეებთან ერთად. ლითიუმის და კალციუმის შემთხვევაში კი მეტალის ნარჩენები ცივ წყალში გაიხსნება და საკანალიზაციო სისტემაში წყლის ჭარბ რაოდენობასთან ერთად გადაიღვაროს.

12. მითითებული პირობების კონტროლზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერს და შესაბამისი მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

13. ნარჩენები, რომელიც საფრთხეს არ უქმნის გარემოს და გარეშე პირებს, არ იწვევს დაბინძურებას, გროვდება პოლიეთილენის პარკში და დამლაგებლის მიერ გადაიყრება შესაბამის მუნიციპალურ ნაგავსაყრელში.

14. ქიმიური ნარჩენები განთავსდება კოლეჯის შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას (მ.შ. დაცული კარადა), რომელსაც ახორციელებს შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი. აღნიშნული ნარჩენების დროებითი შენახვის სათავსოში განთავსებისას ის იზოლირებული იქნება (სივრცობრივი იზოლაცია) სხვა ტიპის ნარჩენებისაგან. ქიმიური ნარჩენების დროებითი შენახვისას გათვალისწინებულია ნარჩენების სპეციფიკური თვისებები (მაგ., აალება, კოროზიულობა და ა.შ.).

მუხლი 53. საკვალიფკაციო გამოცდის ჩატარების მექანიზმი

1. საკვალიფიკაციო გამოცდა სავალდებულოა ყველა პროფესიულ სტუდენტისთვის, რომელიც ამთავრებს იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობად განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.
2. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების უფლების მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.
3. საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა არ უნდა გასცდეს საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების სწავლის შედეგების თემატიკას(თეორია და პრაქტიკა).
4. საკვალიფიკაციო გამოცდა წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში დადასტურებული
5. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს:
ა) დავალების აღწერას და პირობებს;
ბ) დავალების შესრულების დროს;
გ) შეფასების კრიტერიუმებს.

მუხლი 54. საკვალიფიკაციო კომისიის უფლებამოსილება

1. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, ათი დღით ადრე, არანაკლებ სამი წევრით განისაზღვრება საკვალიფიკაციო კომისიის (შემდეგში ,,კომისია“) შემადგენლობა, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ:
ა) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან/და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელი;
ბ) პარტნიორი საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი ან/და შესაბამისი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ხელმძღვანელი/პირი;
გ) შესაბამისი მიმართულების პროფესიული ასოციაციის ან/და დამსაქმებლის წარმომადგენელი/წარმამადგენლები;
დ) საჭიროების შემთხვევაში, იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის დარგში კვალიფიკაციის მქონე წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს მსგავსი მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
ე) საჭიროების შემთხვევაში, სხვა საჯარო ან კერძო დაწესებულების წარმომადგენელი.
2. კომისია გაწყვეტილების მიღებისუნარიანია, თუ მას ესწრება საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა არანაკლებ ¾-ისა და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება კომისიის თავმჯდომარეს, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი.
3. კომისია უფლებამოსილია:
ა) განსაზღვროს საგამოცდო თარიღი და ადგილი;
ბ) კონკრეტული პროგრამის სპეფიციკის გათვალისწინებით შეიმუშაოს საგამოცდო საკითხები (მათ შორის განმეორებითი გამოცდის);
გ) მიიღოს გადაწყვეტილება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.
4. კომისია შესრულებული სამუშაოს შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს საკვალიფიკაციო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკვალიფიკაციო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს, დანართის სახით.
5. კომისია ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე.

მუხლი 55. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მოსამზადებელი ეტაპი

1. კოლეჯს უფლება აქვს გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ითანამშრომლოს საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადებლად.
2. კონკრეტული პროგრამის სპეფიციკის გათვალისწინებით, საგამოცდო საკითხებს შეიმუშავებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია.
3. კოლეჯის დირექტორი ვალდებულია მხარი დაუჭიროს საკვალიფიკაიო გამოცდის ორგანიზებასა და ჩატარებას.
4. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის მიერ პროფესიული სტუდენტის შეფასების ფორმა აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
ა) დავალების შინაარსი;
ბ) დავალების შესრულების დრო და ადგილი;
გ) შეფასების კრიტერიუმები;
დ) გამოცდის ორგანიზებისათვის დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში).
5. საგამოცდო საკითხები ცნობილია მხოლოდ საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრებისათვის და აღნიშნული წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, გამოცდის საკითხების შემუშავებიდან გამოცდის დასრულებამდე.
6. შესაფასებელ პირს ათი კალენდარული დღით ადრე მიეწოდება ინფორმაცია გამოცდის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ, წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერი ფორმით.

მუხლი 56. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება

1. საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს თეორიული, პრაქტიკული ან/და თეორიულ-პრაქტიკული გამოცდის სახით.
2. საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს კოლეჯის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ (საწარმოში/პრაქტიკის ობიექტზე).
3. საკვალიფიკაციო გამოცდის მსვლელობისას შესაძლებელია განხორციელდეს ფოტო გადაღება ან/და აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერა;
4. საკვალიფიკაციო გამოცდას ესწრებიან შესაბამისი ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრები.
5. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრი, რომელიც ვერ ცხადდება გამოცდაზე, მინიმუმ ერთი სამუშაო დღით ადრე, ატყობინებს კოლეჯის ადმინისტრაციას, რის შემდეგაც გამოიცემა ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობის ცვლილების შესახებ.
6. საჭიროების შემთხვევაში, გამოცდას ესწრებიან ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის ფოტო და/ან ვიდეო გადაღებას, ასევე, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ოქმის მომზადებას.
7. საკვალიფიკაციო გამოცდის მსვლელობისას დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ყველა დამსწრე წევრი. საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს, დანართის სახით.
8. პროფესიულ სტუდენტს გამოცდის შედეგების შესახებ ეცნობება წერილობითი ან/და ზეპირსიტყვიერად გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა.
9. საკვალიფიკაციო გამოცდის მტკიცებულებაა პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი წერილობითი ნაწარმი/პროექტი/ ნებისმიერი სახის მატერიალურად შექმნილი პროდუქტი/

პროცესზე დაკვირვების შეფასებისა და ზეპირი გამოკითხვის ფურცელი. მტკიცებულებები ინახება კოლეჯში შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

მუხლი 57. საკვალიფიკაციო გამოცდის სააპელაციო კომისია

1. პროფესიული სტუდენტი თუ არ ეთანხმება საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს, უფლება აქვს განცხადებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს და გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამი სამუშაო დღის ვადაში.
2. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ სამი წევრით და შედგება იურისტის, დარგის სპეციალისტისა და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენელის ან დამსაქმებელისაგან (საჩივრის მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში).
3. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოიკვლიოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და შეისწავლის საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს მხარეები (საკვალიფიკაციო კომისიის წევრი /ები, მომჩივანი).
4. სააპელაციო კომისია, ხმათა უმრავლესობით, იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას კომისიის გადაწყვეტილების გაზიარების ან/და კომისიისთვის გადაწყვეტილების ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.
5. კომისია განმეორებით განიხილავს სააპელაციო კომისიის მიერ მისთვის დაბრუნებულ გადაწყვეტილებას და, სათანადო დასაბუთებით, ცვლის ან უცვლელად ტოვებს მის მიერ მიღებულ თავდაპირველ გადაწყვეტილებას, რისთვისაც კომისიას განესაზღვრება სამი სამუშაო დღე.

მუხლი 58. განმეორებითი გამოცდა

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გაუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შეთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გამოცდის შედეგების გაცნობიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, განმეორებით გავიდეს გამოცდაზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს.
2. განმეორებითი გამოცდის ჩაბარების უფლებით სარგებლობა პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთჯერადად.
3. განმეორებითი გამოცდისათვის იქმნება ახალი საგამოცდო საკითხები.
4. გამოცდის/განმეორებითი გამოცდის/ კომისიის/სააპელაციო კომისიის/კოლეჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/ შედეგის გაასაჩივრების უფლების შესახებ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება კომისიის მიერ გამოცდის დაწყებამდე.

მუხლი 59. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

1. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად აღიარებულ უნდა იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ყველა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს მოხსენებით ბარათს, ამ პროგრამის ყველა პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების შესახებ.
3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტებისათვის

კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. ბრძანების გამოცემის შემდეგ გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი (მოთხოვნის შემთხვევაში დიპლომის დანართი).

4. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად პირს ენიჭება შესაბამისად ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3,მე-4 ან მე-5 დონის კვალიფიკაცია.

5. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოთხოვნის შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე მიეცემა სერტიფიკატი, რითაც დასტურდება მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად დაუდასტურებლობისას კოლეჯი, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცემს ცნობას აღნიშნული მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ.

6. იმ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლითაც განსაზღვრულია კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობად საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, კვალიფიკაცია მიენიჭებათ იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის საბოლოო შეფასება თითოეულ კომპონენტში (თეორია და პრაქტიკა) 75 % და მეტი იქნება.

7. პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სერტიფიკატითა და დანართით.

8. პროფესიული განათლების აღიარებასა და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია დადგენილი წესით ინახება კოლეჯში შემდგომი დამუშავებისა და არქივში გადაცემისათვის.

9. დიპლომის და სერთიფიკატის (დანართები) გაცემასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე წესი რეგულირდება კოლეჯის საქმისწარმოების წესითა და მოქმედი კანონმდებობლით.

მუხლი 60. კოლეჯის მოქმედება პანდემიის პირობებში

1. პანდემია - ფართოდ გავრცელებული ზემოქმედება; არაფიზიკური კატასტროფა. პანდემიას აქვს რამდენიმე უნიკალური მახასიათებელი, რაც მოითხოვს ზომებს კონტაქტის შეზღუდვის, გადაადგილების შეზღუდვის, კარანტინის შემოღებისა და საზოგადოებრივი თავშეყრის აკრძალვის მიზნით.

2. გამოცხადებული პანდემიის დროს კოლეჯმა:

- უნდა შეიმუშაოს ინფექციური დაავადებებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა, რომელშიც მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმძღვანელო მითითებები და განისაზღვროს, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი რეკომენდაციების შესრულება.

- პერსონალი არ უნდა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე თუ მათ აღენიშნებათ პანდემიისთვის დამახასიათებელი ნიშნები და შეიმუშაოს მათი დაუყოვნებელი იზოლაციის პოლიტიკა და პროცედურები;

- განათავსოს თვალსაჩინო ადგილას განცხადებები პანდემიის და იმ პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა

და ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, რათა დასაქმებულებს და პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაეცნონ მათ სამუშაო პროცესის/სწავლის დაწყებამდე;
- იმ თანამშრომლებთან დაკავშირებით, რომელთაც შეუძლიათ სამუშაოს შესრულება დისტანციურად, მაქსიმალურად უზრუნველყოს მუშაობის ამგვარი მეთოდის გამოყენება; - შესაძლებლობის ფარგლებში დააწესოს შეზღუდვები სამუშაო დროზე; - გამოიყენოს თანამშრომელთა როტაცია;
- საჭიროების შემთხვევაში, დასაქმებულები უზრუნველყოს, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანები, პირბედე);
- უზრუნველყოს ოფისებში ავეჯის ისეთი განლაგება, რომ მოსაუბრეებს შორის დაცული იყოს 2 მ დისტანცია;
- ადმინისტრაციული შენობების შესასვლელთან განათავსოს დეზობარიერები, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- სამუშაო ადგილებზე განათავსოს ზედაპირების სადეზინფექციო საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები;
- უზრუნველყოს, სამუშაო ადგილზე ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება;
- მიაწოდოს ინფორმაცია დასაქმებულებს ინდივიდუალური დაცვისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მათ შენახვა/მოცილებაზე; - უზრუნველყოს მობილური/ქალაქის ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში მისი პერიოდული დამუშავება შესაბამისი წესით;
- უზრუნველყოს ხშირად შეხებადი ზედაპირებისა (მათ შორის კლავიატურის, ღილაკების, კარების სახელურების, ჩამრთველ/გამომრთველი ღილაკების) დამუშავება რამდენჯერმე დღეში შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით;
- უზრუნველყოს სამუშაო ინვენტარისა და მოწყობილობების დამუშავება რამდენჯერმე დღეში შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით; - პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყოს სამუშაო სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია;
- უზრუნველყოს დასაქმებულთა/ ვიზიტორთა მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი;
- საჭიროების შესაბამისად განიხილავს სასწავლო პროცესის შეწყვეტას და მისი განახლების ვადის განსაზღვრას.

მუხლი 61. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესებს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
2. წინამდებარე წესებში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია დირექტორის ბრძანებით.